



საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის აღზრდის სარჯი

შშმ ბავშვების თანაბარი ჩართულობისთვის საჭირო საგნები და მომსახურებები

ძვირფასო მკითხველო,

„გაეროს ბავშვთა ფონდი“ თითქმის სამი ათწლეულია, მხარს უჭერს საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვას და იღნვის იმისთვის, რომ ყველა ბავშვს - ყველაზე მონყვლადი ბავშვების ჩათვლით - ჰქონდეს გადარჩენის, განვითარებისა და მათი სრული პოტენციალის მიღწევის შესაძლებლობა. საქართველოში ბავშვის უფლებების დაცვის საკითხის წინ წამოსაწევად ჩვენ ვთანამშრომლობთ მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, სამეცნიერო და ბიზნეს წრეებთან, მედიასთან, რელიგიურ ლიდერებთან, ბავშვებთან, მშობლებთან და ახალგაზრდებთან.

შშმ ბავშვები საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მაღალია მათი სტიგმატიზაცია; შშმ ბავშვებს ნაკლებად მიუწვდებოთ ხელი განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ მომსახურებებზე, რასაც მათ იზოლაციასა და გარიყულობამდე მიყვართ. თუმცა, მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს შშმ პირების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მათ შორისაა „შშმ პირთა უფლებების გაეროს კონვენციის“ (UNCRPD) რატიფიცირება, და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება. მთავრობა ასევე მუშაობს ინკლუზიური განათლებისა და შშმ პირის პენსიის რეფორმაზე და თანდათანობით ზრდის შშმ პირის მომსახურებებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო ბიუჯეტს.

კვლევამ „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის აღზრდის ხარჯი: შშმ ბავშვების თანაბარი ჩართულობისთვის საჭირო საგნები და მომსახურებები“ გამოავლინა, რომ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობით ცხოვრება ოჯახებისთვის ძვირადღირებულია. ბავშვებს სჭირდებათ დამხმარე საშუალებები, დამატებითი ზრუნვა და პროფესიული მხარდაჭერა, სხვადასხვა სახის თერაპია, დამატებითი დახმარება სკოლაში და ადაპტირებული გარემო. მეტიც, სხვადასხვა ტიპისა და სიმძიმის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებზე ზრუნვის საფასური საკმაოდ განსხვავებულია, რაც დახმარების განწვისას მთავრობისგან უფრო მეტი სიზუსტის მიზნობრიობას მოითხოვს. მოცემული კვლევა წარმოგვიდგენს დახმარების ტიპებსა და მათი ხარჯების დაახლოებით მასშტაბებს. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახებს თანდათანობით შეუმცირდეთ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთი და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის აუცილებელი ყველანაირი მხარდაჭერა განათლებაში, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებებში სრული ჩართულობისთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს კვლევა ღირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის უკეთესი საჯარო პოლიტიკისა და პროგრამების შესაქმნელად. კვლევის შედეგებს აგრეთვე გამოიყენებენ შშმ პირთა ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა დამცველები და მშობლები ბავშვებისთვის უკეთესი გარემოს ჩამოყალიბების ადვოკატირებისთვის. „გაეროს ბავშვთა ფონდი“ კვლავაც გააგრძელებს მუშაობას ყველა ბავშვის უფლებათა დასაცავად და მათი განვითარებისა და აყვავებისთვის საუკეთესო შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

ემი ქლენსი

საქართველოში „გაეროს ბავშვთა ფონდის“ წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი

მადლობა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „გაეროს ბავშვთა ფონდის“ კონსულტანტის მანია ბაგრატიონის მიერ, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ თანამშრომლების - ქეთევან მელიქაძისა და გიორგი კაკაჩიას ტექნიკური მხარდაჭერით.

საქართველოში „გაეროს ბავშვთა ფონდის“ წარმომადგენლობა მადლობას უხდის შემდეგ პირებს: ექსპერტს შშმ პირთა საკითხებში, მანია ბაგრატიონს - ამ პუბლიკაციის მომზადებისთვის; საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას და მის აღმასრულებელი დირექტორს ქეთევან ფაცაცას - მონაცემთა მოგროვებისა და ანალიზისთვის; დანიელ მონტს - ინკლუზიური პოლიტიკის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს - მისი უდრეკი მხარდაჭერისა და კვლევის და ანალიზის მეთოდოლოგიის ექსპერტული შემოთავაზებისთვის; ალექსანდრე კოტს, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ სათაო ოფისის პოლიტიკის სპეციალისტს - ფასდაუდებელი ხელმძღვანელობის, ინტენსიური ჩართულობისა და ანგარიშის შექმნაში შეტანილი გადამწყვეტი როლისთვის. გარდა ამისა „გაეროს ბავშვთა ფონდი“ მადლობას უხდის ყველა მშობელს, ახალგაზრდასა და პროფესიონალ პირს, ვინც გულუხვად გაიღო დრო, ენერჯია და ცოდნა ამ კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოწოდებასა და დამუშავებისათვის. „გაეროს ბავშვთა ფონდის“ საქართველოს ოფისი განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სოციალური განვითარების ეროვნული დეპარტამენტისა“ და მისი გუნდის მიმართ, მათი საპილოტე კვლევის - „სამხრეთ აფრიკაში შეზღუდული შესაძლებლობების ფინანსური და ეკონომიკური ღირებულებების ელემენტები“ (2015)¹ - მეთოდოლოგიისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

ანგარიშში გადმოცემული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს „გაეროს ბავშვთა ფონდის“ ოფიციალურ პოზიციას.

1 Elements of the Financial and Economic Costs of Disability to Households in South Africa”; სოციალური განვითარების ეროვნული დეპარტამენტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, პრეტორია, 2015

შემოკლებები

| | |
|-----------------------------|---|
| ABA | ქცევის გამოყენებითი ანალიზი |
| შშმ ბავშვი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი |
| მშპ | მთლიანი შიდა პროდუქტი |
| ლ | ქართული ლარი - ფულის ადგილობრივი ერთეული |
| GSR | საჭირო საგნები და მომსახურებები |
| HIES | შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა |
| HSN | მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე |
| LSN | მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე |
| ჯანდაცვის სამინისტრო | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო |
| MRDI | ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო |
| MES | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო |
| OPD | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები |
| შშმ პირები | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები |
| UNCRPD | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენცია |
| UNICEF | გაეროს ბავშვთა ფონდი |
| ჯმო | ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია |

| | |
|---|-----------|
| მადლობა | 3 |
| შემოკლებები | 4 |
| რეზიუმე | 8 |
| ანგარიშის სტრუქტურა | 9 |
| კვლევის მეთოდოლოგია | 9 |
| ძირითადი მიგნებები | 11 |
| შესავალი | 15 |
| ანგარიშის სტრუქტურა | 17 |
| ნაწილი I | 18 |
| 1. კვლევის მიზანი | 18 |
| 2. კვლევის მეთოდოლოგია | 20 |
| 3. მონაცემთა დამუშავება | 23 |
| 4. მონაცემთა პრეზენტაცია | 28 |
| 4.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულებების შედარებითი ანალიზი | 28 |
| 5. კვლევის ძირითადი მიგნებები | 41 |
| 6. კვლევის გამოყენება | 48 |
| 7. დასკვნა | 52 |
| ნაწილი II | 53 |
| 8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო ხარჯების ცალკეული ანალიზი | 53 |
| 8.1. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებები ს და ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები | 53 |
| 8.2. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით | 58 |
| 8.3. ქცევის დარღვევის მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით | 63 |

| | |
|--|-----------|
| 8.4. კომპლექსური დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით | 67 |
| 8.5. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები. | 72 |
| 8.6. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები. | 77 |
| 8.7. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და სმენის დარღვევის მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები. | 81 |
| 8.8 მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და ყრუ-უსინათლო ბავშვების დამატებითი ხარჯები | 86 |
| ნაწილი III | 91 |
| 9. კონკრეტული შემთხვევების აღწერა | 91 |
| 9. 1. ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 91 |
| 9.2. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 95 |
| 9.3. ქცევის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 98 |
| 9.4. კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 102 |
| 9.5 ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 107 |
| 9.6. ბავშვი მხედველობის დარღვევით, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 108 |
| 9.7. სმენის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 111 |
| 9.8. ყრუ-უსინათლო ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით | 113 |
| 9.9. ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროება | 116 |
| 9.10. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით | 118 |
| 9.11. ქცევის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით | 120 |
| 9.12. კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე | 122 |
| 9.13. ბავშვი ფსიქო-სოციალური საჭიროებებით, მხარდაჭერის მცირე საჭიროება | 125 |
| 9.14. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით | 126 |
| 9.15. სმენის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით | 128 |
| 9.16. უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროება | 130 |

| | |
|---|-----|
| 9.17. ყრუ და ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროება | 132 |
| <i>დანართები: შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ტიპის მქონე ბავშვების ინკლუზიისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ჩამონათვალი და მათთან დაკავშირებული ხარჯების დაანგარიშება, ლარი</i> | 135 |
| 1. ქცევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 135 |
| 2. ქცევის დარღვევა, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 137 |
| 3. კომპლექსური სამედიცინო საჭიროებები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 139 |
| 4. კომპლექსური საჭიროებები, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 143 |
| 5. ყრუ-უსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 146 |
| 6. სრულიად უსინათლო, ნარჩენი სმენა, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ლარში | 148 |
| 7. სრულიად ყრუ, ნარჩენი მხედველობა, მხარდაჭერის დაბალი საჭიროება, ღირებულება ლარში | 151 |
| 8. სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 153 |
| 9. სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 155 |
| 10. ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 156 |
| 11. ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის ცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 157 |
| 12. ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 158 |
| 13. ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 160 |
| 14. ფსიქო-სოცირური დარღვევები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 161 |
| 15. ფსიქო-სოცირური დარღვევები, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 162 |
| 16. მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება, ღირებულება ლარში | 163 |
| 17. მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მცირე საჭიროება, ღირებულება ლარში | 164 |
| 18 – სადისკუსიო შეხვედრების სახელმძღვანელო და ცხრილი საჭირო საგნებისა და მომსახურებების შეგროვებისთვის | 165 |

„გაეროს ბავშვთა ფონდი“ ეხმარება საქართველოს მთავრობას შებენიანი შესაძლებლობის შეფასებისა და შშმ პირის სტატუსის მინიჭების სისტემის ტრანსფორმაციასა და საქართველოში შებენიანი შესაძლებლობის მეორე ბავშვთა სოციალური დაცვის ღონისძიებების ოპტიმიზაციაში. კვლევა „საქართველოში შებენიანი შესაძლებლობის მეორე ბავშვის აღზრდის ხარჯი: შშმ ბავშვების თანაბარი ჩართულობისთვის საჭირო საგნები და მომსახურებები“ შემუშავდა „გაეროს ბავშვთა ფონდის“ საქართველოს წარმომადგენლობის მიერ და მისი მიზანია საჭირო მტკიცებულებების მოპოვება შებენიანი შესაძლებლობის მხარდაჭერის სისტემის ტრანსფორმაციისთვის, რაც ამჟამად ხორციელდება საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობით. ამგვარი მტკიცებულებები უმნიშვნელოვანესია დახმარების ისეთი პაკეტის შესაქმნელად, რომელიც შესაძლებელს გახდის ინდივიდზე უფრო მეტად მისადაგებულ მხარდაჭერის სისტემასთან ბავშვების საჭიროებების მორგებას.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია გვეხმარება, უკეთ გავიგოთ ოჯახის მიერ შშმ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ის დამატებითი ხარჯები, რაც გამოწვეულია შშმ ბავშვის კომუნიკაციის, გადაადგილების, სკოლაში სიარულის, სოციალიზაციის, თანატოლებთან თამაშის და ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელი ყველა სხვა აქტივობისთვის საჭირო დამატებითი საგნებისა და მომსახურებების ღირებულებით.

კვლევის საბოლოო მიზანი იყო ინფორმაციის მოგროვება საზოგადოებაში შშმ ბავშვის თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯების დიაპაზონსა და ტიპებზე. ინფორმაციის მოსაგროვებლად მოხდა საზოგადოებაში შშმ ბავშვის სრული მონაწილეობისთვის საჭირო დამატებითი საგნებისა და მომსახურებების, ასევე - ბავშვების არსებულ გარემოში მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიმდინარე და საჭირო ხარჯების აღრიცხვა.

კვლევის ამოცანა იყო სხვადასხვა ტიპის შებენიანი შესაძლებლობისა და მხარდაჭერის სხვადასხვა საჭიროების მეორე ბავშვებისთვის აუცილებელი დამატებითი საგნებისა და მომსახურებების გამოვლენა. შემდეგ, მკვლევარები შეეცადნენ საჭირო საგნებისა და მომსახურებების ხარჯების დაახლოებითი ფარგლების დაანგარიშებას სხვადასხვა ტიპის შებენიანი შესაძლებლობისა და დახმარებების საჭიროებების სხვადასხვა დონის მეორე ბავშვებისთვის.

ამ აქტივობების მიზანი იყო სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მეორე ბავშვების ჯგუფებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების, მათი ღირებულების და დახმარების შესაბამისი საჭიროებების დონის (მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მეორე ბავშვები) გამოვლენა. განხილული იყო ბავშვების შემდეგი რვა ჯგუფი და გამოვლინდა მათთვის საგნებისა და მომსახურებების დამატებითი საჭიროებები:

1. ფიზიკური დარღვევის მეორე ბავშვები
2. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მეორე ბავშვები
3. ქცევის დარღვევის მეორე ბავშვები

4. მრავლობითი/კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვები
5. ბავშვები ფსიქო-სოცირი საჭიროებებით (მენტალური ჯანმრთელობის დარღვევა)
6. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები
7. სმენის დარღვევის მქონე ბავშვები
8. ყრუ-უსინათლო ბავშვები

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ სხვადასხვა ინტერესისა და ცოდნის მქონე მკითხველებმა შეძლონ მოწოდებული ინფორმაციის ადვილად მიკვლევა და გააზრება. ანგარიში სამი ნაწილისგან შედგება.

ნაწილი 1 - აქ მოცემულია კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია, მონაცემთა დამუშავების მეთოდოლოგიის ჩათვლით. ამის შემდეგ გაანალიზებულია და შედარებულია შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების ინკლუზიურობისთვის საჭირო საგნები და მომსახურებები. აღნიშნულ თავს ასრულებს კვლევის ძირითადი მიგნებები; მოწოდებულია მონაცემების გამოყენების გზები.

ნაწილი 2 - განხილულია და გაანალიზებულია შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ტიპები და შესაბამისი ხარჯების დეტალები.

ნაწილი 3 - მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობის თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების კონკრეტული შემთხვევების აღწერა (case studies).

ანგარიშის ბოლოს, დანართებში მოცემულია ცხრილები ყველა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ინკლუზიურობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების დეტალური სიებით, ასევე - შესაბამისი ღირებულებების შეფასებები და ამ საგნებისა და მომსახურებების გამოყენების სიხშირეები.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეული იყო სამფაზიანი თვისებრივი კვლევა.

ფაზა I: ექსპერტთა პანელის მიერ, სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მქონე ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების, მათი ღირებულების და შესაბამისი მხარდაჭერი საჭიროებების (შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფი და მხარდაჭერის საჭიროების დონე) წინასწარი იდენტიფიცირება. ექსპერტთა პანელი შედგებოდა სამედიცინო და კლინიკური პროფესიონალებისა და შშმ ბავშვების მშობლებისგან, რომელთაც ჰქონდათ შშმ ბავშვების მშობელთა ასოციაციის მხარდაჭერისა და შშმ ბავშვის უფლებებისთვის ბრძოლის დიდი გამოცდილება.

ფაზა II: ჯგუფური დისკუსიები (ფოკუს ჯგუფები), რომელთა მიზანიც იყო საჭირო საგნებისა და

მომსახურებების დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი საჭიროებების (სიხშირისა და ინტენსიობის ჩათვლით), ასევე - მათი ღირებულებისა და სახელმწიფო პროგრამების მიერ დაფარვის ვალიდაცია. ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა მშობელმა, შშმ პირმა / შშმ ბავშვმა და შესაბამისი სფეროს სპეციალისტმა.

ფაზა III: საჭირო საგნებისა და მომსახურებების (GSR) ღირებულებების კონსოლიდაცია ბაზრის კვლევისგზით. ეს გულისხმობდა იმ პროდუქტებისა და მომსახურებების გამოვლენას, რომელთა ღირებულებაც პანელისთვის არ იყო ცნობილი, ან ვერ ხერხდებოდა მათი დაკონკრეტება და ღირებულების განსაზღვრა „ონლაინ“ მაღაზიების ან საქართველოში არსებული მაღაზიების ფასების საფუძველზე.

კვლევა უმეტესად ეყრდნობოდა შშმ ბავშვების მშობელთა გამოცდილებასა და ცოდნას, ვინაიდან ამ პირებმა ყველაზე კარგად იციან დეტალები საჭირო საგნებსა და მომსახურებებზე, ასევე - მათი შვილების მიერ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არა-შშმ თანატოლების მსგავსად მონაწილეობისთვის საჭირო შესაბამის ხარჯებზე. კვლევაში ასევე გამოყენებული იყო შშმ სფეროს სპეციალისტთა და მომსახურების მომწოდებელთა ცოდნა და გამოცდილება, განსაკუთრებით იმ სარეაბილიტაციო აქტივობებსა და დამხმარე ტექნოლოგიებზე, რაც შეიძლება, სჭირდებოდეს ბავშვებს.

შეზღუდული შესაძლებლობების ყოველი ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების მიღებული სიები დაჯგუფდა ექვს კონკრეტულ კატეგორიად: (1) დამხმარე ტექნოლოგიები და მოწყობილობები; (2) პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის სერვისები; (3) სარეაბილიტაციო მომსახურებები; (4) ჯანდაცვა; (5) მობილობა/მოსაწვდომობა; და (6) სხვა. ასევე, გამოიყო 12 ქვე-კატეგორია.

საჭირო საგნებისა და მომსახურებების დაჯგუფება

| | კატეგორია | ქვე-კატეგორია |
|---|--|--|
| 1 | დამხმარე ტექნოლოგიები | დამხმარე მოწყობილობები (ჭმო-ს საერთაშორისო სია) სხვა დამხმარე მოწყობილობები |
| 2 | პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის სერვისები | პერსონალური ასისტენტი მომვლელი |
| 3 | სარეაბილიტაციო მომსახურებები | დღის ცენტრები სხვადასხვა თერაპია |
| 4 | ჯანდაცვა | ჰიგიენის პროდუქტები სამედიცინო პროცედურები / მკურნალობა |
| 5 | მობილობა / მისაწვდომობა | მედიკამენტები / სპეციალური საკვები ტრანსპორტირება |
| 6 | სხვა | ინფრაქტრუქტურა იშვიათი და ძვირადღირებული საგნები და მომსახურებები |

საგნებისა და მომსახურებების ღირებულება დაანგარიშებული იყო ჩამონათვალში შესული ყველა ერთეულისთვის, ყველა კატეგორიისა და ქვე-კატეგორიისთვის და ბავშვების ყველა ჯგუფისა (8 ჯგუფი) და ქვე-ჯგუფისთვის (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე). ყველა ჯგუფსა და ქვე-ჯგუფში დაკონკრეტებული იყო: საგნებისა და მომსახურებების მთელ ხარჯებში არსებული და საჭირო ხარჯების წილები თუ მთავრობისა და შინამეურნეობის მონაწილეობის წილები.

ერთეულის ღირებულების შეფასება მოხდა 2022 წლის საბაზრო ფასებით და იგი ასახავს არსებულ ხარჯებს ცალკეული შინამეურნეობებისთვის. საგნებისა და მომსახურებების მთავრობის მიერ მიწოდების შემთხვევაში გამოყენებული იყო მთავრობის მიერ დადგენილი ფასები. უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულებაში შედის ყოველთვიური მოხმარების საგნებისა და მომსახურებების ღირებულებები და, ასევე, იმ საგნებისა და მომსახურებების საერთო ღირებულების თვიური წილი, რომელიც მიეწოდება წელიწადში ერთხელ, ორ ან ოთხ წელიწადში ერთხელ, ან მხოლოდ ერთჯერადად.

საგნებისა და მომსახურებების დეტალური სიის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი ღირებულებების შეფასების გარდა, ყოველი ქვე-ჯგუფისთვის შეიქმნა ე.წ. „ტიპური ბავშვის პროფილები“, რაც ემსახურებოდა კონკრეტული ბავშვების ხარჯების ილუსტრირებას; შემთხვევის განხილვისას მოცემული იყო დეტალები ყოველთვიურად განმეორებად ან წლიურ ხარჯებსა და ისეთ უფრო იშვიათ ხარჯებზე, როგორცაა, მაგალითად, დამხმარე ტექნოლოგიები ან საცხოვრისის ადაპტირების საჭიროება.

ძირითადი მიგნებები

გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- **საზოგადოებაში შშმ ბავშვის თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულება საქართველოს ოჯახების უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია.**

კვლევამ დაადასტურა შშმ ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების დამატებითი ხარჯების რეალურობა. ამას ეთანხმებოდა როგორც კვლევაში ჩართული ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი, ასევე - ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილე მშობლები. თუმცა, ბევრი მათგანი გაოცებული დარჩა ხარჯების მასშტაბებითა და მრავალფეროვნებით. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ აქვს საშუალება, თავად დაფაროს შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული ასეთი მაღალი ხარჯები, რაც იმას ნიშნავს, რომ შშმ ბავშვების საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამიჯვნის ალბათობა დიდია და გამიჯვნის დონე - მაღალი. ასევე დიდია მათ ოჯახებზე არსებული ფინანსური წნეხი. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა ჯგუფურ დისკუსიებში, როდესაც მშობლები ხშირად ახსენებდნენ, რომ მათ, არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო, არ შეეძლოთ შვილებისთვის თუნდაც აუცილებელი მხარდაჭერის განევა. ამრიგად, მათ უწევდათ მძიმე გადანაცვლებების მიღება იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო პრიორიტეტი ხარჯების კუთხით.

- **სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საჭიროებების განსხვავებული კატეგორიები აქვთ.**

კვლევა გვაძლევს მყარ მტკიცებულებებს შშმ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფებში მხარდაჭერის საჭიროებების ტიპების, მასშტაბებისა და ინტენსივობის მრავალფეროვნებაზე. თითოეული ჯგუფისთვის შექმნილი სია მეტ დეტალს გვამცნობს ამ მრავალფეროვნების შესახებ.

- **ხარჯების სტრუქტურა და სიდიდე სხვადასხვა ფუნქციური სირთულისა და დახმარების სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების ჯგუფებს შორის დიდად განსხვავდება და, ყველა კატეგორიაში, მნიშვნელოვანი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვებს მეტი თანხა სჭირდებათ.**

შშმ ბავშვების საჭიროებების ეს მრავალფეროვნება იწვევს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების სტრუქტურებისა და მასშტაბების მრავალფეროვნებასაც. განსხვავებები აღინიშნება როგორც სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მქონე ბავშვების ჯგუფებს შორის, ასევე ამ ჯგუფებს შიგნითაც - მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს შორის.

- **ამჟამად არსებული სახელმწიფო სისტემა, რომლის ფარგლებში შშმ ბავშვებზე შედარებით ერთგვაროვანი დახმარება გაიცემა, არ პასუხობს მათი საჭიროებების სხვადასხვა დონესა და მრავალფეროვნებას.**

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და დადგენის ამჟამინდელი სისტემა არ ითვალისწინებს არც დახმარების სტრუქტურას ან სიდიდეს, არც ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისთვის საჭირო თანხებს; ყველა ბავშვი იღებს შეზღუდული შესაძლებლობის ერთნაირ სტატუსს - „შშმ ბავშვი“ - და ბავშვებისთვის დადგენილ ერთნაირ ფულად დახმარებას. ეს კი იწვევს იმას, რომ ძალიან ბევრი შშმ ბავშვი არ არის ადეკვატურად რეგისტრირებული ან არ იღებს შემწეობას. სახელმწიფო მხარდაჭერის შედარებით ერთგვაროვანი სისტემა ვერ პასუხობს ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებს, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფისთვის, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ამ მცირე საჭიროების მიუხედავად, გათვალისწინებულია ფულადი შემწეობისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მსგავსი პაკეტი.

- **მთავრობა ჯერ არ ფარავს ხარჯების ყველა იდენტიფიცირებულ კატეგორიას.**

ანალიზმა გამოავლინა, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა ამ ეტაპზე არ ფარავს ხარჯების ყველა იდენტიფიცირებულ კატეგორიას. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა არ მონაწილეობს, მაგალითად, მობილობის ან მისაწვდომობის მომსახურებების ღირებულების დაფარვაში. ამ ეტაპზე, არ არსებობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები, საიდანაც დაიფარებოდა საცხოვრებლის ადაპტირებისთვის საჭირო სამუშაოების ხარჯები. ამას გარდა, საქართველოში ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის უქონლობის მიუხედავად, არ არსებობს ტრანსპორტირების ხარჯის - მაგალითად, ტაქსით მომსახურების ხარჯის დაფარვის შემთხვევები. ტრანსპორტირების ხარჯები ფარავს მხოლოდ სახელმწიფო დღის ცენტრებამდე და ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ სარეაბილიტაციო

მომსახურებებამდე მიღწევას. ადაპტირებული ტრანსპორტი არსებობს მხოლოდ თბილისის ზოგიერთ რაიონში და ვერ პასუხობს მთელი საზოგადოების საჭიროებებს, ვინაიდან რეგიონული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა ძალიან ნაკლოვანია.

- **მთავრობამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უკვე მიაგნეს შშმ ბავშვების წინაშე მდგარი ზოგიერთი საკითხის გადანყვეტის გზებს.**

ქვეყანაში უკვე არის ინიციატივები, თუ როგორ და რა ფორმით უნდა მიეწოდოს ბავშვებს ზოგიერთი საჭირო საგანი და მომსახურებები. კვლევის დროს გამოვლინდა, რომ საჭირო საგნებისა და მომსახურებების ძალიან მცირე სახეობა საერთოდ არ არის საქართველოში ხელმისაწვდომი; ზოგიერთი საჭირო საგნისა და მომსახურების შემთხვევაში აუცილებელია მათი რაოდენობის გაზრდა, ზოგიერთისთვის - გასაუმჯობესებელია ხარისხი, ხოლო ზოგი საპილოტე ან სატესტო საფეხურზეა.

- **მშობლებში არის ტენდენცია, ოჯახის ლიმიტირებული ფინანსები ძირითადად სამედიცინო მომსახურებასა და სხვადასხვა თერაპიას (სარეაბილიტაციო მომსახურებებს) მოახმარონ.**

კვლევამ მოგვცა მტკიცებულებები შშმ ბავშვიანი ოჯახებისთვის დამახასიათებელ ამჟამინდელ ტენდენციაზე. ბავშვების წინ მდგარი მიმდინარე საჭიროებების პასუხად მშობლებში არის ტენდენცია, რომ უპირატესობა მიანიჭონ სარეაბილიტაციო მომსახურებებს და საკუთარ თავზე აიღონ თერაპიის ხარჯები (ან მოითხოვონ სახელმწიფოსგან თერაპიის ინტენსივობის გაზრდა), ვინაიდან თვლიან, რომ ეს არის საუკეთესო გზა მათი შვილების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გასაუმჯობესებლად. რადგანაც თერაპიას საგრძნობი თანხა სჭირდება და ოჯახების ბიუჯეტი ხშირად ძალიან შეზღუდულია, ბავშვები ვერ მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, როგორცაა, მაგალითად დასვენება და გართობა, რაც დამატებით ხარჯებს საჭიროებს.

- **რეგიონში მაცხოვრებელ ოჯახებს კიდევ მეტი დამატებითი ხარჯები აქვთ, რაც მომსახურებების გეოგრაფიული ხელმიუწვდომლობით არის გამოწვეული.**

სოფლად მაცხოვრებელ ოჯახებს მომსახურებების გეოგრაფიული ხელმიუწვდომლობით გამოწვეული დამატებითი ხარჯები აქვთ. ისინი უკავშირდება რეგულარულ მგზავრობას დიდ ქალაქებში, სადაც კონცენტრირებულია მათთვის საჭირო მომსახურებები. მგზავრობის ღირებულება სხვადასხვაა და დამოკიდებულია ოჯახის მაცხოვრებელ ადგილზე. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ასევე იყოს სხვა დამატებითი ხარჯები, რაც გამოწვეულია მომსახურების გამწვანებთან ახლოს ყოფნის სურვილის გამო მაცხოვრებლის მოკლევადიან დაქირავებასა და ამასთან დაკავშირებულ სხვა დროებითი ხარჯებით, ისევე, როგორც საჭირო მომსახურების თვითრად ან ორ თვეში ერთხელ მიღების გამო სამუშაოს დაკარგვით გამოწვეული „გამოუყენებელი შესაძლებლობის ხარჯებით“ (opportunity costs).

საჭირო საგნებისა და მომსახურებების და მათთან დაკავშირებული ხარჯების ამ დეტალურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ:

- საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობისთვის, ყველა შშმ ბავშვს სჭირდება დამატებითი საგნები და მომსახურებები. ეს საჭიროებები ძალიან განსხვავდება გამომდინარე ამ ბავშვების ფუნქციური სირთულეებიდან და მათი

საცხოვრებელი გარემოდან. ამას კი მხარდაჭერის სხვადასხვა დონის საჭიროებასთან მივყავართ.

- საჭიროებების აღნიშნული მრავალფეროვნება შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების სხვადასხვა სტრუქტურასა და მასშტაბებს მოითხოვს.
- ამჟამინდელი სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა შედარებით ერთგვაროვანია; იგი ზოგჯერ არ ითვალისწინებს და ვერ პასუხობს შშმ ბავშვების საჭიროებების სხვადასხვა დონესა და მრავალფეროვნებას.
- მაშინ, როდესაც სოციალური დაცვის ღონისძიებების ამჟამინდელი პაკეტი ზოგიერთ ბავშვს უკეთ ეხმარება, ვიდრე სხვებს, არცერთი ჯგუფი არ იღებს თანაბარი მონაწილეობისთვის საჭირო მხარდაჭერას.
- ოჯახებს უწევთ დიდი ფინანსური ხარჯის გაწევა და, უმრავლეს შემთხვევაში, არ აქვთ თანხები მათი შშმ ბავშვების თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებებისთვის.
- მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების მიმდინარე რეფორმა შესაძლებელს გახდის საჭირო დახმარების სხვადასხვა სახეობისა და დონის უკეთ გათვალისწინებას, აუცილებელი გახდება ამჟამად არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის კრიტიკული გადახედვა ბავშვების მრავალფეროვან საჭიროებებზე უფრო ადკვატურად რეაგირების გზების გამოსავლენად.

საქართველო არის მაღალი საშუალო-შემოსავლიანი ქვეყანა და მისი მოსახლეობა შეადგენს 3.78 მილიონ ადამიანს, რომელთაგანაც 24 პროცენტი არის ბავშვი.² ორი დიდი მეზობლის - თურქეთისა და რუსეთის - გეოპოლიტიკურ ინტერესებს შორის მოქცეული ქვეყანა ცდილობს, გაიკვალოს გზა და მიაღწიოს მის მიზანს, რომ გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. ამ მიზნის მისაღწევად საქართველოში იქმნება სისტემები და ინსტიტუტები, რომლებიც ეფუძნება უფლებების დაცვის ღირებულებებს და შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებსა და პრინციპებს.

საქართველომ 2014 წელს მოახდინა „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირება, რის შემდეგაც ქვეყანაში ტარდება სახელმწიფო სისტემების რეფორმირება აქ მაცხოვრებელ შშმ პირთა დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, მოსახლეობის დაახლოებით 3 პროცენტს - მათ შორის 1.4 პროცენტი ბავშვია - აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის ოფიციალური სტატუსი.³ მთავრობა ამ სტატუსს იყენებს იმისთვის, რომ მისი მწირი რესურსები ყველაზე მონყვლადი პირებისკენ მიმართოს. ამას სახელმწიფო აკეთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფულადი შემწეობისა და ძირითადად დიდ ურბანულ ცენტრებში კონცენტრირებული სპეციალური მხარდაჭერი მომსახურებების მიწოდების საშუალებით. „გაეროს ბავშვთა ფონდის“ შეფასებებით, მთავრობა მთლიანობაში შშმ პირებზე ხარჯავს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 0.5 პროცენტს, აქვე შედის შშმ ბავშვებზე დახარჯული მშპ-ს 0.12 პროცენტი.

ამ მიზნობრივი დახმარების გარდა, მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობის ფაქტორი სხვადასხვა ძირითად პოლიტიკასა და პროგრამაში აქვს გათვალისწინებული. მაგალითად, ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხდება ფონდების ტრანსფერი ხელისუფლების ცენტრალური დონიდან მუნიციპალურზე, ითვალისწინებს ადგილობრივად მაცხოვრებელი შშმ პირების რაოდენობას. ღარიბი შინამეურნეობებისთვის შექმნილი ყველაზე დიდი ფულადი დახმარების პროგრამა - „მიზნობრივი სოციალური დახმარება“ - ასევე ითვალისწინებს შშმ პირების ფაქტორს, რაც ზრდის შშმ პირიანი ოჯახის მიერ სახელმწიფოსგან მეტი ფულადი დახმარების მიღების ალბათობას.

თუმცა, ითვლება, რომ შშმ პირები კვლავ რჩებიან საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფად. ზოგიერთი ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა დროულად არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. მაგალითად, ასეთია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები და განვითარების ან ფსიქოლოგიური სირთულეების მქონე ბავშვები (როგორცაა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები), რომელთა შეზღუდული შესაძლებლობა საერთოდ ან გარკვეულ ასაკამდე არ ხდება სტატუსის მიღების პირობა. საქართველოს მოსახლეობის 33.4 პროცენტს უარყოფითი განწყობა (სტიგმა) გააჩნია შშმ პირების მიმართ, რაც ზღუდავს შშმ პირების საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისა და თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობებს.⁴ თვალსაჩინოა შშმ პირებისთვის სერვისების ნაკლებობა, განსაკუთრებით - სოფლად, შედარებით მოცილებულ და მაღალმთიან დასახლებებში; ბავშვებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სამედიცინო მომსახურებაზე; მათი

2 წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

3 წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

4 „რეალურ დროში მონაცემთა მონიტორინგის კვლევა“ 2020-2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ჩართულობა ძირითად საგანმანათლებლო სისტემაში დაბალია, ხოლო ინსტიტუციური მოვლის დაწესებულებებში - მაღალი ⁵. 2019 წელს, შშმ პირიანი ოჯახების სავარაუდო დამატებითი ხარჯები მერყეობდა თვეში 150 ლარიდან 2,500 ლარამდე შემოსავლების კვინტილებიდან გამომდინარე. ⁶

საქართველოში შშმ პირების წინ მდგარი გამოწვევების გაცნობიერებისა და „შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების გაეროს კონვენციის“ მოთხოვნების გათვალისწინებით, მთავრობამ დაიწყო შესაბამისი სისტემების ფართომასშტაბიანი რეფორმირება. ინკლუზიური განათლება კანონმდებლობით განისაზღვრა, როგორც ქვეყნის ვალდებულება და მოხდა მისი ეტაპობრივი ინსტიტუციონალიზაცია.

ამჟამად ტარდება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმა. ეს ტრანსფორმაციული პროცესია და წმინდად სამედიცინო შეფასების გარდა მოიცავს ბიო-ფსიქოლოგიურ შეფასებას. ამგვარი მიდგომა სისტემას საშუალებას მისცემს, ჰქონდეს მდიდარი ინდივიდუალური ინფორმაცია შშმ პირების საჭიროებების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის მათ უფრო ეფექტურ მხარდაჭერას.

თუმცა, ამ პროგრესის მიუხედავად, ამჟამინდელი მხარდაჭერა (მონეტარული და მომსახურებები) ლიმიტირებულია. ის არ ასახავს იმ საგნებისა და მომსახურებების მთელ სპექტრს, რაც სჭირდება სხვადასხვა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს საზოგადოებაში მათი თანასწორი მონაწილეობისთვის.

„გაეროს ბავშვთა ფონდი“ ეხმარება მთავრობას შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის განსაზღვრის სისტემის რეფორმირებაში. ის ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს მთავრობას შშმ ბავშვების სოციალური დაცვის ზომების ოპტიმიზაციისთვის რათა შეიქმნას მხარდაჭერის იმგვარი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვებისთვის აუცილებელი სხვადასხვა საჭიროება, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ დაკვეთით ჩატარდა შშმ ბავშვების ინკლუზიისა და თანასწორი მონაწილეობისთვის აუცილებელი „საჭირო საგნებისა და მომსახურებების“ და მათთან დაკავშირებული ხარჯების კვლევა. ეს ინფორმაცია გადამწყვეტია ფულადი და მომსახურებებით დახმარების იმგვარი პაკეტის შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ეფექტურად დავუკავშიროთ ბავშვების საჭიროებები მხარდაჭერის უფრო ინდივიდუალიზებულ სისტემას.

5 საქართველოში, ბავშვების 1.4 პროცენტს აქვს შშმ ბავშვის ოფიციალური სტატუსი (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით) და ბავშვების 5.6 პროცენტს აქვს მკვეთრად გამოხატული ფუნქციური სირთულე. მათგან 6.5 პროცენტი 5-17 წლისაა („ბავშვის კეთილდღეობის კვლევა“ 2022). სხვადასხვა ფორმის სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების 23 პროცენტს აქვს შშმ ბავშვის სტატუსი.

6 ამ ხარჯების დასაანგარიშებლად გამოყენებული იყო ცხოვრების დონის (The Standard of Living - SOL) მიდგომა. ამ მეთოდით ხდება შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაანგარიშება იმ შინამეურნეობების ხარჯების გაანალიზებით, ვისაც ჰყავთ და არ ჰყავთ შშმ პირები; მიდგომა აანალიზებს შშმ პირიანი ოჯახების იმ დამატებით ხარჯებს, რაც საჭიროა, რომ მათ მიაღწიონ შშმ პირის არმყოფე ოჯახების მსგავს ცხოვრების დონეს. აღნიშნული რიცხვები მიღებული იყო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „შინამეურნეობის შემოსავლისა და დანახარჯების“ (HIES) ყოველწლიური კვლევის მონაცემთა ბაზიდან. ამავე პერიოდში საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენდა 1,063 ლარს.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიში იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ სხვადასხვა ინტერესისა და ცოდნის მქონე მკითხველებმა შეძლონ წარმოდგენილი ინფორმაციის ადვილად მიგნება და გააზრება. ის სამი ნაწილისგან შედგება.

ნაწილი 1 - არის ანგარიშის მთავარი ნაწილი. მასში შედის ინფორმაცია კვლევის ამოცანაზე, მეთოდოლოგიასა და მონაცემთა დამუშავებაზე. შემდეგ მოდის შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების ინკლუზიურობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების და მათთან დაკავშირებული ხარჯების შედარება და ანალიზი. თავს ასრულებს კვლევის ძირითადი მიგნებები და მოწოდებულია მონაცემების გამოყენების გზები.

ნაწილი 2 - განხილულია დეტალები შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფისთვის. ასევე, მოწოდებულია ბავშვების კონკრეტული ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ტიპები და შესაბამისი ხარჯების შეფასებები.

ნაწილი 3 - ბავშვების კონკრეტული შემთხვევების აღწერა შეზღუდული შესაძლებლობის თითოეული ჯგუფიდან.

ბოლოს, დანართებში მოცემულია ცხრილები, სადაც წარმოდგენილია ყველა სახის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ინკლუზიისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების დეტალური სიები, შესაბამისი ხარჯების შეფასებები და მათი გამოყენების სიხშირეები.

ნაწილი I

1. კვლევის მიზანი

კვლევის საბოლოო მიზანი იყო ინფორმაციის მოგროვება საზოგადოებაში შშმ ბავშვების თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯების ფარგლებსა და სახეობებზე. ამისთვის აღირიცხა ბავშვების კონკრეტულ გარემოში არსებული როგორც ამჟამადინდელი რეალური, ასევე საჭირო ხარჯები და ის დამატებითი საგნები და მომსახურებები, რაც საზოგადოებაში მათი სრული მონაწილეობისთვის არის აუცილებელი.

უფრო კონკრეტულად, კვლევის მიზანი იყო სხვადასხვა ტიპისა და მხარდაჭერის სხვადასხვა დონის საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების და შესაბამისად - მათი ოჯახების დამატებითი ხარჯების გამოვლენა. ამის შემდეგ უნდა დაანგარიშებულიყო შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ტიპისა და მხარდაჭერის სხვადასხვა დონის საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულებების დაახლოებითი ფარგლები.

ხსენებული აქტივობების მიზანი იყო სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მქონე ბავშვთა ჯგუფებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების, ისევე, როგორც მათი ღირებულებისა და მხარდაჭერის შესაბამისი საჭიროების (მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება) დადგენა. შშმ ბავშვების ჯგუფების შექმნის კრიტერიუმად ფუნქციური სირთულების არჩევა სხვა კრიტერიუმების ნაცვლად (მაგალითად - ასაკობრივი ჯგუფის) მოტივირებული იყო იმ ფაქტით, რომ ეს კრიტერიუმი იძლეოდა მხარდაჭერის საჭიროებების მთელი სპექტრის უკეთ და უფრო ნათლად გათვალისწინების საშუალებას. ეს არჩევანი ასევე უკეთ ასახავდა მოცემული პროცესის განუყოფელი ნაწილის - შეზღუდული შესაძლებლობების მოძრაობებისა და მშობელთა ორგანიზაციების სტრუქტურებს. განხილული იყო შემდეგი რვა ჯგუფი:

- ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვები
- ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვები
- ქცევის დარღვევის მქონე ბავშვები
- მრავლობითი/კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვები
- ბავშვები ფსიქო-სოციალური საჭიროებებით (მენტალური ჯანმრთელობის დარღვევა)
- მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები
- სმენის დარღვევის მქონე ბავშვები
- ყრუ-უსინათლო ბავშვები

კვლევა დაფუძნებულია შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემდეგ განმარტებებზე:

| | |
|---|---|
| ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები, ვისაც ძირითადად აქვთ ფიზიკური და მოტორიკის (მსხვილი და ნატიფი მოტორიკა) უნარების დაქვეითება, რაც უზღუდავს მათ მოტორიკასთან დაკავშირებულ აქტივობებს და, შესაბამისად - ყოველდღიური საქმიანობების შესრულებას. ზოგ შემთხვევაში, ფიზიკური დარღვევა შეიძლება, მანიფესტირებული იყოს კოგნიტური დაქვეითებით. |
| ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები, ვისაც ძირითადად აქვთ შემეცნებითი უნარების დაქვეითება, რაც გავლენას ახდენს პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაზე, ადაპტაციურ ქცევასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებაზე. |
| ქცევის დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები, ვისაც ინტელექტუალურ დაქვეითებასთან ერთად ძირითადად ქცევითი დაქვეითება აღენიშნებათ. |
| კომპლექსური (და სამედიცინო) დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები, ვისაც პარალელურად აქვთ მოტორიკის, ინტელექტუალური და სენსორული ფუნქციების სხვადასხვა ხარისხის დაქვეითება. ყველაზე მძიმე შემთხვევებში, ბავშვებს ასევე შეიძლება ჰქონდეთ დამატებითი სამედიცინო საჭიროებებიც, რაც მათ ხშირ ჰოსპიტალიზაციას იწვევს. კომპლექსური საჭიროების მქონე ბავშვები ყოველთვის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე პირებად ითვლებიან. თუმცა, ამ კვლევის ფარგლებში, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონედ განიხილებიან კომპლექსური საჭიროების მქონე ბავშვები, ვისაც ასევე აქვს დამატებითი სამედიცინო საჭიროება და/ან სჭირდებათ ხშირი ჰოსპიტალიზაცია; ხოლო ტერმინი „მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვები“ გულისხმობს მათ, ვისაც პარალელურად აქვთ მოტორიკის, ინტელექტუალური და სენსორული ფუნქციების სხვადასხვა ხარისხის სირთულეები, მაგრამ აღენიშნებათ ნაკლები სამედიცინო საჭიროება. |
| ბავშვები ფსიქო-სოციალური საჭიროებებით (მენტალური ჯანმრთელობის დარღვევა) | მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები. შეზღუდული უნარის ხარისხი დგინდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად და რა სიმძიმით ხდება ამ შეზღუდული უნარის მანიფესტირება. |
| მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები მხედველობის სხვადასხვა ხარისხის სირთულეებით. |
| სმენის დარღვევის მქონე ბავშვები | ბავშვები სმენის სხვადასხვა ხარისხის სირთულეებით. |
| ყრუ-უსინათლო ბავშვები | ბავშვები, ვისაც ერთდროულად აქვთ სმენისა და მხედველობის სირთულეები. აქ შეიძლება შედიოდეს სრულიად ყრუ-უსინათლო ბავშვები, ზოგჯერ ახლდეს ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, ან იყოს ერთი სენსორული არხის სრული დაქვეითება და ნარჩენი მდგომარეობა მეორე სენსორულ არხში. მოცემული კვლევის ფარგლებში, სმენის-მხედველობის სრული დაქვეითების მქონე ბავშვები შეყვანილი არიან მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების ქვე-კატეგორიაში; ხოლო მხარდაჭერის მცირე საჭიროება გულისხმობს ბავშვებს, ვისაც აქვთ (a) სმენის სრული დაქვეითება და ნარჩენი მხედველობა, ან (b) სრული უსინათლობა და ნარჩენი სმენა. |
| მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებში შედიან ისინი, ვისაც აღენიშნება ძალიან საგრძნობი სირთულეები ან არ შეუძლიათ ყოველდღიური საქმიანობების დამოუკიდებლად შესრულება. ყოველდღიურ საქმიანობებში მონაწილეობისა და ჩართვისთვის ისინი სრულად და მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი მთელ რიგ სხვადასხვა დამხმარებელ მოწყობილობაზე და ამავედროულად სხვა პირის, ხშირად მშობლის(-ების) მხრიდან მნიშვნელოვან მხარდაჭერაზე/დახმარებაზე. | |
| მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებში შედიან ისინი, ვისაც დამოუკიდებელი ფუნქციონირებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩართვისთვის სჭირდება დამხმარე მოწყობილობები და/ან შედარებით ნაკლები ადამიანური მხარდაჭერა/დახმარება. დამხმარე მოწყობილობებისა და/ან ასისტენტის საშუალებით ამ ბავშვებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. | |

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად შერჩეული იყო სამფაზიანი თვისებრივი გამოკითხვა.

ფაზა I: სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მქონე ბავშვებისთვის ექსპერტთა პანელის მიერ საგნებისა და მომსახურებების, მათთან დაკავშირებული ხარჯების და შესაბამისი მხარდამჭერი საჭიროებების (შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი და მხარდაჭერის საჭიროების დონე) წინასწარი იდენტიფიცირება.

ფაზა II: ჯგუფური დისკუსიები საჭირო საგნებისა და მომსახურებების დაკმაყოფილებული და დაუკმაყოფილებელი საჭიროებების (სიხშირისა და ინტენსივობის ჩათვლით), ასევე - მათი ღირებულებებისა და სახელმწიფო პროგრამების მიერ დაფარვის ვალიდაციისთვის. ფაზა III: საჭირო საგნებისა და მომსახურებების (GSR) ღირებულებების კონსოლიდაცია ბაზრის კვლევის მეშვეობით. ეს გულისხმობდა იმ პროდუქტებისა და მომსახურებების იდენტიფიცირებას, რომელთა ღირებულებაც პანელისთვის არ იყო ცნობილი ან ვერ ხერხდებოდა ღირებულების დაკონკრეტება და განსაზღვრა „ონლაინ“ ან საქართველოში არსებული მაღაზიების ფასების საფუძველზე.

კვლევა უმეტესწილად ეყრდნობოდა შშმ ბავშვების მშობელთა გამოცდილებასა და ცოდნას, ვინაიდან მათ ყველაზე კარგად იციან დეტალები შესაბამის ხარჯებზე, რაც საჭირო საგნებისა და მომსახურებებისთვის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი შვილების არა-შშმ თანატოლების მსგავსად მონაწილეობისთვის არის აუცილებელი. კვლევაში ასევე გამოყენებული იყო მომსახურების მომწოდებელთა ცოდნა და გამოცდილება, განსაკუთრებით იმ სარეაბილიტაციო აქტივობებსა და დამხმარე ტექნოლოგიებზე, რაც შეიძლება, სჭირდებოდეს შშმ ბავშვებს.

ფაზა I:

საგნებისა და მომსახურებების დეტალური სიის ჩამოსაყალიბებლად, კვლევის ადრეულ ეტაპზე შეიქმნა ექსპერტთა 12 წევრიანი პანელი. მასში შედიოდნენ შშმ ბავშვების მშობლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები და უფროსი ასაკის პირები, და შშმ ბავშვებთან მომუშავე კლინიკური ექსპერტები (მათ შორის: ოკუპაციური თერაპევტები (2), ფსიქოლოგი (1), ნეიროფსიქოლოგი (1), და გავნითარების საკითხებზე მომუშავე პედიატრი (1)). შერჩეული მშობლები და შშმ პირები წარმოადგენდნენ მშობელთა სხვადასხვა ასოციაციის წევრ სხვა მშობლების შედარებით დიდ რაოდენობას. მშობლებს მათი შვილების სოციალური ინკლუზიისთვის პირადად ბრძოლის გამოცდილება ჰქონდათ. შერჩეულ სპეციალისტებს ჰქონდათ სხვადასხვა კატეგორიის შშმ ბავშვებთან მუშაობის ფართო კომპეტენცია და შეეძლოთ საჭირო საგნებისა და მომსახურებების გამოსავლენად პროფესიული დიალოგის წარმართვა მშობლებთან და შშმ პირებთან.

საჭირო საგნებისა და მომსახურებების იდენტიფიცირება გაკეთდა შშმ ბავშვების მიერ სახლში და მის ფარგლებს გარეთ შემდეგი ყოველდღიური რუტინის შესრულების ანალიზის საფუძველზე: თავის მოვლა; სახლში და სახლს გარეთ გადაადგილება; ოჯახის

წევრებთან, თანატოლებთან და სხვებთან კომუნიკაცია; საბავშვო ბაღსა და სკოლაში სიარული; საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა; გართობასა და დასვენებასთან დაკავშირებული აქტივობები; საჭირო საყოველთაო და საჯარო მომსახურებების ხელმისაწვდომობა; სხვა აქტივობები.

ექსპერტთა პანელმა შეიმუშავა საჭირო საგნებისა და მომსახურებების დეტალური სია რვავე ჯგუფისთვის (და 17 ქვე-ჯგუფისთვის). იმის გათვალისწინებით, რომ ყოველ ჯგუფში გამოყოფილი იყო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვთა ორი ქვე-ჯგუფი, ხოლო სმენისა და მხედველობის პარალელური სირთულეების მქონე ბავშვების ჯგუფში სამი ქვე-ჯგუფი შეიქმნა, ჯამში გაანალიზდა 17 ქვე-ჯგუფის საჭიროებები. საგნებისა და მომსახურებების სია შევიდა ექსპერტთა პანელის მიერ შექმნილ პირველად კითხვარშიც და ჯგუფური დისკუსიების სახელმძღვანელო კითხვარშიც, რომლის საშუალებითაც შემდეგ მოხდა სხვა მშობლებისგან ინფორმაციის მოგროვება და ვერიფიკაცია.

იხ. დანართი N18 – ჯგუფური დისკუსიების სახელმძღვანელო კითხვარი, რომლის საშუალებით მოხდა საჭირო საგნებისა და მომსახურებების შესახებ ინფორმაციის მოგროვება.

ფაზა II:

საჭირო საგნებისა და მომსახურებების პირველადი სიის შექმნის შემდეგ, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 ჯგუფური დისკუსია, მათ შორის ერთი - თავად შშმ ბავშვებთან.⁷ მშობლების თითო ფოკუს ჯგუფი ეძღვნებოდა ერთ კონკრეტულ ჯგუფსა და მხარდაჭერის საჭირო დონეს. დისკუსიებში სულ მონაწილეობა მიიღო 56-მა ზრდასრულმა პირმა და შეზღუდული შესაძლებლობის ოთხმა ბავშვმა.

თითოეული ფოკუს ჯგუფის მიზანი იყო საჭირო საგნისა და მომსახურებებზე ექსპერტთა პანელის მიერ მოწოდებული სიის ვალიდაცია იმის დასაბუხსტებლად, რომ არაფერი იყო გამორჩენილი. ჯგუფურმა დისკუსიებმა ღირებული ინფორმაცია მოგვცა იმაზე, თუ რა საგნებსა და მომსახურებებზე ხარჯავენ ოჯახები ამჟამად ყველაზე მეტ თანხას და რამდენს ხარჯავენ თვეში ამ პროდუქტებზე. ანგარიშში მათ ეწოდებათ „არსებული ხარჯები“ ეწოდათ. ჯგუფური დისკუსიების მონაწილეების რეკრუტირებისას მნიშვნელოვანი იყო, რომ შერჩეული მშობლები წარმოადგენდნენ ბავშვების სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებიდან.

შენიშვნა: ჯგუფურ დისკუსიებში ჩართვა დიდი გამოწვევა იყო სოფლად მაცხოვრებელი მშობლებისთვის ხარისხიან ინტერნეტთან მათი შეზღუდული წვდომისა და ციფრული ტექნოლოგიების ცოდნის სიმწირის გამო. მეტიც, დისკუსიების ხანგრძლიობა ზოგჯერ სამ საათს აჭარბებდა, რაც ურთულეობდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს, გამოეძებნათ დისკუსიაში მონაწილეობისთვის შესაბამისი დრო, ვინაიდან ისინი ძირითადად დაკავებული იყვნენ სახლში მათ შვილებზე ზრუნვით.

⁷ გამოკითხვის პერიოდში COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ფოკუს ჯგუფები „ონლაინ“ რეჟიმში ჩატარდა.

საქართველოში მენტალური ჯანმრთელობის დარღვევასთან დაკავშირებული სტიგმის გამო, ძალიან რთული იყო ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ბავშვების მშობლების ჩართვა ჯგუფურ დისკუსიებში. შესაბამისად, ჯგუფური დისკუსია ჩატარდა ამ ჯგუფის ბავშვებთან მომუშავე სოციალურ მუშაკებთან, მომვლელებთან და სხვა სპეციალისტებთან. ამას გარდა, რთული იყო ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ყრუ-უსინათლო ბავშვების მშობლების მონვევა საიდენტიფიკაციო მექანიზმების არარსებობისა და საჭირო მომსახურებებზე ოჯახების შეზღუდული წვდომის გამო. ეს ის ელემენტებია, რაც ამ ჯგუფს განსაკუთრებით „უხილავს“ ხდის. შესაბამისად, ამ კონკრეტული ჯგუფის წევრი ბავშვების საჭიროებების ანალიზი მოხდა ექსპერტთა პანელის პროფესიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით.

ფაზა III:

სხვადასხვა საგნისა და მომსახურების ღირებულებაზე გაურკვევლობის დასაძლევად და იმ საგნების ღირებულების დასადგენად, რომლებიც საქართველოში არ იშოვება, ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. მისი მიზანი იყო საჭირო ნივთების შესახებ საუკეთესო ფასებზე ინფორმაციის მოგროვება საქართველოში (თუ ხელმისაწვდომია) და გლობალურად.

3. მონაცემთა დაგეგმვა

კვლევის პირველ სამ ფაზაზე მოგროვებული მონაცემები შემდეგნაირად დამუშავდა:

იდენტიფიცირებული საგნებისა და მომსახურებების კატეგორიზაცია

ექსპერტთა პანელისა და ჯგუფური დისკუსიების წევრებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის ყოველი ჯგუფისთვის მიღებული საჭირო საგნებისა და მომსახურებების სია ექვს კატეგორიად დაიყო: (1) დამხმარე ტექნოლოგიები და პროდუქტები; (2) პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები; (3) სარეაბილიტაციო მომსახურებები; (4) ჯანდაცვა; (5) მობილობა/მისაწვდომობა; (6) სხვა. ასევე გამოიყო 12 ქვე-კატეგორია.

ცხრილი N1: საგნებისა და მომსახურებების მაგალითები ყველა კატეგორიაში

| | კატეგორიები | ქვე-კატეგორიები | საგნები და მომსახურებები |
|---|--|--|---|
| 1 | დამხმარე ტექნოლოგიები | დამხმარე ტექნოლოგიები (ჯმო-ს საერთაშორისო სია) | ეტლი პოზის კონტროლით, ნაწოლის შემამსუბუქებელი ბალიში, გადასაადგილებელი ჩარჩო, დასადგომი საშუალება, ორტეზები (სპლინტი), ორთოპედური მატრასი, აბაზანის/შხაპის სკამი, სხვ. |
| | | სხვა დამხმარე მოწყობილობები | გადასაყვანი დაფა, ადაპტირებული ჭიქა, ადაპტირებული დანა-ჩანგალი და კოვზი, წინსაფარი, სენსორული სათამაშოები, საქანელა/ჭამაკი, სხვ. |
| 2 | პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები | პერსონალური ასისტენტი | პერსონალური ასისტენტი |
| | | მომვლელი | მომვლელი |
| | | დღის ცენტრი | დღის ცენტრი, სახლში მოვლა |
| 3 | სარეაბილიტაციო მომსახურებები | თერაპია | ადრეული ჩარევის მომსახურება, აბილიტაცია/რეაბილიტაცია (შედის ფიზიკური, ოკუპაციური, სენსორული, კვებითი და/ან მეტყველების და ენის თერაპია, ფსიქოლოგი); ქცევითი თერაპია, სექსოლოგის კონსულტაცია; ხელოვნების („არტ“) თერაპია, საცხენოსნო, წყლის ან მუსიკის თერაპია; სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურებები (ტრანსპორტირების ჩათვლით), სხვ. |
| 4 | ჯანმრთელობის დაცვა | ჰიგიენის პროდუქტები | საფენები, სპეციალური შამპუნი (საპნის გარეშე), სპეციალური კრემი და ფხვნილი (პუდრი) დამწვარი კანისთვის, სახის სპეციალური ჰიპო-ალერგიული კრემი, სხვ. |
| | | სამედიცინო პროცედურები / მკურნალობა | ამბულატორიული კონსულტაცია, სტაციონარული ზრუნვა, ბოტულინუმ ტოქსინი, ელექტრო-ენცეფალოგრაფია, სამედიცინო კონსულტაცია, ანესთეზია სტომატოლოგიური მომსახურებისას, სხვ. |
| | | მედიკამენტები / სპეციალური საკვები | სპეციალური კვება, მედიკამენტები (ფსიქოტროპული, კუჭის დამცავი და სხვა მედიკამენტები), სხვ. |
| 5 | მობილობა/ მისაწვდომობა | ტრანსპორტი | ტაქსის მომსახურება / სანჯავის ხარჯი |
| | | ინფრასტრუქტურა | საცხოვრებლის შეკეთება |
| 6 | სხვა | იშვიათი და ძვირადღირებული ⁸ | გადასაყვანი ამწე |

⁸ ქვე-კატეგორია „იშვიათი და ძვირადღირებული“ გულისხმობს იმ საგნებსა და მომსახურებებს, რომელსაც (1) ბავშვები იშვიათ შემთხვევაში იყენებდნენ (მაგ.: დიალიზი); (2) არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში და მხოლოდ რამდენიმე ბავშვს ჰქონდა გამოყენებული (მაგ.: ბრაილის ნოუთ-თეიქერი „ბლოკნოტი“) ან (3) ძვირი იყო და ამიტომ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებით იყო ხელმისაწვდომი (მაგ.: ამწე)

ყოველ ჯგუფსა და ქვე-ჯგუფში დადგინდა საგნებისა და მომსახურებების წილი მთელ ხარჯებში.

მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებები

შეზღუდული შესაძლებლობის თითოეულ ჯგუფში მოხდა ფასების კატეგორიების ერთმანეთთან შედარება მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ამ შედარებებმა გამოავლინა, რამდენად მაღალი და რამდენად განსხვავებულია მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების მოვლის ხარჯები მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ხარჯებთან შედარებით.

არსებული და საჭირო ხარჯები

რამდენადაც შესაძლებელი იყო, მკვლევართა ჯგუფი ეცადა, განეცალკევებინა არსებული ხარჯები და დაუკმაყოფილებელ საჭიროებებთან დაკავშირებული საჭირო ხარჯები. ამან შესაძლებელი გახადა, შეგვექმნა წარმოდგენა ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების დაფარვაში არსებულ დეფიციტზე. „შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის“ (HIES) მონაცემების ადრე ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ შემოსავლების დაბალ კვინტილებში მყოფ შინამეურნეობებს აქვთ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის ძალიან მწირი საშუალება (იხ. ცხრილი N2). ამ კვლევაში ვცადეთ, დაგვედგინა მიმდინარე ხარჯები გადახდის ფინანსური საშუალების მქონე შინამეურნეობებისთვის, რომლებიც, სავარაუდოდ, შემოსავლის უფრო მაღალი კვინტილებიდან არიან და სავარაუდოდ, აქვთ განათლების უფრო მაღალი დონე და ინფორმაციის უკეთესი წვდომა.

ცხრილი N2: HIES 2018-ის მონაცემთა ანალიზი „ცხოვრების დონის“ მეთოდის გამოყენებით - შშმ წევრიანი (ბავშვები და ზრდასრულები) ოჯახების დამატებითი გასავალი ოჯახის პირადი ბიუჯეტიდან

| | დამატებითი ხარჯები (შემოსავლის პროცენტი) | შემოსავლის მედიანა (ლარი/თვეში) | დამატებითი ხარჯი (ლარი/თვეში) | შშმ წევრიანი ოჯახის საშუალო პენსია/შემწეობა (ლარი/თვეში) |
|-------------------|--|---------------------------------|-------------------------------|--|
| სულ | 38 პროცენტი | 1,063 | 406 | 189 |
| ქალაქი | 37 პროცენტი | 1,132 | 415 | 171 |
| სოფელი | 37 პროცენტი | 961 | 354 | 216 |
| კვინტილები | | | | |
| ყველაზე ღარიბი | 57 პროცენტი | 263 | 149 | 216 |
| მეორე | 17 პროცენტი | 538 | 92 | 338 |
| საშუალო | 25 პროცენტი | 830 | 208 | 380 |
| მეოთხე | 26 პროცენტი | 1,261 | 332 | 375 |
| ყველაზე მდიდარი | 102 პროცენტი | 2,438 | 2491 | 342 |

პერსონალური ასისტენტის მომსახურების ღირებულება

კვლევის მიზანი იყო, შეგვეფასებინა დამხმარე პირთან, ზრუნვასა და დახმარებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, რაც სჭირდებათ შშმ ბავშვებს შესაბამისი ასაკის არა-შშმ ბავშვებთან შედარებით. აქ შედის აუნაზღაურებელი ზრუნვა, დღის ცენტრის მომსახურება და ოჯახების მიერ ბავშვისთვის დაქირავებული მომვლელი ან მისი პერსონალური ასისტენტი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჭირო დამატებითი მხარდაჭერის ერთი საათის ღირებულება შეფასებულია ამ მომსახურებით 2022 წელს სარგებლობის ფასებით და არა “გამოუყენებელი შესაძლებლობის ხარჯებით”, რაც არის მშობლების მიერ განეული აუნაზღაურებელი შრომა მაშინ, როდესაც მათ შეეძლოთ შემოსავლის მიღება შრომის ბაზრიდან. მიუხედავად იმისა, რომ, შინამეურნეობის ტიპიდან გამომდინარე, ამ მიდგომით ხარჯები გადაჭარბებით ან ნაკლებობით შეიძლება შეფასებულიყო, ის მაინც არის აუნაზღაურებელი ზრუნვის შეფასების ყველაზე თანმიმდევრული გზა.

სხვადასხვა ჯგუფებიდან მიღებული მონაცემების კონსოლიდაცია

მონაცემების მოგროვების შემდეგ საჭირო გახდა სხვადასხვა ჯგუფებისთვის საჭირო მსგავსი საგნების ხარჯების ჰარმონიზაცია. ამას შემდეგი მიზეზები ჰქონდა:

განსხვავებული ხარჯები იდენტური საკითხებისთვის

იმისგამო, რომ სხვადასხვა ჯგუფთან მშობლებისა და დასპეციალისტების სხვადასხვა ნწყვილები მუშაობდა, ზოგჯერ, ერთსა და იმავე საგანზე გადმოცემული ფასები განსხვავებული იყო, რაც სხვადასხვა წყაროდან გამომდინარეობდა. ფასების ჰარმონიზაცია მოხდა შესაბამისი მონაწილეების ჩართულობითა და ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

გადაჭარბებული მოთხოვნა დაუკმაყოფილებელ საჭიროებებზე

მაშინ, როდესაც მშობლებს ჰქონდათ მკაფიო და ერთმანეთის თანმხედრი შეფასებები არსებულ საგნებსა და მომსახურებებზე, დაუკმაყოფილებელ საჭიროებებზე მოცემული შეფასებები ზოგჯერ მომსახურების მომწოდებელთა კითხვებს აჩენდა, განსაკუთრებით სარეაბილიტაციო მომსახურებების ტიპების, სიხშირისა და ინტენსიობის საკითხებში. თერაპიის ზოგიერთი მოთხოვნილი სახეობის შემთხვევაში არ იყო ხოლმე წარმოდგენილი დამადასტურებელი არგუმენტები. მომსახურებათა ზოგ მოთხოვნილ კომბინაციებში შეიძლება ყოფილიყო დუბლირება და ასეთი სიხშირით მათი მიღება არა მხოლოდ არაეფექტური, ბავშვისთვის საზიანოც კი შეიძლება, რომ ყოფილიყო. ამდენად, კვლევაში მონაწილე სპეციალისტები (პედიატრები, ოკუპაციური თერაპევტები და ფსიქოლოგები) შეთანხმდნენ, რომ დუბლირების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავალი იყო თერაპიის სახეობების დაჯგუფება და მათი შესაბამისი სიხშირისა და ინტენსივობის დაკორექტირება.

მონაცემთა შეწონვა

მას შემდეგ, რაც მოხდა ბავშვების ყველა ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების კონსოლიდირება, ყოველ ჯგუფში შეიქმნა ბავშვების ორი ქვე-ჯგუფი (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვები).

იმისათვის რომ თითოეულ ქვე-ჯგუფისთვის საშუალო ხარჯები განსაზღვრულიყო, საჭირო გახდა ყოველი ნივთის საჭიროების შეწონვა, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარეობდა, რომ მოცემულ ქვეჯგუფში ყველა ბავშვს არ სწირდებოდა ყველა საგანი და მომსახურება ინკლუზიისთვის. მაგალითად, მობილობის სირთულეების მქონე ზოგ ბავშვს შეიძლება სჭირდებოდეს ინტენსიური ფიზიოთერაპია, ხოლო სხვებს - არა. ქვეყნისთვის ოფიციალური მონაცემების არარსებობის გამო (შეზღუდული შესაძლებლობების ბოლოდროინდელმა კვლევამ (შეზღუდული შესაძლებლობების მოდალური კვლევა, ჯმო) შეიძლება, მოგვცეს დამატებითი დეტალები), ექსპერტთა პანელში შემავალმა კლინიკურმა სპეციალისტებმა შეაფასეს ქვე-ჯგუფში იმ პირთა წილი, ვისაც შეიძლება, სჭირდებოდეს კონკრეტული საგნები (მაგ.: მათი შეფასებით, ეტლი დასჭირდება ფიზიკური დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების 100 პროცენტს, ხოლო ამ ჯგუფის ბავშვების დაახლოებით 80 პროცენტს დასჭირდება აბაზანის/შხაპის სკამი და დაახლოებით 60 პროცენტს - თანხები საცხოვრებლის ადაპტირებისთვის). ამან საშუალება მოგვცა, შეგვექმნა მონაცემთა შეწონვის სქემა, რამაც ყოველი ქვე-ჯგუფისთვის მთლიანი საშუალო შეწონილი ხარჯის დაანგარიშება გახადა შესაძლებელი.

განმეორებადი თვიური ხარჯების გარდა, მოხდა წლიურად ან უფრო იშვიათად შესასყიდი საგნების ღირებულების პროპორციული გადანაწილება ერთი თვის ხარჯზე. ანუ, შესაბამისი პროდუქტის ღირებულება თავდაპირველად გაიყო მის სამომხმარებლო ხანგრძლიობაზე, შემდეგ კი - 12 თვეზე.

მონაცემთა მოგროვებისა და დამუშავების შედეგად შეიქმნა 17 დეტალური სია, თითო - შშმ ბავშვების ყოველი ქვე-ჯგუფისთვის. სიებში შედიოდა საჭირო საგნებისა და მომსახურებების აღწერა, მათი სავარაუდო ღირებულება, საჭიროების პროცენტული მაჩვენებელი და შეწონილი ღირებულებები.

ხარჯების თეორიული დაფარვასახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურებებიდან

პოლიტიკისა და ადგილზე დაფინანსებული საჯარო მომსახურებების დეტალურ მიმოხილვასა და ფოკუს ჯგუფებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა თითოეულ საგანის ღირებულებაში სახელმწიფო დაფინანსების თეორიული წილის შეფასება. აღნიშნული დაფინანსების ფარგლები მერყეობდა 0 პროცენტიდან (ყველა ხარჯი ოჯახიდან დაიფარებოდა) 100 პროცენტამდე (ყველა ხარჯი სახელმწიფო პროგრამებიდან დაიფარებოდა). ხარჯების თეორიულ დაფარვაზე მითითება გულისხმობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მითითებული საგანსა ან მომსახურებას სახელმწიფო აფინანსებს საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობა ბევრისთვის შეზღუდულია ან ამგვარი მომსახურება ბევრგან საერთოდ არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უკვე შექმნილია რიგი მომსახურებები და პროგრამები და ისინი თანდათანობით იზრდება, მათი მიღება ძირითადად დედაქალაქში - თბილისში

და სხვა დიდ ქალაქებში არის შესაძლებელი. ასეთივეა მდგომარეობა ბევრ ქვეყანასა და დიდ ქალაქებში. სოფლად, მთიან ან მოშორებულ მხარეებში, მომსახურებები არ არსებობს, ან ადვილად მისაწვდომი არ არის. ასევე, ფონდების, ადამიანური რესურსების ან პროვაიდერთა სიმწირემ შეიძლება შეზღუდოს ოფიციალურად გარანტირებული მხარდაჭერის მიღება.

მნიშვნა გადაჭარბებით შეფასებაზე

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფასების დაანგარიშება მოხდა 2022 წლის საბაზრო ფასებით და არ ყოფილა გათვალისწინებული მომავალში ფასების შესაძლო მნიშვნელოვანი მატება ან ერთეულის უფრო დაბალი ფასები, რაც მთავრობის მიერ გაწეული მნიშვნელოვანი დაფინანსების შემთხვევაში იქნებოდა. თუმცა, ეს გავლენას ვერ მოახდენდა ღირებულებების შეფასების მასშტაბებზე, სტრუქტურასა ან მრავალსახეობაზე.

4. მონაცემთა პრეზენტაცია


4.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურების ღირებულებების შედარებითი ანალიზი

4.1.1. შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფის მთლიანი თვიური ხარჯები

კვლევის შედეგად შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურების ღირებულებების შედარება. ეს შედარებანათლად გვჩვენებს, რომ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვიანი ოჯახების ხარჯები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც მასშტაბით, ასევე - შემადგენლობით.

დიაგრამა N4.1 გვჩვენებს ყველა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო თვიურ ხარჯს.

დიაგრამა N4.1 – თვიური საჭირო ხარჯი შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის, ლარი



შენიშვნა: BH_H, BH_L – ქვევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L – კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L – ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L – ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; HEAR_H, HEAR_L – სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L – მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) – ყრუ-უსინათლო, სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) – ყრუ-უსინათლო, ნარჩენი მხედველობით.


ასევე, საჭირო ხარჯების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შეზღუდული შესაძლებლობის ტიპსა და კატეგორიაზე.

მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე შშმ ბავშვებისთვის საჭირო ხარჯები მერყეობს 1,304 ლარიდან 6.270 ლარამდე. ამ თანხაში შედის ყოველთვიურად მოსახმარი


საგნებისა და მომსახურებების ღირებულება და ასევე - ყოველ ორიდან ოთხ წელიწადში ერთხელ ან ერთჯერადად შესაძენი ნივთების თვიური წილი. სიყრუე-უსინათლობა, კომპლექსური სამედიცინო საჭიროებები და ქცევითი დარღვევები ასოცირდება ყველაზე მაღალ დამატებით ხარჯებთან, ხოლო ფსიქოლოგიური დარღვევების ან მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვებს ყველაზე დაბალი თვიური ხარჯი სჭირდებათ.

მხარდაჭერის მცირე საჭიროებების მქონე შშმ ბავშვების შემთხვევაში, საჭირო ხარჯები ვარირებს 344 ლარიდან (ფსიქოლოგიური) 5.758 ლარამდე (ყრუ-უსინათლო). მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების მსგავსად, ორივე სენსორული არხის (სიყრუე-უსინათლობა) დაქვეითების მქონე ბავშვების თვიური ხარჯი ყველაზე მაღალია, ხოლო ფსიქოლოგიური დარღვევების და/ან სმენის დარღვევების მქონე ბავშვების თვიური ხარჯი - ყველაზე დაბალი. დიაგრამები N4.2.1. და N4.2.2. წარმოგვიდგენს შეზღუდული შესაძლებლობის ქვე-ჯგუფების განაწილებას მათი შესაბამისი ხარჯების მიხედვით.

დიაგრამა N4.2. — სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფების რიგითობა საჭირო თვიური ხარჯების მიხედვით (ლარი), მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვები




დიაგრამა N4.3 – სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფების რიგითობა საჭირო თვიური ხარჯების მიხედვით (ლარი), მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვები



დამატებითი ხარჯების მასშტაბების უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში შინამეურნეობის საშუალო შემოსავალი არის 248 ლარიდან 3,580 ლარამდე, შემოსავლის დეცილის ჯგუფიდან გამომდინარე, ხოლო ქვეყნის მასშტაბით საშუალო (mean) შემოსავალი 1,221.8 ლარს შეადგენს.⁹

მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯი საშუალოდ 48-დან 52 პროცენტამდე მეტია, ვიდრე იგივე მაჩვენებელი მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. დიაგრამა N4.4 გვჩვენებს ქვე-ჯგუფებს შორის განსხვავებებს.

დიაგრამა N4.4 – საჭირო თანხებში სხვაობა მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფებს შორის (პროცენტი ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თანხებიდან)




⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, 2021. ამის მსგავსად, საშუალო თვიური შემოსავალი ერთ პირზე იცვლება დეცილების ჯგუფების მიხედვით 90 ლარიდან 1,040 ლარამდე, ხოლო საშუალო შემოსავალი ერთ პირზე არის 346.7 ლარი.

ხარჯებში ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიკვეთა ფსიქოლოგიური დარღვევის, ფიზიკური დარღვევის და ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვთა ჯგუფების ქვე-ჯგუფებს შორის. ყველაზე მცირე განსხვავება აღინიშნა ორივე სენსორული არხის დაქვეითების მქონე ბავშვთა ჯგუფის ქვე-ჯგუფებს შორის.

4.1.2. შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფსა და ქვე-ჯგუფში თვიური ხარჯების განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე ხარჯების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ყოველი ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის, აუცილებელი ხარჯების განაწილება საგნებსა და მომსახურებებს შორის სხვადასხვაგვარი იყო, თუმცა, აღინიშნა საერთო ტენდენციაც: თვიური ხარჯების უმნიშვნელოვანესი წილი მომსახურებებზე მოდიოდა. ამ ტენდენციიდან გამონაკლისი იყო ხარჯები მხედველობისა და სმენის დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სადაც საგნებისა და მომსახურებების ხარჯები თითქმის თანაბარია.

დიაგრამა N4.5. — თვიური ხარჯების განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე ხარჯების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფსა და ქვე-ჯგუფში (პროცენტი ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თანხებიდან)




შენიშვნა: BH_H, BH_L — ქვევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L — კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L — ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L — ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება, HEAR_H, HEAR_L — სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L — მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) — ყრუ-უსინათლო, სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) — ყრუ-უსინათლო, ნარჩენი მხედველობით. ქვე-ჯგუფების სახელების წინ მოცემული რიცხვები (მაგ.: 4974 Bh_h) აჩვენებს ამ კონკრეტული ქვე-ჯგუფისთვის საგნებისა და მომსახურებების მთლიან თვიურ ხარჯს.

ყველა ქვე-ჯგუფის მონაცემების გათვალისწინებით, საშუალოდ, ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი ხარჯების 29 პროცენტი საქონელს სჭირდება, ხოლო 71 პროცენტი - მომსახურებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემი არის ყველა ჯგუფის საშუალო მაჩვენებელი. ყველა კატეგორიაში რომ გვექონოდა ინფორმაცია ბავშვების რაოდენობაზე და ეს პროცენტები შშმ ბავშვების მთელი პოპულაციისთვის ყოფილიყო დაანგარიშებული, საგნებსა და მომსახურებებს შორის ეს აღნიშნული განაწილება გარკვეულწილად განსხვავებული იქნებოდა, თუმცა მაინც დიდად იქნებოდა გადახრილი მომსახურებებისთვის აუცილებელი ხარჯებისკენ.


4.1.3. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიებს შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფსა და ქვე-ჯგუფში

გამოკვლევამ ნათლად აჩვენა, რომ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობისა და მხარდაჭერის სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვებისთვის აუცილებელი დამატებითი ხარჯების განაწილება განსხვავებულია ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N4.6. — შშმ ბავშვთა ქვე-ჯგუფების რიგითობა ხარჯების კატეგორიების თვიური თანხების მიხედვით, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონეები (ლარი)




დიაგრამა 4.7. — შშმ ბავშვთა ქვე-ჯგუფების რიგითობა ხარჯების კატეგორიების თვიური თანხების მიხედვით, მცირე საჭიროების მქონეები (ლარი)




შენიშვნა: BH_H, BH_L — ქვევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L — კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L — ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L — ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება, HEAR_H, HEAR_L — სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L — მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უხსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) — ყრუ-უხსინათლო, სრულიად უხსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) — ყრუ-უხსინათლო, ნარჩენი მხედველობით.

დიაგრამა N4.8.— ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე შშმ ბავშვთა ქვე-ჯგუფებისთვის (ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თანხის პროცენტი)



დიაგრამა N4.9. — ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე შშმ ბავშვთა ქვე-ჯგუფებისთვის (ზრუნვაზე დახარჯული მთელი თანხის პროცენტი)



შენიშვნა: BH_H, BH_L — ქვევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L — კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L — ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L — ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება, HEAR_H, HEAR_L — სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L — მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უხსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) — ყრუ-უხსინათლო, სრულიად უხსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) — ყრუ-უხსინათლო, ნარჩენი მხედველობით.

ხარჯების კატეგორიების მიხედვით ხარჯების საშუალო განაწილება, ყველა ქვე-ჯგუფის მონაცემების გათვალისწინებით, მოცემულია ცხრილში N3. ცხრილი ნათლად გვჩვენებს, რომ საშუალოდ, ხარჯების დიდი ნაწილი ეთმობა „რეაბილიტაციასა“ და „პერსონალური ასისტენტის მომსახურებასა და ზრუნვას“, შემდეგ კი მოდის კატეგორია „დამხმარე ტექნოლოგიები“.

ცხრილი N3. — ხარჯების საშუალო განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

| ხარჯების კატეგორიები | საშუალო |
|---------------------------------|-------------|
| რეაბილიტაცია | 34 პროცენტი |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | 33 პროცენტი |
| დამხმარე ტექნოლოგიები | 20 პროცენტი |
| ჯანდაცვა | 8 პროცენტი |
| მობილობა /მისაწვდომობა | 5 პროცენტი |

“პერსონალური ასისტენტის გარეშე, ბავშვის სოციალიზაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი მონაწილეობა გამორიცხულია. მაგრამ ბავშვს ყოველთვის სახლში ვერ დატოვებ იმის გამო, რომ არ ჰყავს პერსონალური ასისტენტი. ამრიგად, გვიწევს ოჯახის სხვა წევრების ჩართვა, თუმცა ოჯახის წევრი ყველას არ ჰყავს...”

- ქცევის დარღვევის მქონე 15 წლის ბიჭის დედა,
მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

“დამხმარე პირი ძალიან საჭიროა. ზოგჯერ, ჩემს შვილს 12 წლის ასაკის მეორე ბავშვთანაც კი ვტოვებ ხოლმე, რომ უცხად გავიდე მომსახურების ვაუჩერის მიღებისთვის საჭირო საბუთების ჩასაბარებლად.”

- ფიზიკური დარღვევის მქონე 14 წლის ბიჭის დედა,
მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

ხარჯების კატეგორიების მიხედვით ხარჯების განაწილების ანალიზისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები: „დამხმარე ტექნოლოგიებზე“ საშუალო თვიური ხარჯი ყველა კატეგორიის ხარჯებს შორის მესამე ადგილზეა (რაც არ არის მაღალი) მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთები საკმაოდ ძვირადღირებულია და რომ ოჯახს (ან სახელმწიფოს) ხშირად უწევს ძალიან მნიშვნელოვანი თანხის გადახდა შესაბამისი ნივთის შესაძენად. ზრუნვაზე დახარჯული საშუალო თვიური თანხის გამოთვლისას და იმის გათვალისწინებით, რომ დამხმარე ტექნოლოგიის შესყიდვა ძირითადად ხდება ორ, სამ ან ოთხ წელიწადში ერთელ, და რომ მათი მთლიანი ღირებულება გადანაწილდება შესყიდვებს შორის პერიოდზე, დამხმარე ტექნოლოგიებზე თვეში დახარჯული თანხის წილი იკლებს. ეს ხარჯები რომ შენონილიყო ყველა კატეგორიაში ბავშვების რაოდენობის მიხედვით (ნაცვლად კატეგორიებს შორის მათი უბრალოდ გასაშუალოებისა), სხვა პროცენტებს მივიღებდით. თუმცა, ძირითადი მიგნება, თუ სად არის კონცენტრირებული ყველაზე მეტი ხარჯი, არ შეიცვლებოდა.

“ბევრი დამხმარე მოწყობილობა არ ფინანსდება. ასევე არ ფინანსდება ავტომობილის სავარძელი ჩემი 14 წლის შვილისთვის, ან - ავტომობილის ადაპტირება. ეს მთლიანად ოჯახის ხარჯია. ასევე, ძალიან რთულია მათი ადაპტირება. მე ავუჯის სახელოსნოშიც კი წავედი იმისვის, რომ სავარძელის ფორმა ჩემი შვილის საჭიროებების გათვალისწინებით დაემზადებინათ და შალითა შეეკერათ“.

- ფიზიკური დარღვევის მქონე 14 წლის ბიჭის დედა,
მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

“სახელმწიფო რომ გვაწვდის სატურაციის, ინჰალაციის, ჟანგბადის და სხვა აუცილებელ დანადგარებს, აღარ დაგვჭირდებოდა ხშირი ვიზიტი ჰოსპიტალში და, ამრიგად, დავზოგავდით მათ რესურსებს. მათ ჭკვიანურად უნდა დააფინანსოს ჩვენთვის საჭირო დახმარება.”

- კომპლექსური დარღვევის (სამედიცინო) მქონე 8 წლის გოგოს დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

4.1.4. სახელმწიფოსა და ოჯახების ხარჯების წილები

საჭირო საგნებისა და მომსახურებების მთლიანი ხარჯიდან სახელმწიფოს თეორიული წილის ანალიზმა საინტერესო ტენდენცია აჩვენა: მთავრობა თითქმის ერთგვაროვან დახმარებას უწევს (თვიური ფულადი დახმარებისა და საგნებისა და მომსახურებების მიწოდების გზით) ბავშვების ყველა ჯგუფს, შეზღუდული შესაძლებლობის ტიპისა და ხარისხის მიუხედავად. თეორიულად, კონკრეტულ ადგილებში მომსახურებების არსებობის შემთხვევაში, მთავრობის მიერ განეულმა დახმარებამ უნდა დაფაროს მთლიანი დამატებითი თვიური ხარჯების დაახლოებით 39 პროცენტი.


მთავრობის მხარდაჭერაში არ არის გათვალისწინებული შშმ ბავშვების ცალკეული მახასიათებლები და საჭიროებები. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების ამჟამინდელი სისტემა არ იძლევა შშმ ბავშვთან დაკავშირებული ინდივიდუალური მდგომარეობის იდენტიფიცირების საშუალებას.

შედეგად, დგება პარადოქსული სურათი: მთავრობა უკეთ ეხმარება მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების, ვიდრე მნიშვნელოვანი საჭიროების მქონეებს. ამრიგად, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს მეტის დახარჯვა უწევთ საკუთარი ჯიბიდან.

დიაგრამა N4.10. და დიაგრამა N4.11. ასახავს სახელმწიფოს თეორიულ მხარდაჭერას სხვადასხვა შეზღუდული საჭიროების მქონე ბავშვების ჯგუფებისა და ქვე-ჯგუფებისთვის.


დიაგრამა N4.10. — ზრუნვასთან დაკავშირებული ხარჯების თეორიული გადანაწილება სახელმწიფოსა და ოჯახებს შორის, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფები (ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თანხის პროცენტი)

ზრუნვასთან დაკავშირებული ხარჯების თეორიული გადანაწილება სახელმწიფოსა და ოჯახებს შორის, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფები



დიაგრამა N4.11 – ზრუნვასთან დაკავშირებული ხარჯების თეორიული გადანაწილება სახელმწიფოსა და ოჯახებს შორის, მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფები (ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თანხის პროცენტი)

ზრუნვასთან დაკავშირებული ხარჯების თეორიული გადანაწილება სახელმწიფოსა და ოჯახებს შორის, მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფები



შენიშვნა: BH_H, BH_L – ქცევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L – კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L – ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L – ინტელექტუალური ფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; HEAR_H, HEAR_L – სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L – მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) – ყრუ-უსინათლო, სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) – ყრუ-უსინათლო, ნარჩენი მხედველობით.

დიაგრამა N4.10 გვაჩვენებს, რომ ქცევის დარღვევის და ფიზიკური დარღვევის მქონე ქვე-ჯგუფებში შემავალი, დახმარების მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვები სახელმწიფოსგან ყველაზე ნაკლებ დახმარებას იღებენ. დიაგრამა 4.11. გვაჩვენებს, რომ მცირე საჭიროების მქონე ქვე-ჯგუფში ყველაზე ნაკლები სახელმწიფო დახმარება აქვთ უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვებს, ყრუ და ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვებს, და ქცევის დარღვევის მქონე ბავშვებს.

პირველი შეხედვით, დაბალი ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მხარდაჭერა ყველაზე მეტია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ამ კონკრეტული ჯგუფის თვიური ხარჯები ყველაზე დაბალია, შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება სრულად ფარავს მათ არსებულ საჭიროებებს. მაგრამ სახელმწიფო დახმარება ეძლევა მხოლოდ თბილისში მაცხოვრებელ ბავშვებს და ეს დახმარება საერთოდ არ აქვთ სხვა რეგიონში მაცხოვრებლებს. შესაბამისად, ყველა კატეგორიისთვის საშუალო სახელმწიფო დახმარების დაანგარიშებისას, ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ჯგუფი გათვალისწინებული არ ყოფილა.

შედეგად გამოვლინდა, რომ საშუალო სახელმწიფო დახმარება შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად მხოლოდ 30 პროცენტია. ბავშვებზე ზრუნვაზე საჭირო დანარჩენ ხარჯებს მთლიანად ოჯახები გასწევენ.


4.1.5. სხვაობა ყოველთვიურად საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

კვლევის მიგნებები მიუთითებს საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულებასა და ოჯახების მიმდინარე ხარჯებს შორის არსებულ სხვაობებზე (დიაგრამები N 4.12.a და b.). კვლევის მიზანი იყო, მშობლების წვლილის გათვალისწინებით, ოჯახების მიერ გასაწევი ხარჯების დადგენა იმ შემთხვევაში, ამ ოჯახებს მაღალი საშუალო კლასის ფინანსური საშუალებები რომ ჰქონოდათ. ამ სცენარის მიხედვით, სავარაუდოდ, ოჯახები უკეთ იქნებოდნენ ინფორმირებული იმაზე, თუ რასაგნები და მომსახურებები დაეხმარებოდა მათ ბავშვებს საზოგადოებაში მონაწილეობისთვის. ყველა ჯგუფიდან მიღებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ საშუალოდ და ამ ეტაპზე, იხარჯება საჭირო თანხაზე 59 პროცენტით ნაკლები.


“ჩემს შვილს ბევრი რამ სჭირდება, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ძვირია. რომ შეგვეძლოს, მეტი დამხმარებლობა გვექნებოდა. მაგრამ ჩვენ ყველაფერზე არ მიგვიწვდება ხელი. მაგალითად, ჩემს შვილს სჭირდება რეგულირებადი მაგიდა სკამით. მაგრამ ჩვენი პრიორიტეტი ყოველთვის იყო შესაფერისი ეტლის შექმნა და ოჯახის მთელი რესურსები ამას მოხმარდა. დანარჩენზე უარის თქმა მოგვიწია.”

- კომპლექსური დარღვევის (სამედიცინო) მქონე 17 წლის ბიჭის დედა

დიაგრამა N4.12.a. გვარჯენებს ყველა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის საჭირო და არსებულ ხარჯებს და მათ შორის სხვაობას.



დიაგრამა N4.12.b. – საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის სხვაობა შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფისთვის (ლარი და მთლიანი ხარჯის პროცენტული წილი)



შენიშვნა: BH_H, BH_L – ქვევის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; COMP_H, COMP_L – კომპლექსური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PHIS_H, PHIS_L – ფიზიკური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; INTEL_H, INTEL_L – ინტელექტუალური სფეროს დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; PSYCH_H, PSYCH_L ფსიქო-სოციალური დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; HEAR_H, HEAR_L – სმენის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; VIS_H, VIS_L – მხედველობის დარღვევა, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროება; DEAF.BL_H ყრუ-უსინათლო, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება; DE.BL_L(BLI) – ყრუ-უსინათლო, სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენით; DE.BL_L(DEAF) – ყრუ-უსინათლო, ნარჩენი მხედველობით.

ჯგუფების საჭიროებების ცალკე გაკეთებული ანალიზით გამოვლინდა, რომ არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის ყველაზე დიდი სხვაობა არის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებში და ყრუ-უსინათლო ბავშვებში.

განსხვავება შედარებით ნაკლებია დახმარების მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში შემდეგი ჯგუფებიდან: ქცევითი, ფიზიკური, ინტელექტუალური და სმენის დარღვევები.

„ცხოვრების დონის მეთოდის“ გამოყენებით HIES 2018-ის მონაცემების ანალიზის შედეგად (ცხრილი N2) გაკეთდა შეფასებები იმ დამატებით ხარჯებზე, რისი დაფარვაც შშმ პირიან (ბავშვები და მოზრდილები) ოჯახებს ამჟამად საკუთარი ბიუჯეტიდან უწევთ. ეს ხარჯები იწყება 406 ლარიდან ყველაზე დაბალ კვინტილში მყოფი შინამეურნეობებისთვის და აღწევს 2,491 ლარს ყველაზე მაღალი კვინტილის შინამეურნეობებში. კვლევის მიერ გამოვლენილ ხარჯებთან შედარებისას, აღნიშნული მონაცემები გვაჩვენებს, რომ მხოლოდ შემოსავლის ყველაზე მაღალ კვინტილში მყოფ შინამეურნეობებს შეიძლება ჰქონდეთ უნარი, გადაიხადონ საჭირო საგნებისა და მომსახურებების საშუალო ღირებულების თანხა. მაგრამ, მათაც კი არ შესწევთ ძალა, დაფარონ მნიშვნელოვანი საჭიროებების მქონე ჯგუფების ბავშვებზე ზრუნვისთვის აუცილებელი ხარჯები.

“კარგი სათამაშოები ძვირია. ჩემს გოგონას ახალი სათამაშო სჭირდება მინიმუმ ორ კვირაში ერთხელ. ხარისხიანი სათამაშო 80 ლარამდე ღირს. ის ასევე უსაფრთხოც უნდა იყოს, ვინაიდან ბავშვი მას ხშირად პირში იღებს. ახლა ხარისხიან სათამაშოებს ვეღარ ვყიდულობ. პრიორიტეტი მოვლისთვის საჭირო პროდუქტებს ენიჭება. გვჭირდება საფენები, ინჰალატორი, იმდენი რამ, რომ აღარ მრჩება სათამაშოების შესაძენი თანხა.“

- ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე 8 წლის გოგონას დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

5. კვლევის ძირითადი მიზნები

გაანალიზებული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი ძირითადი მიზნები:

- შშმ ბავშვების თანასწორი მონაწილეობისთვის, საჭირო საგნებისა და მომსახურებების ხარჯები საქართველოში მაცხოვრებელი ოჯახების უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია.

“სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სარეაბილიტაციო მომსახურებები არასაკმარისია. მე, ისევე, როგორც სხვა ოჯახებს, არ შემიძლია ბავშვისთვის დამატებითი სესიების ჩატარება, ვინაიდან მთელი ჩემი შემოსავალი ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობა არის, რაც არ არის საკმარისი.”

- ფიზიკური დარღვევის მქონე 12 წლის გოგონას დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

კვლევამ დაადასტურა, რომ შშმ ბავშვებს ნამდვილად აქვთ დამატებითი ხარჯები საჭირო საგნებისა და მომსახურებების მისაღებად. ამას ეთანხმებოდა როგორც კვლევაში ჩართულ ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი, ასევე - ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილე მშობლები. თუმცა, ბევრ ადამიანში გაცხება გამოიწვია ხარჯების მასშტაბებმა და მრავალფეროვნებამ. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას არ შეუძლია საკუთარი ჯიბიდან ამდენი თანხის გადახდა შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად, რაც იმას მიუთითებს, რომ შშმ ბავშვების გამორიცხვა საზოგადოების ცხოვრებიდან რეგულარულად და ძალიან ხშირად ხდება და მათი ოჯახები ფინანსური წნეხის ქვეშ იმყოფებიან. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა ჯგუფურ დისკუსიებში, რომლის დროსაც მშობლები ხშირად ახსენებდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ შვილებისთვის თუნდაც ბაზისური მხარდაჭერის განწევა არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო; ამრიგად, მათ უწევდათ რთული გადაწყვეტილებების მიღება ხარჯებში პრიორიტეტების განსაზღვრაზე.

“როდესაც ბავშვს კბილი სტკივა, გვიწევს მისი მკურნალობის გადადება, რომ შევძლოთ რამდენიმე კბილის ერთდროულად მკურნალობა. და, რასაკვირველია, ჩვენ ვტკუნთ ჩვენს შვილს, ვინაიდან ვიცით, რომ ყოველ ჯერზე ვერ გადავიხდით სედაციის თანხას.”

- ქვევის დარღვევის მქონე 13 წლის ბიჭის დედა

“ჩვენ გვჭირდება ადაპტირებული მიკროავტობუსი, სადაც შეგვეძლება ეტლში მჯდომი ბავშვის შეგორება. ჩვენ ყავარჯნებიც კი არ გვაქვს და მე მიწევს 60 კგ-მდე წონის ბავშვის აწევა და მანქანაში ხელით ჩასმა. ამ სირთულეების გამო ჩვენ შევწყვიტეთ გარეთ გასვლა. რეალურად, სადმე თუ გავდივართ, ეს არის მხოლოდ საავადმყოფო.”

- **შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ტიპის მქონე ბავშვებს განსხვავებული კატეგორიების საჭიროებები აქვთ.**

კვლევამ მოგვცა ძლიერი მტკიცებულებები შშმ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფებისთვის აუცილებელი საჭიროებების განსხვავებულ სახეობებზე, შინაარსსა და ინტენსივობაზე. ყოველი ჯგუფისთვის შექმნილი სია მეტ სიღრმისეულ დეტალს გვანვდის ამ მრავალფეროვნების შესახებ.

- **ხარჯების სტრუქტურა და მასშტაბი ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა ფუნქციური პრობლემისა და მხარდაჭერის სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების ჯგუფებს შორის. მხარდაჭერის ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს ყველა კატეგორიაში ყველაზე მეტი ხარჯი სჭირდებათ.**

შშმ ბავშვების საჭიროებების ასეთი მრავალფეროვნება ნიშნავს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების მრავალფეროვან სტრუქტურასა და მასშტაბებს. ეს განსხვავება აღინიშნება სხვადასხვა ფუნქციური სირთულის მქონე ბავშვების ჯგუფებს შორის, მაგრამ ასევე ფიქსირდება ამ ჯგუფებს შიგნით - მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვებს შორისაც.

“275 ლარი [შეზღუდული შესაძლებლობის თვითური შემწეობა] არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. ეს თანხა ფარავს მხოლოდ საკვების, საფენებისა და ჰიგიენის სხვა პროდუქტების ხარჯებს.”

- ფიზიკური და ინტელექტუალური სფეროს დარღვევების მქონე ორი ბიჭის მამა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

- **შშმ ბავშვების მხარდაჭერის ამჟამინდელი მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული სახელმწიფო სისტემა ვერ პასუხობს მათი საჭიროებების დონესა და მრავალფეროვნებას.**

შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და დადგენის საქართველოში მოქმედი ამჟამინდელი სისტემა არ ითავლისწინებს შშმ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისთვის საჭირო მხარდაჭერის სტრუქტურას, დონეს, ან ხარჯებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა ბავშვი შშმ პირის ერთნაირ სტატუსს იღებს. ეს არის სტატუსი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი“, რომელიც ბავშვებისთვის უნიფიცირებულ ფულად შემწეობას ითვალისწინებს. შედეგად, შშმ ბავშვების ძალიან დიდ რაოდენობას არ აქვს ადეკვატური რეგისტრაცია ან შესაბამისი დაფარვა. სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის შედარებითი ერთფეროვნება ვერ პასუხობს ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებს, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის ყველა ჯგუფს ეძლევა ფულადი შემწეობისა და სარეაბილიტაციო პროგრამების მსგავსი პაკეტი, მიუხედავად იმისა, მხარდაჭერის საჭიროების მქონეთა რომელ კატეგორიაში არიან ისინი - მნიშვნელოვანი თუ მცირე.

“სმენის პრობლემების გამო ჩვენ ძირითადად გვჭირდება სმენისა და მეტყველების აბილიტაცია. თუმცა, სმენის პრობლემების ყველა ბავშვს არ ეკუთვნის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში მონაწილეობა. საჭიროა, განვითარების სხვა სფეროებშიც იყოს შეფერხება. ძალიან ხშირად, ბავშვებს არ გააჩნიათ მოტორიკის უნარების თანმხლები საჭიროებები და მათ არ სჭირდებათ ფიზიკური თერაპიის სესიები, მაგრამ მათთვის აუცილებელია მეტყველებისა და ენის მეტი თერაპია. მომსახურება არ არის მოქნილი. თუ ბავშვს მხოლოდ სმენისა და მეტყველების თერაპია სჭირდება, ჩვენ უნდა დავუკავშირდეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა ეს პროგრამა ყველა მუნიციპალიტეტს არ აქვს.”

- სმენის დარღვევის მქონე 6 წლის ბიჭის დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

“მომსახურებები არ არის მოქნილი. ჩემს შვილს სჭირდება რეაბილიტაცია და ფიზიკური თერაპია სახლის გარემოში. ის გაიზარდა და ისე დამძიმდა, რომ არსებული ბარიერების გამო ვეღარ მივდივართ სარეაბილიტაციო ადგილებში. არ არსებობს ადაპტირებული ტრანსპორტი; ჩვენ არ გვყავს ავტომობილი, ამიტომ მისი ხელით წაყვანა მიხდებოდა. ჩვენ უამრავ ენერჯიას ვხარჯავთ სარეაბილიტაციო ცენტრამდე მიღწევისთვის. რატომ არ შეიძლება, ფიზიკური თერაპია სახლის პირობებში ჩაუტარდეს?”

- კომპლექსური დარღვევის მქონე 17 წლის ბიჭის დედა

– მთავრობა ჯერ არ ფარავს ხარჯის ყველა გამოვლენილ კატეგორიას.

კვლევამ აჩვენა, რომ, ამ ეტაპზე, მთავრობის მხარდაჭერა არ ფარავს ხარჯის ყველა გამოვლენილ კატეგორიას. ეს ნიშნავს, რომ მთავრობა, მაგალითად, საერთოდ არ მონაწილეობს მობილობისა ან მისაწვდომობის მომსახურებების საფასურის დაფარვაში. ამჟამად არ არსებობს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული რამე პროგრამები საცხოვრებლის სარემონტო ხარჯების დასაფარად იმისათვის, რომ სახლი საჭიროებების შესაბამისად ადაპტირებული გახდეს. ამას გარდა, არ არსებობს ტრანსპორტირების ხარჯების - მაგალითად, ტაქსის მომსახურების დაფარვის შემთხვევები, მიუხედავად იმისა, რომ ამაზე მოთხოვნა მაღალია საქართველოში არა-ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამო. ტრანსპორტირების ხარჯებში იფარება მხოლოდ დღის ცენტრებამდე ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულ სარეაბილიტაციო მომსახურებებამდე მისასვლელი მგზავრობის ღირებულება. ადაპტირებული ტრანსპორტი თბილისის მხოლოდ ზოგიერთ უბანში არსებობს და ის ვერ პასუხობს მთლიან მოთხოვნას, ვინაიდან რეგიონული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა საკმაოდ ნაკლოვანია.

“ყველა მუნიციპალიტეტი არ აფინანსებს მეტყველებისა და ენის თერაპიას. მეტყველების თერაპია ფინანსდება მხოლოდ ზოგ მუნიციპალიტეტში წელიწადში 1,000 ლარით, ან წელიწადში ოთხჯერ, ყოველ ჯერზე 250 ლარით. მე ვიცი ბავშვი, რომელსაც სმენის ჩემი შვილის მსგავსი პრობლემა აქვს; მუნიციპალიტეტი, სადაც იქ ცხოვრობს, აფინანსებს ამ რეაბილიტაციას, ხოლო ჩვენი - არა. ეს ძალიან უსამართლოა.”

- სმენის დარღვევის მქონე 4 წლის ბიჭის დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

“ცენტრალური მთავრობა აფინანსებს მეტყველებისა და ენის თერაპიის კურსებს იმ ბავშვებისთვის, ვინც იღებს კოხლეარულ იმპლანტებს. ჩვენ კოხლეარული იმპლანტაცია არ გვეკუთვნის. მაგრამ ჩემს ბავშვს ასევე სჭირდება სხვადასხვა სახის თერაპია სმენისა და მეტყველების განვითარებისთვის. აბილიტაციის მომსახურების დაფინანსება მისთვის არ ხდება; მე მიწევს მთელი ღირებულების გადახდა.”

- სმენის პრობლემების მქონე 2 წლის გოგონას დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

- მთავრობამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უკვე მიაკვლიეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების წინაშე მდგარი ბევრი საკითხის გადანყვეტის გზებს.

ქვეყანაში არსებული ნინციტივები, რომელთა მიზანია საჭირო საგნებისა და მომსახურებებისთვის არსებული მრავალფეროვანი გადასაწყვეტი საკითხების მოგვარება. კვლევის შედეგად გამოვლენილი საგნებიდან და მომსახურებებიდან მხოლოდ ძალიან ცოტაა, რომელიც საქართველოში საერთოდ არ არსებობს. ზოგიერთი სახის განუღი დახმარება საჭიროებს გაზრდას, ზოგ შემთხვევაში საჭიროა ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო ზოგიერთი ჯერ საპილოტე და ტესტირების ეტაპზეა.

“კოხლეარული იმპლანტაციის შემდეგ რეაბილიტაციას სახელმწიფო მხოლოდ 18 თვე აფინანსებს. როდესაც ბავშვი მეტყველების განვითარების ადრეულ ეტაპზეა, რეაბილიტაცია, გაგრძელების ნაცვლად, წყდება. შესაბამისად, რაღაც პერიოდის შემდეგ, ვინაიდან ბავშვები ვერ იღებენ საჭირო მხარდაჭერას და სმენა და მეტყველება არ პროგრესირებს, ისინი იღებენ პროცესორს და აღარ იყენებენ მას. ეს მთავრობის რესურსების გაფლანგვაა.”

- 11 წლის ბიჭის დედა, მცირე საჭიროების მქონე

“ის, რასაც მუნიციპალიტეტი აფინანსებს, არასაკმარია. თვეში საფენების 3 შეკვრა გვჭირდება, რაც 150 ლარი გვიჯდება. ადგილობრივი მთავრობა მხოლოდ სამ თვეში ერთხელ აფინანსებს სამ შეკვრას, რაც არ არის საკმარისი. ასევე, ყოველ მესამე თვეს, მჭირდება ცნობების მოგროვება და ჩაბარება ამ მხარდაჭერის მისაღებად. ბავშვების მდგომარეობა ამ პერიოდში არ იცვლება. მაშინ, რა მიზეზით მთხოვენ მუდმივად მისი მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთების მიტანას?”

- ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე 12 წლის ბიჭის დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

„მთავრობა ნამდვილად აფინანსებს ზოგიერთ დამხმარე მოწყობილობას. მაგრამ დახმარების საბოლოოდ მისაღებად ჩვენ ძალიან რთული პროცედურის გავლა გვიწევს. საბუთების მოგროვება, შემდეგ - გადაწყვეტილების ლოდინი. მაგალითად, განცხადების შეტანიდან თითქმის წელიწადნახევარი ველოდეთ კორსეტის მიღებას. და როდესაც მივიღეთ, ბავშვი უკვე გაზრდილი იყო და ხერხემლის გამრუდება ბევრად გაუარესებული ჰქონდა.“

- ფიზიკური დარღვევის მქონე 14 წლის გოგოს დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

- მშობლებში არის ტენდენცია, ოჯახის შეზღუდული რესურსები ძირითადად ჯანმრთელობის დაცვასა და სხვადასხვა თერაპიას (სარეაბილიტაციო მომსახურებები) მოახმარონ.

კვლევამ მოგვცა შშმ ბავშვიან ოჯახებში არსებული ამჟამინდელი ტენდენციის მტკიცებულება. ბავშვების არსებული საჭიროებების საპასუხოდ, მშობლებში არის ტენდენცია, უპირატესობა მიანიჭონ სარეაბილიტაციო მომსახურებებს და საკუთარ თავზე აიღონ თერაპიის ხარჯები (ან სახელმწიფოსგან მოითხოვონ თერაპიის ინტენსივობის გაზრდა), ვინაიდან მათ სჯერათ, რომ ეს არის საუკეთესო გზა მათი შვილების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გასაუმჯობესებლად. რადგან თერაპიას საგრძნობი თანხები სჭირდება და ოჯახების ბიუჯეტი ხშირად ძალიან შეზღუდულია, ბავშვებს აკლდებათ სხვა დამატებითი აქტივობები, როგორცაა დასვენება და გართობა, რაც მეტ თანხებს მოითხოვს.

“ფინანსური შესაძლებლობა რომ მქონდეს, რასაკვირველია, ბავშვს მეტ თერაპიაზე მივიყვანდი. მე არ მაქვს მაგდენი შემოსავალი და ამიტომ არ მაქვს ამის საშუალება. თუმცა, თერაპია ნამდვილად სჭირდება. ყოველ თვე. რასაც ჯანმრთელი ბავშვები ყოველდღიურად აკეთებენ, ვინაიდან მათ შეუძლიათ მოძრაობა, იმის პასიურად გასაკეთებლად ჩვენს შვილებს დახმარება სჭირდებათ. ამიტომაც მჭირდება ორმაგად მეტი თერაპია.“

- კომპლექსური დარღვევის მქონე 14 წლის გოგოს დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

- რეგიონებში მაცხოვრებელ ოჯახებს მეტი დამატებითი ხარჯები აქვთ მომსახურებების გეოგრაფიული ხელმოუწვდომლობის გამო.

სოფლად მაცხოვრებელ ოჯახებს დამატებითი ხარჯები აქვთ, რაც გამომწვეულია მომსახურებების გეოგრაფიული ხელმოუწვდომლობის პრობლემით. დამატებითი ხარჯები უკავშირდება ტრანსპორტირებას დიდი ქალაქებში, სადაც მომსახურებები არის თავმოყრილი. ტრანსპორტირების ღირებულება სხვადასხვაა და დამოკიდებულია ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ასევე იყოს მომსახურების მიღების სიახლოვეს სამყოფად საცხოვრებლის მოკლევადიანი დაქირავებით და შესაბამისი სხვა ხარჯებით გამომწვეული დამატებითი ხარჯები. ასევე, ოჯახს შეიძლება ჰქონდეს „გამოუყენებელი შესაძლებლობის ხარჯები“, რაც გამომწვეულია ყოველთვის ან ორ თვეში ერთხელ მომსახურების მიღების საჭიროების გამო სამსახურის დაკარგვით.

“ყოველი სარეაბილიტაციო კურსი 1,000 ლარი გვიჯდება და მასში სხვადასხვა თერაპიის ფასიც შედის. სარეაბილიტაციო კურსებისთვის ჩვენი საცხოვრებელი ადგილიდან თბილისში გვიწევს ჩამოსვლა, ვინაიდან ჩვენთან ეს მომსახურება არ არის. თბილისში ადრე ნათესავთან ვცხოვრობდით ხოლმე, თუმცა თავად ვინდიდით ტრანსპორტირების ხარჯს. წლების განმავლობაში ასე გრძელდებოდა. ახლა, რაც სხვა შვილებიც გვყავს, ვეღარ მივდივართ ქალაქში. მე ჩემს შვილს [ამჟამად] მხოლოდ მასაჟს ვუკეთებ და ამის მთელ ღირებულებას ოჯახი ვინდიდით.”

- ფიზიკური დარღვევის მქონე 12 წლის ბიჭის დედა, მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე

საჭირო საგნებისა და მომსახურებების და მათთან დაკავშირებული ხარჯების დეტალურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ:

- საზოგადოებაში თანასწორი მონაწილეობისთვის ყველა შშმ ბავშვს შეიძლება, სჭირდებოდეს დამატებითი საგნები და მომსახურებები და ეს საჭიროებები ძალიან განსხვავებულია ბავშვების ფუნქციური სირთულეების ტიპებისა და მათი გარემოდან გამომდინარე, რაცაც მხარდაჭერის სხვადასხვა დონის საჭიროებამდე მივყავართ.
- ამ მრავალფეროვნებას მოაქვს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების განსხვავებული სტრუქტურები და მასშტაბები.
- სახელმწიფო დახმარების ამჟამინდელი სისტემა შედარებით ერთფეროვანია და არ ითვალისწინებს და არ პასუხობს შშმ ბავშვების საჭიროებების სხვადასხვა დონესა და მრავალფეროვნებას.
- მაშინ, როდესაც ამჟამად არსებული პაკეტი ბავშვების ზოგიერთ ჯგუფს სხვა ჯგუფებზე უკეთ უჭერს მხარს, არცერთი ჯგუფი იღებს თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო მხარდაჭერას.

- ოჯახებს აწვებათ დიდი ფინანსური ხარჯები და, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ვერ ახერხებენ მათი შვილების საზოგადოებაში თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულების გადახდას.
- მაშინ, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების მიმდინარე რეფორმა მოგვცემს საჭირო დახმარების მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა დონის უკეთ გათვალისწინების საშუალებას, აუცილებელია ამჟამად არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის კრიტიკული გადახედვა ამ მრავალფეროვნებაზე უფრო ადეკვატური რეაგირების გზების გამოსავლენად.

6. კვლევის გამოყენება

შეზღუდული შესაძლებლობებისადმი ადრე არსებული მიდგომებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სისტემა ამ უკანასკნელ დრომდე არ ახდენდა მონაცემების სისტემატურ მოგროვებასა და ანალიზს. არ არსებობდა დეტალური კვლევები ან შეზღუდული შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები შშმ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფებისა და ქვე-ჯგუფების განსხვავებულ საჭიროებებზე. ამან მოიტანა მხარდაჭერის საკმაოდ ერთგვაროვანი სისტემა, რომელიც არ იყო მიმართული შშმ ბავშვების მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინებით მათი საზოგადოებაში თანასწორად ჩართვისთვის საჭირო ადეკვატური დახმარებისკენ.

მოცემული კვლევა იძლევა შესაძლებლობას, ნათლად გავიაზროთ სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებისთვის საჭირო მხარდაჭერის მრავალფეროვნება და მასშტაბები და ამ მხარდაჭერის გასაწევად მათი ოჯახების ხარჯები. ამ კვლევით საქართველოს მთავრობამ მიიღო მტკიცებულებები იმ ხარჯების სტრუქტურასა და მასშტაბებზე, რაც შეზღუდული შესაძლებლობის სხვადასხვა ჯგუფის ბავშვიან ოჯახებს მათი შვილების სრულად ინკლუზიისთვის აქვთ ან შეიძლება, რომ არსებულ გარემოში ჰქონდეთ იმ შემთხვევაში, ფინანსურად სრულად რომ შეეძლოთ ამ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კვლევა ასევე გვაძლევს სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის სრულ რუკირებას და შშმ ბავშვებისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ხარჯების თეორიული დაფარვის სურათს. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ოჯახების დაუკმაყოფილებელი საჭიროების გათვალისწინებით, კრიტიკულად შეაფასოს სოციალური დაცვის მის მიერ მიღებული ზომები. მოსალოდნელია, რომ ეს ინფორმაცია, არსებული პროგრამებისა და სქემების რეფორმირებით და ახლების შექმნით, შეიტანს თავის წვლილს მეტად ეფექტიანი სისტემის შექმნაში.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ, ოჯახების წინ მდგარ ხარჯებზე რეაგირება მოითხოვს მთელ რიგ ინკლუზიურ პოლიტიკებს, რომელთა მიზანია არსებულ გარემოში ხარჯების გამომწვევი ბარიერების შემცირება და ამავდროულად - განუული მხარდაჭერის გაზრდა და ოპტიმიზაცია. მაგალითად, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე შშმ ბავშვების ჯგუფების უმეტესობას აქვს მობილობასთან დაკავშირებული ხარჯები არა-ადაპტირებული ტრანსპორტის გამო. როდესაც მთავრობა ჩადებს ფულს უფრო ფართო, უფრო ადაპტირებული და ინკლუზიური საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში, ის მთელ პოპულაციას მოუტანს სარგებელს. ეს ასევე შეამცირებს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე ზოგიერთ ხარჯს შშმ ბავშვიანი ოჯახებისთვის. თუმცა, ვინაიდან ამ ინვესტიციების ფაქტობრივ პროგრესში გარდაქმნას დიდი დრო დასჭირდება, ამავდროულად საჭიროა, რომ მათ ამ ოჯახებისკენ მიმართული კონკრეტული ზომები მოჰყვებოდეს, რომელთა შორისაცაა ადგილიდან-ადგილამდე ტრანსპორტირების სისტემები და/ან მობილობასთან დაკავშირებული შემწეობები კერძო ადაპტირებული სატრანსპორტო მომსახურებების ხარჯების დასაფარად. სახელმწიფომ უნდა იფიქროს სხვადასხვა ჯგუფის შშმ ბავშვებისა

და მათი ოჯახებისთვის შესაფერისი და გამოსაყენებელი ძირითადი და მიზნობრივი ჩარევებისა და ინვესტიციების ყველაზე ეკონომიურად ეფექტურ კომბინაციაზე.

ასევე, სახელმწიფოს მიერ იმ საგნებისა და მომსახურებების მიწოდების ერთეულის ფასი, რასაც ამჟამად ოჯახები თავად აფინანსებენ, სავარაუდოდ კვლევაში გამოვლენილი ფასებისგან განსხვავებული იქნება. მართლაც, ბენეფიციართა უფრო დიდი ჯგუფებისთვის მომსახურებების დაფინანსებით ან საქონლის შექმნით მთავრობას შეუძლია, მიაღწიოს მასშტაბის მნიშვნელოვან ეკონომიას და მისი სავაჭრო ძალის წყალობით შეამციროს ერთეულის ფასი.

კვლევის მიერ მოწოდებული მტკიცებულება შეიცავს რამდენიმე ელემენტს, რასაც შეუძლია საქართველოში შშმ ბავშვების სოციალური დაცვის ზომების ოპტიმიზაცია.

ქვემოთ მოცემული შეთავაზება ეფუძნება ამჟამინდელი სისტემის სიძლიერეს, ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სისტემის რეფორმირების მოსალოდნელ შედეგებს. ის გვთავაზობს მოდულურ მიდგომას, რაც საშუალებას აძლევს სისტემას, შემოიღოს დახმარების სხვადასხვა პაკეტი, რომელიც უფრო კარგად იქნება მორგებული ბავშვების მხარდაჭერის საჭიროებების სახეობებსა და დონეზე, ასევე - კვლევით გამოვლენილ ხარჯებზე.

ოპტიმიზირებული პაკეტის ამჟამინდელი ხედვა მოიცავს მოდულებს (ქვე-პაკეტებს), რომლებიც სხვადასხვა მიზანს ემსახურება. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ექვს-კომპონენტთან პაკეტში შედის:


- (1) შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ფულადი შემწეობა - შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე დამატებითი ხარჯებისთვის
 - o შემწეობის თანხა შეიძლება სხვადასხვა იყოს; თუმცა, უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს დამატებითი შეღავათებისა და მომსახურებების შექმნას, რაც უფრო კონკრეტულად მორგებული მიდგომის საშუალებას მოგვცემს.
- (2) მობილობისა და მისანვდომობის პაკეტი, რომელშიც შეიძლება, შედიოდეს:
 - o მობილობის შემწეობა – ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის არქონით გამოწვეული ტრანსპორტირების ხარჯები მნიშვნელოვანი ზომისაა
 - o მეტი თანხა აუცილებელი დამხმარე მოწყობილობების ახლად შექმნილ სიაში შეყვანილი საჭირო მრავალფეროვანი დამხმარე მოწყობილობებისთვის და მათი მოვლისთვის
 - o კონკრეტული სამშენებლო გრანტი შშმ ბავშვების არსებული საცხოვრებლის (სახლის პირობებში) ადაპტირებისთვის ამ ბავშვების მობილობისა და ავტონომიის გასაუმჯობესებლად
- (3) დახმარების პაკეტი სკოლაში ინტეგრაციისთვის¹⁰
 - o გარდა იმისა, რომ გაფართოვდეს ქვეყანაში მოსწავლეებისთვის პერსონალური დახმარების მომსახურებების ეფექტური მიწოდება,

¹⁰ დღესდღეობით, საქართველოში მაღალია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა, ვინც სკოლაში მათი შეზღუდული შესაძლებლობის გამო არ დადის, თუმცა ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი. სკოლიდან განთავსების მაღალი სიხშირეები უკავშირდება სკოლაში მისასვლელად ტრანსპორტირების სირთულეებს, სკოლაში შესაბამისი დახმარების არარსებობას (მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებისთვის პერსონალური დახმარების მომსახურებების უზრუნველყოფა ოფიციალურად არის დადგენილი, ამ მომსახურებას ყველა სკოლა არ აწვდის თავის მოსწავლეებს) და შშმ პირიანი ოჯახების სიღარიბის მაღალ დონეს.

შეიძლება, იყოს ფინანსური მხარდაჭერაც სასკოლო წლისთვის ბავშვების უკეთ მოსამზადებლად. ან, შეიძლება სხვა სახის დახმარებების შეთავაზებაც (მაგ.: სასკოლო ტანსაცმელი ან სკოლასთან დაკავშირებული მასალები).

- (4) ჯანდაცვის გაძლიერებული პაკეტი
 - o იმ მომსახურებებსა და მედიკამენტებზე დამატებით, რისი დაფარვაც ამჟამად ხდება, საჭიროა შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სამედიცინო ხარჯების დაფარვის გაფართოება სხვადასხვა სამედიცინო საჭიროებებისთვის, მათ შორის არის სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებების, მედიკამენტების, სპეციალური საკვებისა და ჰიგიენის საშუალებები და სხვ.
- (5) პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებების პაკეტი
 - o მასში შედის პერსონალური ასისტენტის მომსახურება, ასევე - ბინაზე მოვლა და „ამოსუნთქვის“ (განტვირთვის) მომსახურება (respite care) ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის.
- (6) სოციალური მომსახურების პაკეტი
 - o გარდა იმისა, რომ ადრეული ბავშვობისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამები უფრო ინკლუზიური უნდა გახდეს, არის ხარისხიანი საჯარო მომსახურებების საჭიროებაც, როგორცაა ბავშვის ადრეული განვითარების პროგრამები, დღის ცენტრების რეფორმირებული მომსახურება, აბილიტაცია და რეაბილიტაცია და სხვ. მხარდაჭერის ზოგიერთი ზომა საყოველთაო იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაეწევა შშმ პირის ოფიციალური სტატუსის მქონე ყველა ბავშვს მათი ინდივიდუალური მახასიათებლების მიუხედავად, მაგრამ ზოგი გათვალისწინებული იქნება მხოლოდ კონკრეტული ინდივიდუალური ფუნქციური საჭიროებების ან სოციალური და გარემო ფაქტორების მქონე ბავშვებისთვის. მხარდაჭერის ზოგიერთ ზომას რეგულარული ხასიათი ექნება, ხოლო სხვებს - მხოლოდ ერთჯერადი (დიაგრამა N5).

დიაგრამა N5: ბავშვების სოციალური დაცვის ზომების ოპტიმიზირებული პაკეტის სამაგალითო მოდელი



გამოკვლევის ჩატარების შემდეგ საჭიროა მომდევნო საფეხურების განხორციელება:

- ოსტიმიზებული პაკეტის უფრო დეტალური ჩამოყალიბება, ისევე, როგორც ამ პაკეტების მიწოდების უფრო ეკონომიკურად მომგებიანი მექანიზმების გამოვლენა და სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე:

- o პაკეტი მორგებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების რეფორმირებული სისტემის (ბიო-ფსიქოლოგიური მიდგომა) მოსალოდნელ შესაძლებლობებზე. ეს უზრუნველყოფს, რომ ახალი სისტემით შეფასებული ბავშვები მიმართონ მხარდაჭერის უფრო დეტალური ვარიანტებისკენ (წარმოდგენილი პაკეტიდან), რაც მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს უპასუხებს. წინა ხაზის მუშაკებს დასჭირდებათ დეტალური ხელმძღვანელობა, რომ მათ შეძლონ მხარდაჭერის პაკეტის შერჩეული საუკეთესო ვერსიის უკეთ შეთავსება ინდივიდუალურ საჭიროებებთან.
 - o მაშინ, როდესაც სისტემის ძირითადი ნაწილის მართვა და მიწოდება ერთი მთავარი დაინტერესებული მხარის მიერ მოხდება და ეს არის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“ (ჯანდაცვის სამინისტრო), საჭირო მხარდაჭერის გასაწევად შეიძლება ჩართული იყვნენ სხვა სამთავრობო უწყებებიც. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და პერსონალური დახმარების ხარჯები მიუთითებს გაზრდილი ჩართულობის საჭიროებაზე მუნიციპალიტეტებისგან, ისევე, როგორც „ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსგან“, რომელიც კოორდინირებას და ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივ ხელისუფლებას.¹¹ მშობლები ხშირად ახსენებენ სკოლისა და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროებას, რაც მიუთითებს „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“ ჩართულობის აუცილებლობაზე.
- ოპტიმიზირებული პაკეტის ღირებულება
- o კვლევამ გამოავლინა შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების სტრუქტურა და მასშტაბები შშმ ბავშვების ყველა ჯგუფისა და ქვე-ჯგუფისთვის, მაგრამ კვლევის ფარგლებში არ შეფასებულა მთლიანი ოპტიმიზირებული პაკეტის ღირებულება სხვადასხვა ჯგუფების პოპულაციისთვის. „გაეროს ბავშვთა ფონდი“ ამჟამად განიხილავს, მოგვცემს თუ არა ჯმო-ს 2022 წლის Model Disability Survey -ს მონაცემების დეტალები ამ ხარჯების შეფასებების გაკეთების საშუალებას.

ეს პროცესი ძალიან ინკლუზიური უნდა იყოს და შშმ პირთა აქტიური მონაწილეობით უნდა ჩატარდეს. დამატებითი ხარჯების მასშტაბები და მრავალფეროვნება მიუთითებს, რომ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილებას დრო და რესურსები დასჭირდება. უნდა მოხდეს პრიორიტეტების განხილვა და მათი შეთანხმება შშმ პირებთან იმისათვის, რომ ეს პრიორიტეტები გარანტირებულად გამოხატავდნენ ამ პირებისა და ფართო საზოგადოების შეხედულებებს.

¹¹ „საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების შესახებ“ (მიღებული 2020 წელს), მუხლი 20, პარაგრაფი 3, სექცია სათაურად 'პერსონალური ასისტენტი': "პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდებას ახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომელიც განსაზღვრავს ამ სერვისის მოცულობას და შეიმუშავებს მისი მიწოდების წესს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით".

7. დასკვნა

შპმ პირის სტატუსის მისანიჭებლად საქართველოში ამჟამად ხდება შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სამედიცინო მეთოდის ჩანაცვლება ინდივიდუალური საჭიროებების ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების სისტემით. შპმ ბავშვების თანასწორი მონაწილეობისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ამ კვლევამ შეავსო ინფორმაციის ის ნაკლებობა, რაც არსებობდა ამ მიზნებისთვის შპმ ბავშვების დამატებითი საჭიროებებსა და ამ საჭიროებების მიერ ოჯახებისთვის წარმოქმნილი დამატებითი ხარჯების შესახებ.

ახალ სისტემას უფრო დიდი საშუალება ექნება, გაიგოს ცალკეულ აპლიკანტთა საჭიროებები და დაუკავშიროს ისინი მხარდაჭერის მიზნობრივ ზომებს. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება სოციალური დაცვის ზომების უფრო მიზნობრივი პაკეტის ადვოკატირებისთვის, რომელიც უპასუხებს შპმ ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს.

სახელმწიფო რესურსების სიმწირის გამო, შპმ პირთა საზოგადოებასა და შპმ პირთა ორგანიზაციებს გადამწყვეტი როლი აქვთ მხარდაჭერის ისეთი მოდელის შექმნაში, რომელიც ეფუძნება საჭიროებებს და უზრუნველყოფს სამართლიანობას მწირი სახელმწიფო რესურსების პირობებში. შპმ პირთა საზოგადოება უზრუნველყოფს, რომ შპმ პირებისთვის/შპმ ბავშვებისთვის სოციალური დაცვის ზომების განახლებული პაკეტის შექმნისას გაანალიზებული და გათვალისწინებული იყოს ინკლუზიისთვის აუცილებელი მათი პრიორიტეტები და საჭიროებები.

ნაწილი II

8. შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა ყველა ჯგუფისა და

ქვე-ჯგუფისთვის საჭირო ხარჯების

ცალკეული ანალიზი


8.1. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროები ს და ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები

8.1.1. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

ჩატარებული კვლევის თანახმად, ფიზიკური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო თვიური ხარჯები არის 4,676 ლარი.¹² ამ თვიურ ბიუჯეტში, 15 პროცენტი (ანუ 708 ლარი) სჭირდება საგნებს და 85 პროცენტი (ანუ 3,968 ლარი) - მომსახურებებს. ამავე დარღვევის, მაგრამ მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯები არის 1,505 ლარი, საიდანაც 8 პროცენტი (ანუ 116 ლარი) სჭირდება საგნებს, ხოლო 92 პროცენტი (ანუ 1,389 GEL) - მომსახურებებს.

დიაგრამა N8.1. გვაჩვენებს, რომ ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯი თითქმის სამჯერ ნაკლებია მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების ხარჯზე.

დიაგრამა N8.1. — ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებებით) მთლიანი თვიური ხარჯი და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



12 ლარი - საქართველოს ფულადი ერთეული. ანალიზის დროს მისი გაცვლითი კურსი იყო 2.771 ლარი 1 აშშ დოლართან.


8.1.2. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს ფიზიკური დარღვევით ყველა ხარჯების კატეგორიაში მეტი თანხები სჭირდებათ, ვიდრე მცირე საჭიროების მქონეებს.

ასევე გამოვლინდა, რომ მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფებს შორის ზრუნვის ხარჯებში გამოვლენილი განსხვავებების მიუხედავად, ორივე ქვე-ჯგუფში ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის რეაბილიტაციაზე და პერსონალური დამხმარე პირისა და ზრუნვის მომსახურებებზე. უნდა აღინიშნოს, მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფებს შორის ყველაზე მცირე განსხვავება დაფიქსირდა კატეგორიაში „რეაბილიტაცია“.

დიაგრამა N8.1.2. წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობას და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.1.2. — ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.1.3. ხარჯების თეორიული განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა ყველა სხვა ჯგუფის შემთხვევაში, ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერა ორი ფორმით გამოიხატება:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობის გაცემა - 275 ლარი თვეში
- ზოგიერთი საჭირო საგნისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ


კვლევის თანახმად, სახელმწიფო თეორიულად ფარავს ფიზიკური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯების 27 პროცენტს. ამ მთლიანი თვიური ხარჯებიდან, 6 პროცენტის არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობა, ხოლო 21 პროცენტი - მიწოდებულია სხვადასხვა საგნისა და მომსახურების სახით.

ფიზიკური დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფო თეორიულად ფარავს ბევრად უფრო მეტს - ამ ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 61 პროცენტს. აღნიშნული დახმარების განევა ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის თვიური შემწეობის გაცემით და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდებით.

დარჩენილ ხარჯებს ოჯახები ფარავენ. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის ეს დარჩენილი ნაწილი არის შშმ ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 73 პროცენტი; მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის, დარჩენილი ნაწილი არის შშმ ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 43 პროცენტი.

დიაგრამა N8.1.3. ასახავს ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვიანი ოჯახების ხარჯის განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

დიაგრამა N8.1.3. – ხარჯის თეორიული განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.4.4. მთავრობის თეორიული წილი თითოეულ კომპონენტში

ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვებისთვის (მხარდაჭერის ორივე დონის საჭიროების შემთხვევაში), მთავრობის ყველაზე მაღალი მონაწილეობა ფიქსირდება შემდეგი კატეგორიების ხარჯების დაფარვაში: „რეაბილიტაცია“; „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა“ (დღის ცენტრები¹³). ხარჯების განაწილების თვალსაზრისით შემდეგი ყველაზე მაღალი მონაწილეობა არის კატეგორიებში „დამხმარე ტექნოლოგიები“ და „ჭანდაცვა“. მთავრობა არ მონაწილეობს მობილობა/მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.



დარჩენილი თანხის გადახდა ოჯახებს უწევთ. ფიზიკური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯი უკავშირდება პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებას, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 33 პროცენტს. ფიზიკური დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯები ასევე პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებაზე მოდის და შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 14 პროცენტს.

მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს მთლიანი თვიური ხარჯიდან 15 პროცენტის გაღება უწევთ რეაბილიტაციის მომსახურებისთვის, ხოლო მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები რეაბილიტაციისთვის ხარჯავენ საჭირო თვიური ხარჯების 35 პროცენტს. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები მთლიანი თვიური ხარჯის 17 პროცენტს თვითონ ხარჯავენ მობილობა/მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, ხოლო მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისთვის ამ მომსახურებაზე მოდის მთლიანი თვიური ხარჯის 2 პროცენტი. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისთვის დამხმარე ტექნოლოგიებისთვის საჭირო თვიური ხარჯი შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 9 პროცენტს, ხოლო მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს ამავე დანიშნულებისთვის მთლიანი თვიური ხარჯების 2 პროცენტის გაღება უწევთ.

დიაგრამა N8.1.4. ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას მხარდაჭერის სხვადასხვა კომპონენტის მიწოდებაში.

13 დღის ცენტრები არის საქართველოში ყველაზე მეტად განვითარებული და ყველაზე ძველი სოციალური მომსახურება, როგორც ისტორიულად, ასევე - გეოგრაფიულად, და თავდაპირველად ისინი განათლების ჩანაცვლების ფუნქციას ასრულებდნენ. მოგვიანებით, როდესაც ინკლუზიური განათლება კანონით გახდა მოთხოვნილი და მოხდა საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში მისი განვითარება, დღის ცენტრების როლი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამჟამად, უმრავლეს შემთხვევაში, დღის ცენტრები ავსებენ მშობლებისთვის „ამოსუნთქვის“ ზრუნვის არარსებობით გამოწვეულ ჩავარდნას. საუკეთესო შემთხვევაში, დღის ცენტრები ასრულებს ბავშვების ძირითადი განათლებისთვის მოსამზადებელი გარდამავალი სერვისის როლს. ჯერჯერობით ისევ დასადგენია დღის ცენტრების შესაბამისი ფუნქციები და მათი ახალი დანიშნულება.

დიაგრამა N8.1.4. — სახელმწიფოს წილი ხარჯების ყოველ კატეგორიაში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




შენიშვნა: AT- დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯები; personal – პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის ხარჯები; rehab – სარეაბილიტაციო მომსახურებები; Heal – ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები; mob/access – მობილობასა და მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯები.

8.4.5. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, დაგვედგინა ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვებისთვის საჭირო ხარჯები და გამოგვევლინა არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის განსხვავებები. ამ გზით დადგინდებოდა დამატებითი მხარდაჭერისთვის საჭირო თანხები. შედეგებმა გვჩვენა, რომ ფიზიკური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში იფარებოდა საჭირო ხარჯების მხოლოდ 49 პროცენტი (სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ). ფიზიკური დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის უფრო მცირე იყო, დაკმაყოფილებული იყო ამ ბავშვების საჭიროებების მხოლოდ 60 პროცენტი.

დიაგრამა N8.1.5. ასახავს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ ხარჯებსა და საჭირო ხარჯებს შორის.

N8.1.5 დიაგრამა – სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)




8.2. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით

8.4.6. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ გამოავლინა, რომ ინტელექტუალური სფეროს დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო თვიური თანხა არის 2,772 ლარი. სხვადასხვა საგნისთვის საჭიროა მთლიანი თანხის 26 პროცენტი (ანუ 731 ლარი), ხოლო მომსახურებებისთვის - მთლიანი გამოვლენილი თანხის 74 პროცენტი (ანუ 2,040 ლარი). მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინტელექტუალური სფეროს დარღვევით საჭირო მთლიანი თვიური ხარჯი არის 945 ლარი. ამ თვიურ ბიუჯეტში, 19 პროცენტი (ანუ 176 ლარი) სჭირდება საგნებს, ხოლო 81 პროცენტი (ანუ 769 GEL) - მომსახურებებს.

დიაგრამა N8.2.1 გვაჩვენებს, რომ ინტელექტუალური სფეროს დარღვევით მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯები თითქმის სამჯერ ჩამოუვარდება ინტელექტუალური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების ხარჯებს.

დიაგრამა N8.2.1. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით) მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.7. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვებს მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებებით ხარჯების ყველა კატეგორიაში მეტი თანხები სჭირდებათ, ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროებების მქონეებს.

ხარჯებში გამოვლენილი განსხვავებების მიუხედავად, მხარდაჭერის როგორც მნიშვნელოვანი, ასევე მცირე საჭიროების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფებში, ხარჯების ყველაზე დიდი წილი საჭირო იყო პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებებისთვის და რეაბილიტაციისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს საგრძნობი თანხები სჭირდებათ ჯანდაცვის მომსახურებებისთვის.

დიაგრამა N8.2.2. წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.2.2. — ხარჯების განაწილება მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვებთან ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)





8.4.8. ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

კვლევის თანახმად, სახელმწიფო ფარავს ინტელექტუალური სფეროს დარღვევების და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯების 35 პროცენტს. ამ თანხის 10 პროცენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობა, ხოლო 25 პროცენტი - მიწოდებულია სხვადასხვა საგნისა და მომსახურების სახით. დარჩენილ ხარჯს - ანუ ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი ხარჯის 65 პროცენტს - ფარავენ ოჯახები.

ინტელექტუალური სფეროს დარღვევით მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს მთელი წილი (რაშიც შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობის გაცემა და საგნებისა და მომსახურებების მიწოდება) ბევრად მაღალია და შეადგენს ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი ხარჯების 59 პროცენტს. დარჩენილ 41 პროცენტს ოჯახები ფარავენ.

დიაგრამა N8.2.3. ასახავს ხარჯების განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

დიაგრამა N8.2.3. — ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.4.9. მთავრობის წილი ყველა კომპონენტში

ინტელექტუალური სფეროს დარღვევით მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მთავრობის მონაწილეობა ყველაზე მაღალია ჯანდაცვასთან დაკავშირებულ კატეგორიაში და შეადგენს ამ ბავშვებზე ზრუნვის მთლიანი თვიური ხარჯის 10 პროცენტს.¹⁴ მთავრობა ფარავს რეაბილიტაციის ხარჯებსაც, რაც მთლიანი თვიური ხარჯის 8 პროცენტს წარმოადგენს; ასევე, პერსონალური ასისტენტის და ზრუნვის (დღის ცენტრის მომსახურება) ხარჯს, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 7 პროცენტს. სახელმწიფო არ ფარავს დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯებს.

დარჩენილი თანხების გადახდა ოჯახებს უწევთ. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები ყველაზე დიდ თანხას ხარჯავენ პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის კატეგორიაზე (მთლიანი თვიური ხარჯის 41 პროცენტს), შემდეგ მოდის ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები (მთლიანი თვიური ხარჯების 13 პროცენტი), სარეაბილიტაციო მომსახურებები (მთლიანი თვიური ხარჯების 12 პროცენტი) და ბოლოს - დამხმარე ტექნოლოგიები (ზრუნვაზე დახარჯული მთლიანი თვიური თანხების 9 პროცენტი).


რაც შეეხება ინტელექტუალური დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს, მთავრობის მონაწილეობა ყველაზე მაღალია ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ყველა კატეგორიაში და შეადგენს ზრუნვის მთლიანი თვიური ხარჯის 10 პროცენტს. სახელმწიფო ასევე ფარავს რეაბილიტაციის მომსახურებების მთლიანი თვიური ღირებულების 8 პროცენტს, და პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის (დღის ცენტრები) კატეგორიის მთლიანი თვიური ღირებულების 9 პროცენტს. სახელმწიფო არ ფარავს დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯებს.

¹⁴ საქართველოში, ბავშვების სამედიცინო მომსახურებების თანხების დაფარვა ხდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევიდან, რაც მოითხოვს თანადაფინანსების დაახლოებით 20 პროცენტს, ან ჯანდაცვის ვერტიკალური პროგრამებიდან.

ოჯახებს უწევთ დანარჩენი ხარჯების დაფარვა. აქ შედის პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურება, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 31 პროცენტს. ოჯახებს ასევე სჭირდებათ რეაბილიტაციისა და დამხმარე ტექნოლოგიებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვის გზების მოძიება. თითოეული ამ კატეგორიის წილი შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 19 პროცენტს.

დიაგრამა N8.2.4. ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას მხარდაჭერის სხვადასხვა კომპონენტის მიწოდებაში.

დიაგრამა N8.2.4. – სახელმწიფოს წილი ხარჯების ყოველ კატეგორიაში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.2.5 სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის განსხვავებების გამოთვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალური სფეროს დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებების მქონე ბავშვების შემთხვევაში, საჭირო ხარჯების მხოლოდ 46 პროცენტი იფარება (სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ). ინტელექტუალური სფეროს დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროებების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის სხვაობა უფრო მცირეა, დაკმაყოფილებულია ბავშვების საჭიროებების მხოლოდ 59 პროცენტი.

დიაგრამა N8.2.5. ასახავს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ ხარჯებსა და საჭირო ხარჯებს შორის.

დიაგრამა N8.2.5. — სხვაობა საჭირო თვიურ ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)




8.3. ქცევის დარღვევის მეორე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით

8.3.1. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ გამოავლინა, რომ ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მეორე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო თვიური თანხა არის 4,970 ლარი. სხვადასხვა საგნისთვის გამოვლენილი საჭირო თანხა არის 424 ლარი (ანუ მთლიანი თანხის 9 პროცენტი), ხოლო მომსახურებებისთვის საჭირო გამოვლენილი თანხა არის 4,547 ლარი (ანუ მთლიანი თანხის 91 პროცენტი). კვლევამ აჩვენა, რომ ამავე დარღვევის, მაგრამ მხარდაჭერის მცირე საჭიროების მეორე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური თანხა არის 2.342 ლარი. ამ ხარჯებში, 125 ლარი (ანუ მთელი ხარჯის 5 პროცენტი) საჭიროა საგნებისთვის, ხოლო 2,216 ლარი (ანუ მთლიანი თანხის 95 პროცენტი) სჭირდება მომსახურებებს.

დიაგრამა N8.3.1. გვაჩვენებს, რომ ქცევის დარღვევით მხარდაჭერის მცირე საჭიროების მეორე ბავშვების თვიური ხარჯი ორჯერ ჩამოუვარდება ქცევის დარღვევით მნიშვნელოვანი საჭიროებების მეორე ბავშვების ხარჯებს.

დიაგრამა N8.3.1 – ქვევის დარღვევების მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით) მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე, (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.10. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ ქვევის დარღვევების და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს სამ კატეგორიაში მეტი თანხები სჭირდებათ, ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონეებს. გამონაკლისს წარმოადგენს კატეგორიები „რეაბილიტაცია“ და „დამხმარე ტექნოლოგიები“, სადაც მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების ბავშვებზე ზრუნვის ხარჯებში განსხვავებები თითქმის არ იყო.

კვლევამ გამოავლინა, რომ ორივე ქვე-ჯგუფში ყველაზე დიდი თანხები სჭირდება კატეგორიებს „რეაბილიტაცია“ და „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურება“. დიაგრამა N8.3.2. წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით

დიაგრამა N8.3.2. – ხარჯების განაწილება მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვებთან ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.11. ზრუნვის ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

კვლევის თანახმად, სახელმწიფო ფარავს ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო თვიური ხარჯების 24 პროცენტს. მთლიანი თვიური ხარჯებიდან, 5 პროცენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობა, ხოლო 19 პროცენტი მიწოდებულია სხვადასხვა საგნების და მომსახურების სახით. დარჩენილ ხარჯებს, ანუ მთლიანი ხარჯების 76 პროცენტს, ფარავენ ოჯახები.

ქცევის დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს მიერ დაფარული თვიური ხარჯის წილი არის 29 პროცენტი; აქ შედის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის თვიური შემწეობა და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდება. ზრუნვისთვის საჭირო თვიური ხარჯის დანარჩენ 71 პროცენტს ფარავენ ოჯახები.

დიაგრამა N8.3.3. ასახავს ზრუნვისთვის საჭირო თვიურ ხარჯებში სახელმწიფოს მიერ დაფარული ხარჯების წილს.

N8.3.3. დიაგრამა — საჭირო ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.4.12. მთავრობის წილი ყველა კომპონენტში

ქცევის დარღვევების და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მთავრობის ყველაზე მაღალი მონაწილეობა ფიქსირდება პერსონალური ასისტენტის და ზრუნვის მომსახურების განვების სახით (დღის ცენტრების მეშვეობით), და წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 8 პროცენტს. ამას გარდა, მთავრობა ფარავს რეაბილიტაციის (რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 6 პროცენტს) და ჯანდაცვის (რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 4 პროცენტს) ხარჯებს. მთავრობა არ მონაწილეობს დამხმარე ტექნოლოგიებთან მობილობის/მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯების


დაფარვაში. როგორც ანგარიშის დასაწყისში იყო აღნიშნული, ეს არის თეორიული თანხა, რომლის დაფარვაც მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ბენეფიტები ხელმისაწვდომი იქნებოდა აღნიშნული საჭიროების მქონე ყველა ბავშვისთვის. მისი მიღების მასშტაბები უდაოდ კორელაციაშია ბენეფიციარის საცხოვრებელ ადგილთან და, დიდი ალბათობით, ასევე დაკავშირებულია სხვა მახასიათებლებთან, როგორცაა მშობლების განათლება.

სახელმწიფოს მიერ განეული დახმარების მიღმა დარჩენილი ღირებულების გადახდა ოჯახებს უწევთ. ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, ოჯახები მათი ხარჯის დიდ წილს მიაწერენ პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის ხარჯებს, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 35 პროცენტს შეადგენს. შემდეგი ყველაზე დიდი ხარჯი - მთლიანი თვიური ხარჯის 28 პროცენტი - მოდის რეაბილიტაციაზე; რასაც მოჰყვება მობილობა/მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯი - მთლიანი თვიური ხარჯების 11 პროცენტი; ჯანდაცვის ხარჯები, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 4 პროცენტს შეადგენს; და ბოლოს - დამხმარე ტექნოლოგიები - მთლიანი თვიური ხარჯების 3 პროცენტი.

ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს მონაწილეობა ყველაზე მაღალია კატეგორიაში „რეაბილიტაცია“, სადაც ის მთლიანი თვიური ხარჯების 13 პროცენტს ფარავს; პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებებში სახელმწიფოს მონაწილეობა გამოიხატება დღის ცენტრის მომსახურების უზრუნველყოფით და მთლიანი თვიური ხარჯის 3 პროცენტს შეადგენს. სახელმწიფო საერთოდ არ ფარავს დამხმარე ტექნოლოგიებთან და მობილობა/მისაწვდომობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ოჯახებს უწევთ ყველა დანარჩენი ხარჯის თავზე აღება. ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, ოჯახები მათი ხარჯის დიდ წილს მიაწერენ რეაბილიტაციას, რაც მთლიანი თვიური ხარჯის 57 პროცენტს შეადგენს. შემდეგი ყველაზე დიდი ხარჯი - მთლიანი თვიური ხარჯის 11 პროცენტი - არის „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“; რასაც მოჰყვება მობილობა/მისაწვდომობა - მთლიანი თვიური ხარჯების 7 პროცენტი; და ბოლოს - დამხმარე ტექნოლოგიები და ჯანდაცვა, რაც, ორივე ერთად, ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯების 3 პროცენტს შეადგენს. დიაგრამა N8.3.4. ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას მხარდაჭერის სხვადასხვა კომპონენტის მიწოდებაში.

დიაგრამა N8.3.4. – სახელმწიფოს წილი ხარჯების ყოველ კატეგორიაში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.13. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

არსებულ ხარჯებსა და საჭირო ხარჯებს შორის სხვაობის გამოთვლით კვლევამ გამოავლინა, რომ ქცევის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში დაფარულია საჭირო ხარჯების მხოლოდ 44 პროცენტი (სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ). ქცევითი დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის უფრო მცირეა, დაკმაყოფილებულია ამ ქვეჯგუფში გაერთიანებული ბავშვების საჭიროების მხოლოდ 57 პროცენტი.

დიაგრამა N8.3.5. ასახავს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის.

დიაგრამა N8.3.5. – სხვაობა საჭირო თვიურ ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)



8.4. კომპლექსური დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით

8.4.1. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ გამოავლინა, რომ კომპლექსური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების (რაც გულისხმობს „სამედიცინო საჭიროებებს“) მქონე ბავშვებისთვის საჭირო თანხა არის 5,954 ლარი თვეში. მთლიან თვიურ თანხაში, სხვადასხვა საგნისთვის საჭირო არის 22 პროცენტი (ანუ 1,300 ლარი), ხოლო მომსახურებებისთვის საჭიროა მთლიანი თვიური თანხის 78 პროცენტი (ანუ 4.654 ლარი).


ამავე დარღვევის, მაგრამ მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე (რაც არა-სამედიცინო

საჭიროებებს ნიშნავს) ბავშვზე ზრუნვისთვის სულ თვიურად საჭიროდ გამოვლინდა 3,659 ლარი. ამ მთლიან თვიურ ბიუჯეტში, 17 პროცენტი (ანუ 624 ლარი) სჭირდებოდა საგანს, ხოლო 83 პროცენტი (ანუ 3,035 ლარი) - მომსახურებებს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში, კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვების კატეგორიაში გამიჭნული იყო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფები, აღმოჩნდა, რომ მცირე საჭიროებების მქონე ბავშვებზე ზრუნვას საგრძნობი და საკმაოდ დიდი ხარჯები სჭირდება.

დიაგრამა N8.4.1. გვაჩვენებს კომპლექსური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი (სამედიცინო) საჭიროების და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის მთლიან თვიურ ხარჯებსა და მათ განაწილებას საგნებსა და მომსახურებებზე.

შშმ ბავშვების სხვა ჯგუფებისგან და ქვე-ჯგუფებისგან განსხვავებით, კომპლექსური დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის თანხები მხოლოდ ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე ამავე ჯგუფის და მნიშვნელოვანი (სამედიცინო) საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის თანხები.

დიაგრამა N8.4.1 - კომპლექსური საჭიროების მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებით) მთლიანი თვიური ხარჯების განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.14. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიებს შორის

კვლევა გვარჩენებს, რომ კომპლექსური დარღვევების მქონე ბავშვებს (მხარდაჭერის როგორც მნიშვნელოვანი, ასევე მცირე საჭიროებებით), ხარჯების თითქმის ყველა კატეგორიაში მეტი თანხა სჭირდებათ, ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს შეზღუდული შესაძლებლობის სხვა კატეგორიებიდან. გამონაკლისია რეაბილიტაციის ხარჯი, სადაც გამოვლენილი საჭირო თანხები თითქმის ერთნაირია ორივე ქვე-ჯგუფისთვის.

კვლევის თანახმად, ყველაზე დიდი ხარჯები აღინიშნება შემდეგ კატეგორიებში - „რეაბილიტაცია“ და „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“.

დიაგრამა N8.4.2. წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.4.2. — ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.4.15. ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის


კვლევის თანახმად, სახელმწიფო ფარავს კომპლექსური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯების 34 პროცენტს. მთლიანი თვიური ხარჯებიდან, 5 პროცენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობა, ხოლო 29 პროცენტი - მიწოდებულია სხვადასხვა საგნებისა და მომსახურების სახით.

კომპლექსური დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს მთლიანი წილი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის თვიური შემწეობისა და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდების ჩათვლით) ოდნავ ნაკლებია და შეადგენს მთლიანი თვიური ღირებულების 32 პროცენტს. დარჩენილ

68 პროცენტს ოჯახები ფარავენ.

დიაგრამა N8.4.3. ასახავს კომპლექსური დარღვევების მქონე ბავშვიანი ოჯახების ხარჯების განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

დიაგრამა N8.4.3. — ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.4.4. მთავრობის თეორიული წილი ყველა კომპონენტში

კომპლექსური დარღვევის (სამედიცინო) და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მთავრობა ყველაზე მეტად მონაწილეობს შემდეგი კატეგორიების ხარჯების დაფარვაში: პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა (დღის ცენტრების მომსახურებისა და სახლში მოვლის მომსახურების მიწოდებით), რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 13 პროცენტს; მთავრობა ასევე აფინანსებს რეაბილიტაციას - მთლიანი თვიური ხარჯების 7 პროცენტს; ჯანდაცვისა და დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯებს - მთლიანი თვიური ხარჯების კიდევ 7 პროცენტს. მთავრობა არ მონაწილეობს მობილობის/მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.

დარჩენილი თანხის გადახდა ოჯახებს უწევთ. ოჯახების წვლილი მთლიან თვიურ ხარჯებში არის: პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა - 35 პროცენტი; რეაბილიტაცია - 28 პროცენტი; მობილობა/მისაწვდომობა - 11 პროცენტი; ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები - 4 პროცენტი; და დამხმარე ტექნოლოგიები - 3 პროცენტი.


კომპლექსური დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მთავრობა ყველაზე მეტად მონაწილეობს რეაბილიტაციის ხარჯებში და ფარავს მთლიანი თვიური ხარჯების 13 პროცენტს. მთავრობა ფარავს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის ხარჯებს (დღის ცენტრების მომსახურების გზით), რაც მთლიანი თვიური ხარჯების 7 პროცენტია. ის ასევე ფარავს შემდეგს: დამხმარე ტექნოლოგიები - მთლიანი თვიური ხარჯის 3 პროცენტი; ჯანდაცვა - მთლიანი თვიური ხარჯის 2 პროცენტი.

მთავრობა არ მონაწილეობს მობილობის/მისაწვდომობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.

დარჩენილი თანხის გადახდა ოჯახებს უწევთ. ზრუნვისთვის საჭირო თვიური თანხის ყველაზე დიდ წილს ისინი ხარჯავენ პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვაზე, რაც მთლიანი თვიური ხარჯის 31 პროცენტს შეადგენს. შემდეგი ყველაზე დიდი ხარჯები არის რეაბილიტაცია - მთლიანი თვიური ხარჯის 16 პროცენტი; მობილობა/მისაწვდომობა - 12 პროცენტი; დამხმარე ტექნოლოგიები - რაც მთლიანი თვიური ხარჯის 9 პროცენტს შეადგენს; და ბოლოს - ჯანდაცვა, რაც ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 7 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა N8.4.5. ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას მხარდაჭერის სხვადასხვა კომპონენტის მოწოდებაში.

დიაგრამა N8.4.4. — სახელმწიფოს წილი ხარჯების ყოველ კატეგორიაში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.4.5. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

არსებულ ხარჯებსა და საჭირო ხარჯებს შორის სხვაობის გამოთვლით კვლევამ გამოავლინა, რომ კომპლექსური (სამედიცინო) დარღვევებისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში დაფარული იყო საჭირო ხარჯების მხოლოდ 48 პროცენტი (მოიცავს სახელმწიფოს და ოჯახის მიერ გაღებულ თანხებს). კომპლექსური დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის უფრო მცირე იყო, დაკმაყოფილებული იყო ამ ბავშვების მთლიანი საჭიროებების მხოლოდ 57 პროცენტი.

დიაგრამა N8.4.5. გვაჩვენებს არსებულ ხარჯებს, ასევე სხვაობას არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის.

დიაგრამა N8.4.5. – სხვაობა თვიურ საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის




8.5. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და ფსიქო-სოციური საჭიროების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები.

8.5.1. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ გამოავლინა, რომ ფსიქო-სოციური და მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო თვიური თანხა არის 1,304 ლარი. ამ თანხიდან, 1 პროცენტი (14 ლარი) სჭირდება საგნებს, ხოლო 99 პროცენტი (1,291 ლარი) - მომსახურებებს. ამავე დარღვევის, მაგრამ მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის საჭირო მთლიანი თვიური თანხა არის 344 ლარი, საიდანაც 2 პროცენტი (5 ლარი) სჭირდება საქონელს, ხოლო 98 პროცენტი (339 ლარი) - მომსახურებებს.

დიაგრამა N8.5.1. გვაჩვენებს, რომ ფსიქო-სოციური საჭიროების მქონე ბავშვებში მხარდაჭერის მცირე საჭიროებით თვიური ხარჯი სამჯერ და მეტად ნაკლებია, ვიდრე მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ქვე-ჯგუფის ბავშვებზე ზრუნვის თვიური ხარჯები.

დიაგრამა N8.5.1. — ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებებით) მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე, (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.5.2. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ ფსიქო-სოციური და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს ხარჯების ყველა კატეგორიაში მეტი თანხები სჭირდებათ, ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონეებს (გამონაკლისია ჯანდაცვის ხარჯები).

კვლევამ გამოავლინა, რომ ყველაზე დიდი ხარჯები უკავშირდება კატეგორიებს „რეაბილიტაცია“ და „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“ (ორივე ქვე-ჯგუფში ამ კატეგორიებზე მოდის მთლიანი თვიური ხარჯის 47 პროცენტი). უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვისთვის საჭირო თანხები თითქმის თანაბარია როგორც მხარდაჭერის მნიშვნელოვანი, ასევე მცირე საჭიროების ბავშვებთან, თუმცა განსხვავებულია ამ ხარჯის წილი ქვე-ჯგუფებში.

დიაგრამა N8.5.2 წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.5.2 — ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)





8.5.3 ხარჯების თეორიული განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

კვლევის თანახმად, სახელმწიფო ფარავს ფსიქო-სოციური და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების თვიური ხარჯების 51 პროცენტს. მთლიანი თვიური ხარჯებიდან, 21 პროცენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემწეობა, ხოლო 30 პროცენტი - მიწოდებულია სხვადასხვა საგნებისა და მომსახურებების სახით. დარჩენილი ხარჯები, ანუ მთლიანი ხარჯების 49 პროცენტი, იფარება ოჯახის მიერ. ფსიქო-სოციური და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფო ფარავს მათი თვიური ხარჯების 100 პროცენტს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თვიური შემწეობის გაცემითა და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდებით).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვე-ჯგუფს სახელმწიფო თითქოსდა მთლიანად უზრუნველყოფს მხარდაჭერით, მათთვის საჭირო მომსახურებები მხოლოდ დედაქალაქში - თბილისში არის ხელმისაწვდომი, და დაფარვა სრულიად განსხვავებულია გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა N8.5.3 გვაჩვენებს სახელმწიფოს მონაწილეობის წილს თვიურ ხარჯებში.

N8.5.3 დიაგრამა – ხარჯების თეორიული განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.5.4. სახელმწიფოს წილი თითოეულ კომპონენტში

ფსიქო-სოციური და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფო ყველაზე მეტად მონაწილეობს რეაბილიტაციის ხარჯების დაფარვაში, რაც შეადგენს ამ ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯების 25 პროცენტს. სახელმწიფო ფარავს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებას, მაგრამ ფარავს ამ თანხის მხოლოდ 4 პროცენტს. სახელმწიფო ასევე ფარავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 5 პროცენტს, მაგრამ სახელმწიფო ამ საჭირო თანხის მხოლოდ 1 პროცენტს უზრუნველყოფს.

დარჩენილი თანხის გადახდა ოჯახებს უწევთ. ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯი უკავშირდება პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებს, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 44 პროცენტს. შემდეგი ყველაზე დიდი ხარჯის კატეგორია არის რეაბილიტაცია, რაც შეადგენს ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 22 პროცენტს; და ჯანდაცვის ხარჯები - რაც შეადგენს ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 4 პროცენტს.


ფსიქო-სოციური დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში სახელმწიფოს მონაწილეობა ყველაზე მაღალია რეაბილიტაციის ხარჯების დაფარვაში, რაც წარმოადგენს ბავშვზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თანხის 25 პროცენტს. სახელმწიფო ფარავს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებას, რაც შეადგენს ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯების 14 პროცენტს. სახელმწიფო ასევე ფარავს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 2 პროცენტს.

დარჩენილი თანხის გადახდა ოჯახებს უწევთ. ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯი უკავშირდება რეაბილიტაციას, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 25 პროცენტს. შემდეგი ყველაზე დიდი ხარჯის კატეგორია არის ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები

- მთლიანი თვიური ხარჯის 12 პროცენტი; შემდეგ კი მოდის კატეგორია „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“ - საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 6 პროცენტი.

დიაგრამა N8.5.4 ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას მხარდაჭერის სხვადასხვა კომპონენტის მიწოდებაში.

დიაგრამა N8.5.4 – სახელმწიფოს წილი ყოველ კომპონენტში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.5.5. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

შედეგებმა გვჩვენა, რომ ფსიქო-სოციალური დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში იფარებოდა მათზე ზრუნვისთვის საჭირო თანხების მხოლოდ 39 პროცენტი (სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ). ფსიქო-სოციალური დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის უფრო მცირე იყო, დაკმაყოფილებული იყო ამ ბავშვების საჭიროების მხოლოდ 57 პროცენტი.

დიაგრამა N8.5.5. წარმოგვიდგენს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ ხარჯებსა და საჭირო ხარჯებს შორის.

დიაგრამა N8.5.5. – სხვაობა საჭირო თვიურ ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)




8.6. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები.

8.6.1. მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ გამოავლინა, რომ მხედველობის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო თვიური თანხა არის 1,339 ლარი. ამ საჭირო თანხიდან, 32 პროცენტი (429 ლარი) მოდის საგნებზე, ხოლო 68 პროცენტი (910 ლარი) - მომსახურებებზე. ამავე დარღვევის, მაგრამ მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური თანხა არის 940 ლარი, საიდანაც 46 პროცენტი (435 ლარი) არის საგნების ღირებულება, ხოლო 56 პროცენტი (505 ლარი) - მომსახურებების.

დიაგრამა N8.6.1 გვჩვენებს, რომ მხედველობის დარღვევების და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის ხარჯები მხოლოდ 30 პროცენტით აღემატება მხედველობის დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის ხარჯებს.

დიაგრამა N8.6.1: მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებებით) მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.6.2. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევა აჩვენებს, ხარჯების კატეგორიების უმეტესობაში, მხედველობის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს მეტი თანხა სჭირდებათ, ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს ამავე ჯგუფიდან (გამონაკლისია რეაბილიტაციის თანხები). ამავე დროს, ორივე ქვე-ჯგუფისთვის, ხარჯების კატეგორიებს შორის სხვაობა მცირეა (იხ.: დამხმარე ტექნოლოგიები, რეაბილიტაცია და ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები). საჭირო თანხების დიდი წილი მოდის კატეგორიებზე „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“ და „დამხმარე ტექნოლოგიები“. ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯები სიდიდით მესამე ადგილზეა. რეაბილიტაციისთვის საჭირო ხარჯები ყველა ხარჯებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს.

დიაგრამა N8.6.2. წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯების შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.6.2. – ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.6.1. ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

მხედველობის დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს მთლიანი თვიური ხარჯების 28 პროცენტს. მთლიანი თვიური საჭირო თანხიდან 20 პროცენტი გაიცემა შშმ ბავშვის შემწეობის, ხოლო 18 პროცენტი - სხვადასხვა მომსახურებისა და საგნების სახით. დანარჩენ ხარჯებს, ანუ ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 62 პროცენტს, ფარავს ოჯახი.

მხედველობის დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს წილი (შშმ ბავშვის შემწეობის გაცემა და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდება) უფრო მაღალია და მთლიანი ხარჯების 53 პროცენტს შეადგენს. დარჩენილ 47 პროცენტს ოჯახები ფარავენ.

დიაგრამა N8.6.3 ასახავს ხარჯების განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

N8.6.3. დიაგრამა – ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.6.4. მთავრობის წილი ყველა კომპონენტში

მხედველობის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში მთავრობა ყველაზე მეტად მონაწილეობს ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში, რაც ამ ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯების 12 პროცენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ასევე ფარავს რეაბილიტაციის ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი ხარჯების 5 პროცენტს; და დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი ხარჯების მხოლოდ 1 პროცენტს. სახელმწიფო არ მონაწილეობს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებების ან მობილობის/მისაწვდომობის ხარჯების დაფარვაში.

დარჩენილი თანხების გადახდა ოჯახებს უწევთ. ყველაზე დიდი პირდაპირი თვიური ხარჯი უკავშირდება შემდეგ კატეგორიებს: „დამხმარე ტექნოლოგიები“, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 38 პროცენტს; „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 37 პროცენტს; „მობილობა/მისაწვდომობა“, რაც 4 პროცენტის ტოლია; და „ჯანდაცვა“, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 3 პროცენტს.


მხედველობის დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში მთავრობა ყველაზე მეტად მონაწილეობს ჯანდაცვასთან დაკავშირებული

ხარჯების დაფარვაში, რაც ამ ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 15 პროცენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ასევე ფარავს რეაბილიტაციის ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი ხარჯის 8 პროცენტს. სახელმწიფო არ მონაწილეობს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურების ხარჯების დაფარვაში.

დარჩენილი თანხების გადახდა ოჯახებს უნევთ. მათი ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯები უკავშირდება კატეგორიებს: „დამხმარე ტექნოლოგიები“, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 51 პროცენტს; „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯის 21 პროცენტს; და „ჯანდაცვა“, რაც მთლიანი თვიური ხარჯის 4 პროცენტის ტოლია.

დიაგრამა N8.6.4. ასახავს სახელმწიფოს მონაწილეობას ყველა კომპონენტში.

დიაგრამა N8.6.4. – სახელმწიფოს წილი ყოველ კატეგორიაში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.6.5. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

კვლევამ გვაჩვენა, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებების მქონეები) სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ იფარება მათთვის საჭირო ხარჯებიდან მხოლოდ 18 - 20 პროცენტი.

საქართველოში მხედველობის დარღვევის მქონე პირებისთვის საჭირო დამხმარე მოწყობილობების განსაკუთრებული სიმცირეა. ოჯახებს ასევე ნაკლები ცოდნა აქვთ საჭირო დახმარების თაობაზე. თეთრი ხელჯოხების გარდა, სახელმწიფო არ გასცემს არცერთ სხვა დამხმარე საშუალებას. ეს შეიძლება იყოს არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის დიდი სხვაობის მიზეზი.

დიაგრამა N8.6.5 ასახავს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ და საჭირო ხარჯების თანხებს შორის.

დიაგრამა N8.6.5 – სხვაობა თვიურ საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)




8.7. მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და სმენის დარღვევის მქონე ბავშვების დამატებითი ხარჯები.

8.7.1 მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე

კვლევამ აჩვენა, რომ სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო თვიური თანხა არის 2,153 ლარი. მთლიანი თვიური თანხიდან, 39 პროცენტი (849 ლარი) სჭირდება სხვადასხვა საგნებს, ხოლო 61 პროცენტი (1,305 ლარი) სჭირდება მომსახურებებს. ამავე დარღვევის, მაგრამ მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯები არის 857 ლარი. ამ საჭირო თვიური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი (426 ლარი) მოდის საჭირო საგნებზე და დანარჩენი თანხა (431 ლარი) - მომსახურებებზე.

დიაგრამა N8.7.1 გვაჩვენებს, რომ სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვის ხარჯები ორჯერ და მეტად აღემატება სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო ხარჯებს.

დიაგრამა N8.7.1: სმენის დარღვევის მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებებით) მთლიანი თვიური ხარჯების განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.7.2. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებს უფრო მაღალი საჭირო ხარჯები აქვთ (ხარჯების თითქმის ყველა კატეგორიაში), ვიდრე მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს. გამონაკლისია ჯანდაცვასთან დაკავშირებული ხარჯების კატეგორია, რომლისთვის საჭირო ხარჯებიც ორივე ქვე-ჯგუფისთვის ერთნაირია. როგორც მოსალოდნელი იყო, მოთხოვნა პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებზე, ისევე, როგორც დამხმარე ტექნოლოგიებზე, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებში უფრო მაღალია, ხოლო რეაბილიტაციის ხარჯები ორივე ქვე-ჯგუფში ერთნაირია.

საჭირო ხარჯების დიდი წილი მოდის დამხმარე ტექნოლოგიებზე და პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებზე, სიდიდით შემდეგი ხარჯი დაკავშირებულია რეაბილიტაციასთან.

დიაგრამა N8.7.2 წარმოგვიდგენს საშუალო თვიური ხარჯის შემადგენლობასა და განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.7.2 – ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)





8.7.3 ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს თვიური ხარჯების 40 პროცენტს. ამ თანხიდან 13 პროცენტი გაიცემა შშმ ბავშვის შემწეობის, ხოლო 27 პროცენტი - სხვადასხვა მომსახურებისა და საგნების სახით. დანარჩენ ხარჯებს, ანუ ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური ხარჯის 60 პროცენტს, ფარავენ ოჯახები.

რაც შეეხება სმენის დარღვევებისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს, სახელმწიფოს მთლიანი წილი (შშმ ბავშვის თვიური შემწეობის გაცემისა და უფასო მომსახურებებისა და საგნების მიწოდების ჩათვლით) შეადგენს ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური თანხის 67 პროცენტს, საიდანაც 32 პროცენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის თვიური შემწეობა და 35 პროცენტი არის უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდება. დანარჩენ 33 პროცენტს ფარავენ ოჯახები.

დიაგრამა N8.7.3 ასახავს ხარჯების განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

დიაგრამა N8.7.3.— ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.7.4. სახელმწიფოს წილი ყველა კომპონენტში

სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში სახელმწიფო ყველაზე მეტად მონაწილეობს დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯების დაფარვაში, რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 16 პროცენტს. სახელმწიფო ასევე ფარავს რეაბილიტაციის ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 10 პროცენტს; და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მთლიანი თვიური ხარჯის 1 პროცენტის ტოლია. სახელმწიფო არ ფარავს სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებთან დაკავშირებულ რამე ხარჯებს.

სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს უწევთ დანარჩენი ხარჯების დაფარვა. მათი ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯი უკავშირდება პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებს, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 39 პროცენტს, და დამხმარე ტექნოლოგიებს, რაც შეადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 25 პროცენტს.


რაც შეეხება სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს, სახელმწიფოს მონაწილეობა ყველაზე დიდია რეაბილიტაციის ხარჯების დაფარვაში, რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 21 პროცენტს. სახელმწიფო ასევე ფარავს დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯებს, რაც წარმოადგენს მთლიანი თვიური ხარჯების 12 პროცენტს; და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მთლიანი ხარჯების 2 პროცენტის ტოლია. სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სახელმწიფო არ ფარავს პერსონალურ დამხმარე პირსა და ზრუნვის მომსახურებებთან დაკავშირებულ რამე ხარჯებს.

სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვიან ოჯახებს უწევთ მთელი დანარჩენი ხარჯების დაფარვა. მათი ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯების

კატეგორიები: „დამხმარე ტექნოლოგიები“ - მთლიანი თვიური ხარჯების 40 პროცენტი; „რეაბილიტაცია“ - მთლიანი თვიური ხარჯების 13 პროცენტი; და „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“ - მთლიანი თვიური ხარჯების 10 პროცენტი.

დიაგრამა N8.7.4 სახელმწიფოს მონაწილეობას ყველა კომპონენტში.

დიაგრამა N8.7.4 – სახელმწიფოს წილი ყველა კომპონენტში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.7.5 სხვაობა თვიურ საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის

კვლევამ გვაჩვენა, რომ სმენის დარღვევის და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, იფარება საჭირო ხარჯების მხოლოდ 49 პროცენტი (სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ). რაც შეეხება სმენის დარღვევისა და მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვებს, მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა მათ არსებულ და საჭირო ხარჯებს შორის უფრო მცირეა, დაკმაყოფილებულია ამ ბავშვების საჭიროებების მხოლოდ 50 პროცენტი.

დიაგრამა N8.7.5 ასახავს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ და საჭირო თანხებს შორის.

დიაგრამა N8.7.5. – სხვაობა თვიურ საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)



8.8 მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროების და ყრუ-უსინათლო ბავშვების დამატებითი ხარჯები

8.8.1 მთლიანი თვიური ხარჯები და მათი განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე


კვლევამ გამოავლინა, რომ ორივე სენსორული არხის (მხედველობა და სმენა) სრული დარღვევის (ყრუ-უსინათლო) მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო თვიური თანხა არის 6,270 ლარი. ამ თვიური თანხიდან 23 პროცენტი (1,420 ლარი) სჭირდება სხვადასხვა საგნებს, ხოლო 77 პროცენტი (4,850 ლარი) სჭირდება მომსახურებებს.

სრულიად ყრუ, მაგრამ ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის საჭირო მთლიანი თვიური თანხა არის 4,935 ლარი. ამ თანხიდან 26 პროცენტი (1,301 ლარი) სჭირდება სხვადასხვა საგნებს, ხოლო 74 პროცენტი (3,634 ლარი) - მომსახურებებს.

სრულიად უსინათლო, მაგრამ ნარჩენი სმენის მქონე ბავშვებზე ზრუნვისთვის სულ საჭიროა თვეში 5,758 ლარი. ამ მთლიანი თანხიდან 20 პროცენტი (1,179 ლარი) სჭირდება სხვადასხვა საგნებს, ხოლო 80 პროცენტი (4,579 ლარი) სჭირდება მომსახურებებს.

დიაგრამა N8.8.1 გვაჩვენებს საგნებსა და მომსახურებებზე მთლიანი თვიური ხარჯების განაწილებას შემდეგი ჯგუფების ბავშვებისთვის: ყრუ-უსინათლო; სრულიად ყრუ, მაგრამ ნარჩენი მხედველობა; სრულიად უსინათლო, მაგრამ ნარჩენი სმენა. შესამჩნევია, რომ ამ ჯგუფში ყველაზე მცირე სხვაობაა მხარდაჭერის მნიშვნელოვან და მცირე საჭიროებების მქონე ბავშვების ქვე-ჯგუფებში არსებულ ხარჯებს შორის.

დიაგრამა N8.8.1: სმენისა და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების (მხარდაჭერის მნიშვნელოვანი და მცირე საჭიროებებით) მთლიანი თვიური ხარჯის განაწილება საგნებსა და მომსახურებებზე (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.8.2. ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

აღსანიშნავია, რომ თვიური ხარჯების განაწილება ნახსენები სამი ქვე-ჯგუფისთვის მეტ-ნაკლებად ერთნაირია. ყველაზე დიდი თანხები სჭირდება შემდეგს: „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“; „რეაბილიტაცია“; და „დამხმარე ტექნოლოგიები“. სამივე ქვე-ჯგუფის ბავშვებისთვის - ყრუ-უსინათლო; სრულიად ყრუ, მაგრამ ნარჩენი მხედველობით; და სრულიად უსინათლო, მაგრამ ნარჩენი სმენით - მათზე ზრუნვის თვიური ხარჯების შედარებით მცირე ნაწილი მოდის მობილობა/მისაწვდომობასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

დიაგრამა N8.8.2. წარმოგვიდგენს ხარჯების განაწილებას ხარჯების კატეგორიების მიხედვით.

დიაგრამა N8.8.2. — ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.8.3. ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის

სრულიად ყრუ-უსინათლო და მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს მთლიანი თვიური ხარჯების 31 პროცენტს. მთლიანი თვიური თანხიდან 4 პროცენტი გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემწეობის, ხოლო 27 პროცენტი - სხვადასხვა მომსახურებისა და საგნების სახით. დანარჩენ ხარჯებს, ანუ მთლიანი ხარჯის 69 პროცენტს, ოჯახები ფარავენ.


რაც შეეხება სრულიად ყრუ, მაგრამ ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვებს, სახელმწიფო ფარავს მთლიანი თვიური ხარჯის 30 პროცენტს, რაშიც შედის შშმ ბავშვის თვიური შემწეობა

და უფასო საგნებისა და მომსახურებების მიწოდება. მთლიანი თვიური ხარჯებიდან 6 პროცენტი არის შპმ ბავშვის თვიური შემწეობა და 24 პროცენტი - სხვადასხვა მომსახურება და საგნები. დარჩენილ 70 პროცენტს ფარავს ოჯახი.

სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვიან ოჯახებს მეტი ხარჯი აქვთ, ვიდრე სრულიად ყრუ და ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვიან ოჯახებს. სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვიანი ოჯახები თვითონ ფარავენ თვიური ხარჯების 76 პროცენტს და მხოლოდ 24 პროცენტი იფარება სახელმწიფოს მიერ.

დიაგრამა N8.8.3. ასახავს ხარჯების განაწილებას ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის.

დიაგრამა N8.8.3. — ხარჯების განაწილება ოჯახებსა და სახელმწიფოს შორის (ლარი და პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)



8.8.4. მთავრობის წილი ყველა კომპონენტში

სრულიად ყრუ-უსინათლო ბავშვების შემთხვევაში მთავრობა ყველაზე მეტად მონაწილეობს დამხმარე ტექნოლოგიების ხარჯების დაფარვაში, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 9 პროცენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ასევე ფარავს პერსონალური ასისტენტისა და ზრუნვის მომსახურებების თანხებს, რაც მთლიანი ხარჯების 8 პროცენტია, და რეაბილიტაციის თანხებს, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 7 პროცენტს წარმოადგენს. სახელმწიფო ასევე იხდის ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 3 პროცენტს შეადგენს, თუმცა სახელმწიფო საერთოდ არ ფარავს მობილობასთან/ მისაწვდომობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.




დარჩენილი თვიური ხარჯების გასტუმრება ოჯახებს უწევთ. მათი ყველაზე დიდი პირდაპირი ხარჯების კატეგორიების: „რეაბილიტაცია“, რაც თვიური ხარჯების 29 პროცენტს

შეადგენს; „პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები“, რაც თვიური ხარჯების 20 პროცენტს შეადგენს; „დამხმარე ტექნოლოგიები“, რაც თვიური ხარჯების 16 პროცენტს შეადგენს; „მობილობა/მისანვდომობა“, რაც თვიური ხარჯების 8 პროცენტს უდრის; და „ჯანდაცვა“, რაც მთლიანი თვიური ხარჯების 1 პროცენტს შეადგენს.

ხარჯების ასეთივე განაწილება დაფიქსირდა სრულიად ყრუ და ნარჩენი მხედველობის, ისევე, როგორც სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვებში.

დიაგრამა N8.8.4 გვჩვენებს სახელმწიფოს მონაწილეობას ყველა კომპონენტში.

დიაგრამა N8.8.4. – სახელმწიფოს წილი ყველა კომპონენტში (პროცენტი მთლიანი ღირებულებიდან)




8.8.5. სხვაობა თვიურ საჭირო ხარჯებსა და არსებულ ხარჯებს შორის

კვლევამ გვარჩენა, რომ სრულიად ყრუ-უსინათლო ბავშვების შემთხვევაში, სახელმწიფოს მონაწილეობით ან ოჯახის მიერ იფარებოდა საჭირო ხარჯების მხოლოდ 37 პროცენტი. რაც შეეხება სრულიად ყრუ და ნარჩენი მხედველობის მქონე ბავშვებს, იფარებოდა მათთვის საჭირო თანხების მხოლოდ 29 პროცენტი. სრულიად უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვების შემთხვევაში კი იფარებოდა მათთვის საჭირო თანხების მხოლოდ 28 პროცენტი.

დიაგრამა N8.8.5 გვარჩენებს არსებულ ხარჯებს და სხვაობას არსებულ და საჭირო თანხებს შორის.

N8.8.5 დიაგრამა – სხვაობა თვიურ საჭირო და არსებულ ხარჯებს შორის (ლარი, მთლიანი ხარჯიდან)



ნაწილი III

9. კონკრეტული შემთხვევის აღწერა

ამ თავში მოყვანილია შეზღუდული შესაძლებლობის კონკრეტული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების საჭიროებებისა და მათი შესაბამისი დამატებითი ხარჯების საილუსტრაციო შემთხვევები. შემთხვევებში ჩამოთვლილი საგნები და მომსახურებები შშმ ბავშვებს სჭირდებათ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე თანატოლების მსგავსად საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის.

მოყვანილი მაგალითები გვაჩვენებს, თუ რა ხარჯების გაღება უწევს ოჯახს საჭირო საგნებისა და მომსახურებებისთვის ბავშვის ინკლუზიისთვის; როდის ჩნდება კონკრეტული ხარჯები და ვინ ფარავს შესაბამის თანხებს - სახელმწიფო თუ ოჯახი.

საჭირო ხარჯები, რომელიც დროის სხვადასხვა პერიოდში ჩნდება, იმგვარად არის დაანგარიშებული, რომ შესაძლებელი გახდეს ბავშვზე ზრუნვის მთლიანი თვიური ღირებულების დადგენა.

ბავშვის საჭიროებებისა და საჭირო ხარჯების სრულად ასახვის მიზნით თითოეული აქ მოყვანილი მაგალითისთვის გაანალიზებულია ბავშვის ყოველდღიური ფუნქციონირების სფეროები, როგორცაა: თავის მოვლა, მობილობა, კომუნიკაცია, განათლება, გართობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალურ აქტივობებში მონაწილეობა და სხვ. მეტი სიცხადისთვის, ანგარიშის შემდეგ ნაწილში ხარჯები დაჯგუფებულია კატეგორიებად და წარმოდგენილია ცხრილებში.

9. 1. ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

ვასოს შემთხვევა, 12 წლის ბიჭი

ვასო 12 წლის ბიჭია ცერებრალური დამბლის დიაგნოზით. მას მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება აქვს და იმისათვის, რომ თანატოლების მსგავსად შეძლოს სკოლასა და ყოველდღიურ აქტივობებში ჩართვა, სჭირდება პერსონალური ასისტენტი და დამხმარე მოწყობილობების ინტენსიური გამოყენება. ასევე, მისი ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შენარჩუნების ხელშესაწყობად, მას სჭირდება აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურება და მხარდაჭერის სხვადასხვა მომსახურება.

ვასოს საჭიროებების ნაწილს სახელმწიფო აფინანსებს და მას აქვს შშმ ბავშვის შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). მაგრამ ოჯახს ასევე უწევს დამატებითი ხარჯების თავზე აღება, ვინაიდან სახელმწიფოს მხარდაჭერა სრულად ვერ პასუხობს ვასოს საჭიროებებს.

ქვემოთ მოყვანილია ვასოს საჭიროებების აღწერა, ფუნქციური სფეროების მიხედვით,

მათი ანალიზი და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზები.

დამხმარე ტექნოლოგიები

ფუნქციური მობილობისა და სხეულის კონტროლისთვის ვასოს სჭირდება: ეტლი პოზის კონტროლით, ნაწოლის შემამსუბუქებელი ბალიში და დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით. ასევე ატარებს ორტეზებს (სპლინტებს) ტერფების ყრდნობის გაუმჯობესებისთვის. ერთი ზედაპირიდან მეორეზე გადასაყვანად ვასოს სჭირდება გადასაყვანი (ტრანსფერის) დაფა. მანქანით გადაადგილებისას, ის ყოველთვის ზის მანქანის სავარძელში, რომელიც უსაფრთხო მგზავრობისთვის არის განკუთვნილი.

ვასო იყენებს აბაზანის/შხაპის სკამს და სპეციალურ საჯდომს ტუალეტისთვის. თვით მოვლისთვის და ჰიგიენისთვის ასევე სჭირდება სახელურები სააბაზანო ოთახში. კვების დროს ის ასევე იყენებს სპეციალურ ჭიქას სითხისთვის.

ვასოს ინტერესების გასაფართოებლად ოჯახი რეგულარულად ყიდულობს განსაკვიტარებელ სათამაშოებსა და მასალებს.

ჩამოთვლილი დამხმარე საშუალებების უმეტესობა, გარდა ეტლისა და ორტეზებისა, სრულად არის დაფინანსებული ოჯახის მიერ. დაზიანების შემთხვევაში ოჯახი ასევე იხდის დამხმარე მოწყობილობების შეკეთების თანხებს, ეტლის ჩათვლით.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

ვასოს უფროსების მხრიდან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სჭირდება. შესაბამისად, მას და მის ოჯახს დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში ჰყავთ დამხმარე/მომვლელი, რომლის მომსახურებებისთვისაც თვიურ თანხას ოჯახი იხდის. ვასო ყოველ დღე მიდის დღის ცენტრში. საფასურს მთლიანად სახელმწიფო ფარავს.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

ვასოს ფიზიკური მდგომარეობისა და სხვა ფუნქციური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და შენარჩუნებისთვის ვასო ჩართულია აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში. ამ პროგრამის ღირებულების თითქმის 50 პროცენტი სახელმწიფოს მიერ იფარება, დანარჩენ თანხას კი იხდის ოჯახი. ოჯახი დარწმუნებულია, რომ ვასოს თერაპიის იმაზე მეტი სესია სჭირდება, ვიდრე ამას სახელმწიფო აფინანსებს.

ვასოს ოჯახი ყოველწლიურად იყენებს რეკრეაციულ მომსახურებას, რომლის ღირებულების 50 პროცენტს სახელმწიფო იხდის, ხოლო დარჩენილ 50 პროცენტს - ოჯახი.

ჯანმრთელობა

ჯანმრთელობისთვის ვასოს სჭირდება ბოტულინის ინექციები, სამედიცინო მეთვალყურეობა და მედიკამენტები. აღნიშნული საჭიროების 80 პროცენტს იხდის სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევა. სტომატოლოგიური მომსახურებების დროს საჭირო სედაციის წლიურ თანხას მთლიანად ოჯახი ფარავს.

მობილობა/მისანვდომობა

ვასოს ოჯახს უწევს ყოველდღიური ხარჯების დაფარვა ტაქსის მომსახურებისთვის, რაც

მათ სჭირდებათ არა-ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამო. თერაპიის სესიებსა და დღის ცენტრში მისაღწევად ისინი ტაქსის იყენებენ.

ამას გარდა, ოჯახს დასჭირდა მათი საცხოვრებლის მცირე გადაკეთება იმისთვის, რომ ვასოს უკეთ შეძლებოდა ეტლით სახლში გადაადგილება.

ხარჯის ამ კატეგორიაში შემავალ მთლიან ხარჯებს ოჯახი ფარავს.

ცხრილი N9.1 წარმოგვიდგენს ვასოს საჭირო ხარჯებს და დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.1 – ვასოს ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტსა და ლარში | | |
|---|---------------|--------------------------------------|--------|----------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|-----|-----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | ეტლი პოზის კონტროლით | | | | 2,650 | | | 74 | 100% | 74 | |
| | | ნაწოლის შემამსუბუქებელი ბალიში | | 150 | | | | | 13 | 0% | 0 | |
| | | დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით | | | | 1,800 | | | 50 | 0% | 0 | |
| | | ორტეზები | | 182 | | | | | 15 | 100% | 15 | |
| | | აბაზანის/შხაპის სკამი | | | | 285 | | | 8 | 0% | 0 | |
| | | ტუალეტის ადაპტირებული საჯდომი | | | | 200 | | | 6 | 0% | 0 | |
| | | სააბაზანო ოთახის მოაჯირები | | | | | | 833 | 4 | 0% | 0 | |
| | | კომუნიკაციის ალტერნატიული მონაცემები | | | | 825 | | | 23 | 0% | 0 | |
| | | გადასაყვანი დაფა | | | | 200 | | | 6 | 0% | 0 | |
| | | ადაპტირებული სასმელი ჭიქა | | 80 | | | | | 7 | 0% | 0 | |
| | | განსავითარებელი სათამაშოები | | 300 | | | | | 25 | 0% | 0 | |
| | | მანქანის სავარძელი | | | | | 450 | | 9 | 0% | 0 | |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 269 | | 89 |
| | | | S | პოზის კონტროლიანი ეტლის შეკეთება | | 100 | | | | | 8 | 0% |
| პოზის კონტროლიანი დასადგომი საშუალების შეკეთება | | | | 100 | | | | | 8 | 0% | 0 | |
| პლანშეტური კომპიუტერის შეკეთება | | | | 100 | | | | | 8 | 0% | 0 | |
| სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | | | 25 | | 0 |
| სულ კატეგორია | | | | | | | | 294 | | 89 | | |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | ძიძა/მომვლელი | 800 | | | | | | 800 | 0% | 0 | |
| | | დღის ცენტრი | 630 | | | | | | 630 | 100% | 630 | |
| სულ კატეგორია | | | | | | | | 1430 | | 630 | | |

| | | | | | | | | | | |
|------------------------------|---|---|-----|-------|--|--|-------|--------------|-----|--------------|
| ჯანდაცვა | G | საფენები | 50 | | | | | 50 | 40% | 20 |
| | | მედიკამენტები | 50 | | | | | 50 | 80% | 40 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 100 | | 60 |
| | S | ბოტულინუმ ტოქსინის ინექცია | | 850 | | | | 71 | 80% | 57 |
| | | ანესთეზია სტომატოლოგიური მომსახურებებისას | | 1000 | | | | 83 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 154 | | 57 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 254 | | 117 |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | ფიზიკური თერაპია | 370 | | | | | 370 | 46% | 170 |
| | | ოკუპაციური თერაპია | 108 | | | | | 108 | 63% | 68 |
| | | ენისა და მეტყველების თერაპია | 188 | | | | | 188 | 36% | 68 |
| | | ფსიქოლოგის მომსახურებები | 84 | | | | | 84 | 40% | 34 |
| | | დასვენება სამედიცინო კურორტზე და ტრანსპორტირება | | 2,000 | | | | | 167 | 40% |
| | | | 650 | | | | | 54 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 971 | | 407 |
| მობილობა / მისანვდომობა | S | ტრანსპორტი | 400 | | | | | 400 | 0% | 0 |
| | | საცხოვრებლის გადაკეთებასთან დაკავშირებული ხარჯები | | | | | 1,500 | 7 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 407 | | 0 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 3,325 | | 1,242 |
| | | | | | | | | ლარი | | ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.2. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მეორე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

ანას შემთხვევა, 8 წლის გოგო

ანას აქვს ინტელექტუალური სფეროს განვითარების დარღვევა, რაც განპირობებულია დაუნის სინდრომით.

მისი მდგომარეობის გამო ანას ფუნქციონირების ყველა სფეროში ესაჭიროება მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. ფუნქციონირების შეფასების შემდეგ ანას მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შემწეობა - თვეში 275 ლარი (დახლოებით 100 აშშ დოლარი). ანას სჭირდება მუდმივი მეთვალყურეობა მშობლების ან სხვა უფროსი პირის მხრიდან, პროფესიონალების მიერ განეული მომსახურებები კვირაში რამდენიმეჯერ და დამხმარე საშუალებების ყოველდღიური და ინტენსიური გამოყენება.

ანას მშობლები კარგად არიან ინფორმირებული, თუ რა დახმარებების განევა შედის ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობების პასუხისმგებლობაში და ისინი ამ მხარდაჭერას მაქსიმალურად იყენებენ. მშობლები ასევე მიმართავენ სხვადასხვა ორგანიზაციას ანასთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებებისთვის დამატებითი დაფინანსების მისაღებად. რომ არა მშობლების მხარდაჭერა, ანას არ ექნებოდა მისთვის საჭირო ზოგიერთი საგანი და მომსახურება. თუმცა, მის ოჯახს ასევე უწევს დამატებითი ხარჯების გაღება ანას საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ანას ოჯახი პატარა ქალაქში ცხოვრობს, სადაც მხოლოდ რამდენიმე მომსახურება არის მისაწვდომი. ყველა საჭირო მომსახურების მისაღებად ანას მუნიციპალურ ცენტრში უწევს მგზავრობა.

ქვემოთ აღწერილია ანას დეტალური საჭიროებები და შესაბამისი ხარჯები, რომელსაც ფარავს სახელმწიფო, სხვადასხვა ორგანიზაცია და/ან ფიზიკური პირი, ან ანას ოჯახი.

ხარჯების ანალიზი ჩატარებულია შესაბამისი ფუნქციონირების სფეროების ანალიზის შედეგად.

დამხმარე ტექნოლოგიები

ანა დამოუკიდებლად მოძრაობს. თუმცა, სიარულისთვის მას ორთოპედული ფეხსაცმელი სჭირდება. ოჯახს ფეხსაცმლის ყიდვა წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ უწევს.

ანა ჯერ კიდევ ხმაროს საფენებს. ამ ხარჯს წელიწადში ექვსჯერ ფარავს ადგილობრივი ხელისუფლება, ჯამში 1,800 ლარით, ხოლო ოჯახი ყიდულობს საფენებს დარჩენილ 6 თვეში და ამავე თანხად.

ამას გარდა, იმისათვის, რომ ოჯახის ავტომობილით ანა უსაფრთხოდ გადაადგილდეს, მას ავტომობილის სპეციალური სავარძელი სჭირდება.

სათამაშოები და განსავითარებელი მასალები ასევე მნიშვნელოვანი ხარჯია ანას

გართობისა და განვითარებისთვის. ხარჯს ოჯახი და არასამთავრობო ორგანიზაცია იყოფენ. სახლში, საკვების მიღების, ზოგიერთი სასწავლო აქტივობისა და თამაშის დროს ანა იყენებს სპეციალურ მაგიდას და სკამს, რომელიც მას ოჯახის მეგობარმა შეუძინა.

ანას მეტყველების პრობლემები აქვს და ამიტომაც, სპეციალისტის რეკომენდაციის თანახმად, ოჯახმა შეიძინა პლანშეტური კომპიუტერი და სპეციალური აპლიკაცია კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემების გამოსაყენებლად. ანა სწავლობს სპეციალური აპლიკაციის კომუნიკაციის დამხმარე საშუალებად გამოყენებას. პლანშეტური კომპიუტერი ინტერნეტშია ჩართული. ამავე დროს, ანას მშობლებს მისთვის ყოველ თვე უწევთ საკომუნიკაციო ბარათების დამზადება. ზემოთხსენებულ ხარჯებს მთლიანად ოჯახი ფარავს.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

ანას მშობლები მუშაობენ და ვინაიდან ბებია-ბაბუა ასაკოვანია, ანას ჰყავს ძიძა, რომელიც მას ყოველდღიური აქტივობების განხორციელებაში ეხმარება დღეში რვა საათი, კვირაში ექვსი დღე. ანა ძიძას დაჰყავს სკოლაში და სოციალური მომსახურებების მისაღებად. ძიძის თანხას მთლიანად ანას დეიდა იხდის.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

განვითარებისა და ფუნქციონირების მხარდაჭერის მიზნით ანა იღებს სხვადასხვა თერაპიულ მომსახურებას, მათ შორისაა: მეტყველებისა და ენის თერაპია კომუნიკაციის უნარების გასაუმჯობესებლად; ოკუპაციური თერაპია მისი დამოუკიდებლობის გასაზრდელად; ფსიქოლოგის დახმარება ქცევის კონტროლის გასაუმჯობესებლად; ფიზიკური თერაპია მოტორული აქტივაციისთვის და დისპრაქსიის დასაძლევად.

შესაბამისად, სკოლის შემდეგ ანა მიდის აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე. მას უტარდება 32 სესია თვეში, წელიწადში რვა თვის განმავლობაში. აქ შედის ფიზიკური თერაპიის რვა სესია, ოკუპაციური თერაპიის რვა სესია, ფსიქოლოგიური დახმარების რვა სესია, და მეტყველებისა და ენის თერაპიის რვა სესია. ხარჯები გაყოფილია სახელმწიფოსა და ოჯახს შორის. ოჯახს დასჭირდა დამატებითი თანხის გაღება ანასთვის სესიების საჭირო რაოდენობის ჩასატარებლად.

იმ თვეებში, როდესაც ანა არ ესწრება აბილიტაციის კურსებს, ის საცურაო აუზზე დადის. რომ არა მხარდაჭერა საცურაო აუზის ადმინისტრაციისგან, რომელიც ანას ოჯახს მნიშვნელოვან ფასდაკლებას უკეთებს, ოჯახი ვერასდროს შეძლებდა ცურვის გაკვეთილებისა და მწვრთნელის თანხის გადახდას.

ყოველწლიურად, ადგილობრივი მთავრობა აფინანსებს ანას ორკვირიან დასვენებას. თუმცა, ოჯახი ერთი თვით მიდის შერჩეულ პანსიონატში და დარჩენილი ორი კვირის თანხას თავად ფარავს.

ჯანდაცვა

ანას ჯანმრთელობას რეგულარული დაკვირვება და მხარდაჭერა სჭირდება. ძლიერი ალერგიის გამო ანამ სპეციალური საკვები უნდა მიიღოს. ამ სპეციალური საკვების თვიური ხარჯი იყოფა ადგილობრივ მთავრობასა და ოჯახს შორის.

ანას ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საჭიროებებში, გაიდლაინებისა და პროტოკოლების შესაბამისად, შედის სპეციალური სამედიცინო მეთვალყურეობა. ეს ხარჯები ნაწილდება საქველმოქმედო ორგანიზაციასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. სტომატოლოგიური მომსახურებების დროს სედაციის ხარჯებს ასევე საქველმოქმედო ორგანიზაცია ფარავს.

მობილობა/მისაწვდომობა

მოკლე მანძილებზე ანა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობს ძიძასთან ან მშობლებთან ერთად. მაგრამ, თუ მგზავრობას სამ გაჩერებაზე მეტი სჭირდება, და თუ საჭიროა გარკვეული მანძლის ფეხით გავლა, ანას სირთულეები ექმნება. ამის გამო, კვირაში სამჯერ (თერაპიის სესიებზე მისასვლელად) ანას ავტომობილით მგზავრობა სჭირდება. ყველა ამ ხარჯს სრულად ფარავს მისი ოჯახი.

ცხრილი N9.2 წარმოგვიდგენს ანასთვის საჭირო ხარჯებს და დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.2 – ანას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტსა და ლარში | |
|---------------------------------|-----------------|--|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|------------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | ორთოპედული ფეხსაცმელი | | 500 | | | | | 42 | 0% | 0 |
| | | „ჭკვიანი“ ტელეფონი / პლანშეტური კომპიუტერი | | | | 1,300 | | | 36 | 0% | 0 |
| | | საკომუნიკაციო აპლიკაცია | | | | | | 50 | 0 | 0% | 0 |
| | | ორთოპედული სკამი | | | | | | 700 | 3 | 0% | 0 |
| | | ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები | 50 | | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | განსავითარებელი მასალები / სათამაშოები | | 1,250 | | | | | 104 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 285 | |
| | S | სმარტტელეფონის / პლანშეტური კომპიუტერის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 17 | | 0 |
| | | სულ ჯამი | | | | | | | 302 | | 0 |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | მომვლელი / ძიძა | 1,000 | | | | | | 1000 | 0% | 0 |
| | | სულ ჯამი | | | | | | | 471 | | 180 |

| | | | | | | | | | | | |
|------------------------------|---|---|-----|-------|-------|--|------------|-------------------|--------------|-----------------|------------|
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | ფიზიკური თერაპია | | 1,480 | | | | 123 | 46% | 57 | |
| | | ოკუპაციური თერაპია | | 432 | | | | 36 | 63% | 23 | |
| | | მეტყველებისა და ენის თერაპია | | 752 | | | | 63 | 36% | 23 | |
| | | ფსიქოლოგის მომსახურებები | | 336 | | | | 28 | 40% | 11 | |
| | | სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურება (ტრანსპორტირების ჩათვლით) | | 2,000 | | | | 167 | 40% | 67 | |
| | | | | 650 | | | | 54 | 0% | 0 | |
| | | სულ ჯამი | | | | | 471 | | 180 | | |
| ჯანდაცვა | G | საფენები | 150 | | | | | 150 | 29% | 43 | |
| | | სპეციალური საკვები | 500 | | | | | 500 | 17% | 83 | |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 650 | | 126 | |
| | S | კონკრეტული სამედიცინო მეთვალყურეობა (გაიდლაინების, პროტოკოლების მიხედვით) | | 1,750 | | | | | 146 | 80% | 117 |
| | | ანესთეზია სტონატოლოგთან ვიზიტისას | | | 1,000 | | | | 42 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 187.5 | | 117 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 838 | | 243 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 2,610 ლარი | | 365 ლარი | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.3. ქვევის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

ბექას შემთხვევა, 8 წლის ბიჭი

ბექა არის 8 წლის ბიჭი და აქვს აუტისტური სპექტრის აშლილობა ძლიერი ქცევითი პრობლემებით, რაც გამოიხატება განმეორებადი და თვითდამაზივნებელი ქცევის სახით.

რამდენიმე წლის წინ ბექამ მიიღო უშუალო ბავშვის სტატუსი და დაიწყო შეზღუდული შესაძლებლობის თვითური შემწეობის მიღება თვეში 275 ლარის (დაახლოებით 100 აშშ დოლარი) ოდენობით. ეს თანხა გამოიყენება მისი და მისი ოჯახის ზოგიერთი ხარჯის დასაფარად.

მისი მდგომარეობის გამო ბექას სჭირდება მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ფუნქციონირების ყველა სფეროში: კერძოდ მას სჭირდება მუდმივი მეთვალყურეობა მშობლების ან სხვა უფროსების მიერ, პროფესიონალთა სპეციალური მომსახურება კვირაში რამდენჯერმე და დამხმარე საშუალებების დღიური და ინტენსიური მოხმარება.

ბექას ოჯახი დაბალშემოსავლიანად ითვლება. შშმ ბავშვის შემწეობა, რასაც ის ადრეული ბავშვობიდან იღებს, არ არის საკმარისი მისი ყველა საჭიროებისთვის. დარჩენილი ხარჯების ნაწილი თავზე აიღო საქველმოქმედო ორგანიზაციამ, რამაც საშუალება მისცა ბექას, მიიღოს მისთვის საჭირო საგნები და მომსახურებები.

ქვემოთ ჩამოთვლილია ბექასთვის აუცილებელი ყველა საჭირო მხარდაჭერა და შესაბამისი ხარჯები, რომლის გაღებაც უნევს სახელმწიფოს, საქველმოქმედი ორგანიზაციას და მის ოჯახს.

ხარჯების ანალიზი ჩატარებულია ფუნქციონირების სფეროების მიხედვით.

დამხმარე ტექნოლოგიები

სახლში, საკვების მიღების, ზოგიერთი სასწავლო აქტივობისა და თამაშის დროს ბექა იყენებს სპეციალურ მაგიდასა და სკამს.

ბექას კომუნიკაციის სირთულეები აქვს. რის გამოც, მეტყველებისა და ენის თერაპევტის რეკომენდაციის თანახმად, მას გადაეცა პლანშეტური კომპიუტერი და სპეციალური აპლიკაცია ალტერნატიული საკომუნიკაციო სისტემის გამოსაყენებლად. მისი მშობლები იმედოვნებენ, რომ პლანშეტური კომპიუტერის გამოყენება შესაძლებელი იქნება მომდევნო სამ ან ოთხ წელიწადში მისი შეცვლის საჭიროების გარეშე. პლანშეტური კომპიუტერის თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციამ დაფარა. კომპიუტერი ინტერნეტშია ჩართული, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, ან როდესაც დამშვიდება სჭირდება, ბექა რეგულარულად უყურებს ანიმაციურ ფილმებს YouTube არხზე. ამ ხარჯს ოჯახი ფარავს.

ოჯახის ავტომობილით მგზავრობისას ბექას სჭირდება სავარძელში ჩასმა უსაფრთხო მგზავრობისთვის და განმეორებადი მოძრაობების კონტროლისთვის. მანქანის სავარძლის თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციამ გადაიხადა.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ბექას სასწავლო სახელმძღვანელოებითა და აქტივობებისთვის საჭირო მასალებით, ბექას სჭირდება სენსორული სტიმულაციის მასალები. ვინაიდან ის სწრაფად კარგავს ინტერესს მისთვის ნაცნობი სათამაშოების მიმართ, ყოველთვის საჭიროა სათამაშოების განახლება.

ხმაურიან გარემოში (ძირითადად სკოლაში, როდესაც იღლება) ბექა იყენებს ოჯახის მიერ შეძენილ ყურსასმენებს.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა

თვითმომსახურებისთვის, როგორცაა კვება, ბანაობა, ჩაცმა და ტუალეტის გამოყენება, ბექას სჭირდება უფროსი პირის მუდმივი მეთვალყურეობა და ფიზიკური დახმარებაც კი.

ბექას მშობლები მუშაობენ და ვინაიდან ბებია-ბაბუა ასაკოვანია, ბექას ჰყავს ძიძა, რომელიც მას ეხმარება ყოველდღიურ საქმიანობებში დღეში რვა საათი და კვირაში ექვსი დღე. ამას გარდა, ძიძას დაჰყავს ბექა სკოლაში, რეაბილიტაციის ცენტრში, სათამაშო მოედანზე და ზოგჯერ - დაბადების დღეებზე. ძიძის მომსახურების თვიურ თანხას ასევე საქველმოქმედო ორგანიზაცია იხდის.

კვირაში 5 დღე ბეჯა დადის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილ დღის ცენტრში. აღნიშნული მომსახურების სრული ღირებულება სახელმწიფოს მიერ იფარება.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

ბეჯა ჩართულია მუნიციპალურ აუტისტურ პროგრამაში და ყოველთვიურად იღებს ABA თერაპიის 30 საათს. თერაპიის 20 საათის ღირებულებას ფარავს პროგრამა და 10 საათის ღირებულებას - საქველმოქმედო ორგანიზაცია.

ყოველ წელს ბეჯა სარგებლობს დასვენების ორკვირიანი ვაუჩერით, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს. თუმცა, ოჯახს დასასვენებელ ადგილზე ერთი თვით სურს დარჩენა. ისინი თვლიან, რომ, ახალ ადგილზე ბეჯას ადაპტაციისთვის საჭირო დროის გათვალისწინებით, ორკვირიანი ვაუჩერი დასვენებისთვის არ არის საკმარისი.

ჯანდაცვა

ბეჯას აქვს ჯანდაცვასთან დაკავშირებული შემდეგი საჭიროებები: სპეციალური საკვები და კვების რეჟიმი; ნევროლოგის ყოველწლიური კონსულტაცია; სტომატოლოგის მომსახურება ანესთეზიით. მისი სპეციალური საკვების 6 თვის თანხას იხდის ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო დარჩენილი ექვსი თვის თანხას - ოჯახი. ნევროლოგისა და სედაციით სტომატოლოგიური მომსახურებების მთლიან თანხას ფარავს საქველმოქმედო ორგანიზაცია.

მობილობა/მისაწვდომობა

მოკლე მანძილებზე ბეჯა საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მიკროავტობუსით) მგზავრობს ძიძასთან ან მშობლებთან ერთად. მაგრამ მას სირთულეები აქვს, თუ მგზავრობას ხუთ წუთზე მეტი სჭირდება და თუ შემდეგ რაღაც მანძილი ფეხით არის გასავლელი. ამის გამო, თერაპიის კურსებზე კვირაში სამჯერ მისასვლელად, ბეჯას სჭირდება ტაქსი. ასევე, ტაქსია საჭირო ზოგჯერ ერთჯერადად სადმე წასასვლელად (მაგ.: ნათესავებთან ან სხვა გასართობ ადგილას მისასვლელად).

ცხრილი N9.3 წარმოგვიდგენს ბეჯას საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.3 – ბეჯას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტსა და ლარში | | |
|---------------------------------|-----------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|------------|----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | პლანშეტური კომპიუტერი ან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალება | | | | 1,300 | | | 36 | 0% | 0 | |
| | | კომუნიკაციის ალტერნატიული პროგრამა: PECS აპლიკაცია | | | | | 50 | | 0 | 0% | 0 | |
| | | ყურსასმენები | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 | |
| | | განსავითარებელი სათამაშოები და მასალები | | 600 | | | | | 50 | 0% | 0 | |
| | | საგნები სენსორული სტიმულაციისთვის (სენსორ-მოტორული მილი და Wilbarger სენსორული ჯაგრილი) | | 175 | | | | | | 15 | 0% | 0 |
| | | საქანელა | | | | | | 200 | | 4 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 122 | | 0 |
| | S | პლანშეტური კომპიუტერის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 17 | | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 138 | | 0 | |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | მომვლელი, ძიძა | 800 | | | | | | 800 | 0% | 0 | |
| | | დღის ცენტრი | 630 | | | | | | 630 | 100% | 630 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 1,430 | | 630 | |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | აუტიზმის პროგრამა - (ABA, სენსორული ინტეგრაცია, მეტყველებისა და ენის თერაპია) | 720 | | | | | | 720 | 27% | 192 | |
| | | სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურება (ტრანსპორტირების ჩათვლით) | | 2,000 | | | | | 167 | 40% | 67 | |
| | | | | 1,000 | | | | | | 83 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 970 | | 259 | |

| | | | | | | | | | | |
|------------------------|---|---------------------------------------|-----|-------|--|--|------------|-------------------|------------|-------------------|
| ჯანდაცვა | G | საფენები | 110 | | | | | 110 | 45% | 50 |
| | | სპეციალური კვება / ნუტრიცია | 125 | | | | | 125 | 40% | 50 |
| | | მედიკამენტები | 400 | | | | | 400 | 80% | 320 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | 635 | | 420 | |
| მობილობა/ მისაწვდომობა | S | ანესთეზია, სტომატოლოგიური მომსახურება | | 1,750 | | | | 146 | 0% | 0 |
| | | ფსიქიატრის / ნევროლოგის კონსულტაცია | | 125 | | | | 10 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 156 | | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | 791 | | 420 | |
| მობილობა/ მისაწვდომობა | S | ტრანსპორტირების ხარჯები | 500 | | | | | 500 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 500 | | 0 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 3,830 ლარი | | 1,309 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.4. კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

ნინოს შემთხვევა, 17 წლის გოგო

ნინო არის 17 წლის გოგო ცერებრალური დამბლის დიაგნოზით. მას ასევე აქვს ეპილეფსია. მისი მდგომარეობის გამო ნინოს სჭირდება დიდი და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ფუნქციონირების ყველა სფეროში. მას სჭირდება მუდმივი და ყოველდღიური მეთვალყურეობა მშობლების ან სხვა უფროსი პირის მიერ და ეს საჭიროება ზოგჯერ ღამითაც არის. მას კვირაში რამდენიმეჯერ სჭირდება პროფესიონალთა სპეციალური მომსახურება და დამხმარე ტექნოლოგიების ყოველდღიური და ინტენსიური გამოყენება.

ფუნქციონირების შეფასებაზე დაყრდნობით ნინოს მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შშმ პირის შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება იმ ზოგი ხარჯის დასაფარად, რაც აქვს მას და მის ოჯახს ყოველთვიურად. თუმცა, მისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ნინოს ოჯახს დამატებითი ხარჯების გაღებაც უნევს.

ნინოს გაუმართლა, რომ მისი ძალიან კომპლექსური საჭიროებებისა და მათთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯის დასაფარად, მას ფინანსურ მხარდაჭერას ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაცია უნევს.

ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი ნინოსთვის საჭირო ყველა სახის მხარდაჭერა და მათთან დაკავშირებული ხარჯები, რომელსაც ფარავს სახელმწიფო, საქველმოქმედო ორგანიზაცია ან ოჯახი.

ხარჯების ანალიზი ჩატარებულია ფუნქციური სფეროების მიხედვით.

დამხმარე ტექნოლოგიები

ყოველდღიურ აქტივობებში ნინოს მონაწილეობის მხარდასაჭერად მას სჭირდება დამხმარე ტექნოლოგიები:

- თავის მოვლისთვის ნინოს სჭირდება აბაზანის სკამი;
- ჭამის დროს ის ხმარობს წინსაფარს და იყენებს ადაპტირებულ დანა-ჩანგალსა და ჭიქას;
- კომუნიკაციისთვის ნინოს სჭირდება პლანშეტური კომპიუტერი და ალტერნატიული კომუნიკაციის აპლიკაცია;
- ფუნქციური მობილობისთვის მას სჭირდება ეტლი და დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით. ნინო ასევე ატარებს ორტეზებს (სპლინტებს);
- წოლისას სწორი პოზიციისთვის ის ხმარობს ორთოპედულ მატრასსა და U-ფორმის ბალიშს;
- სახლში ნინო ასევე ხმარობს ადაპტირებულ მაგიდასა და სკამს;
- ყოველდღიური გართობისა და განვითარების სტიმულაციისთვის ნინოს სჭირდება სხვადასხვა სათამაშო და სენსორული სტიმულიაციის მასალები;
- ასევე, დროის დიდ ნაწილს ნინო ატარებს ჰამაკში, რაც ოჯახმა წელს შეიძინა.

ზემოთხსენებული დამხმარე ტექნოლოგიების უმეტესობის თანხას, გარდა ეტლისა და სპლინტისა, იხდის საქველმოქმედო ორგანიზაცია და ოჯახი. პოზის კონტროლით ეტლისა და სპლინტების თანხებს იხდის სახელმწიფო.

პერსონალური ასისტენტი და მომსახურებები

თავის მოვლის ისეთი აქტივობებისთვის, როგორცაა ჭამა, დაბანა, ჩაცმა და ტუალეტის ხმარება, ნინოს უფროსი პირის ფიზიკური დახმარება სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ნინოს დედა არ მუშაობს, მას ჰყავს ყოველდღიურ აქტივობებში დამხმარე პირი/ მომვლელი დღეში რვა საათი, კვირაში ექვსი დღე. ამას გარდა, მომვლელს დაჰყავს ნინო სარეაბილიტაციო მომსახურებებზე, დღის ცენტრში და სათამაშო მოედანზე. მომვლელისმომსახურების თვიურ თანხას საქველმოქმედო ორგანიზაცია იხდის. სახელმწიფო სრულიად სრულად ფარავს დღის ცენტრის ომსახურების ღირებულებას, რომელიც განკუთვნილია მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისთვის.

რეაბილიტაციის მომსახურებები

ნინო ჩართულია აბილიტაცია/რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში. ის გადის ფიზიკური თერაპიის, მეტყველებისა და ენის თერაპიის და ოკუპაციური თერაპიის კურსებს. წელიწადში 8 თვის განმავლობაში, თვეში მას უტარდება თერაპიის შემდეგი 32 სესია: ფიზიკური თერაპიის 12 სესია, ოკუპაციური თერაპიის 12 სესია, ფსიქოლოგიური მომსახურების 2 სესია და მეტყველებისა და ენის თერაპიის 8 სესია. ამ 32 სესიიდან 22 დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, დარჩენილ 10 სესიას საქველმოქმედო ორგანიზაცია აფინანსებს.

ყოველ წელს, ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს ნინოს ორკვირიან დასვენებას. თუმცა, როგორც წესი ოჯახი ერთ თვემდე ახანგრძლივებს დასვენების ადგილას ყოფნას, ვინაიდან თვლის, რომ ახალ ადგილზე ნინოს ადაპტაციისთვის საჭირო პერიოდის

გათვალისწინებით, დასვენების ორკვირიანი ვაუჩერი საკმარისი არ არის. ამდენად, ოჯახს უნევს დამატებითი ორი კვირის საფასურის გადახდა.

ჯანდაცვა

ნინოს ჯანმრთელობის მდგომარეობა არასტაბილურია. ეპილექსიისა და სუსტი ფილტვების გამო წელიწადში ორჯერ ის ამბულატორიულ მომსახურებას იღებს. ამას გარდა, წელიწადში მინიმუმ სამჯერ მას სჭირდება ჰოსპიტალიზაცია - ყოველ ჯერზე რამდენიმე დღით. ასევე, მშობლებს სახლში აქვთ ინჰალაციისა და სატურაციის აპარატები.

ნინო ყოველდღიურად იღებს მედიკამენტებს (ფსიქოტროპულ, კუჭის დამცავ და სხვ). მათ შორის არის ისეთებიც, რომლებიც საქართველოში არ არის გამოყენებისთვის რეგისტრირებული.

ნინოს დამატებით სამედიცინო საჭიროებებში შედის: ბოტულინუმ ტოქსინის ინექცია; ელექტროენცეფალოგრამა (ზოგჯერ წელიწადში ორჯერ სჭირდება); ეპილექტოლოგთან რეგულარული კონსულტაციები და სტომატოლოგიური მომსახურება სედაციით.

ნინოს სჭირდება კანისთვის სპეციალური ჰიგიენური პროდუქტები, როგორცაა სველი ხელსახოცები, შამპუნი (საპნის შემცველობის გარეშე), სახისა და კანის ჰიპო-ალერგიული კრემი, პურდი დამწვარი კანისთვის. ის ჯერ კიდევ ხმარობს საფენებს.

მობილობა/მისანვდომობა

თერაპიაზე მისასვლელად ნინოს ოჯახი მგზავრობს მათი კუთვნილი ავტომობილით, რომელშიც ნინო სპეციალურ სავარძელში ზის. ნინოს მისაყვანად რეაბილიტაციის პროცედურებზე ოჯახს უნევს სანვავის თვიური ხარჯის დაფარვა. ზემოთ ნახსენებ ხარჯებს, გარდა ეტლისა, ოჯახი სრულად თავად ფარავს.

სახლში ნინოს მობილობის ხელშესაწყობად ოჯახმა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა საცხოვრებლის რეკონსტრუქციის თანხა.

ცხრილი N9.4 წარმოგვიდგენს ნინოსთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.4 — ნინოს ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტსა და ლარში | | |
|-----------------------|---------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|----|-----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | ეტლი პოზის კონტროლით | | | | 6,000 | | | 167 | 35% | 58 | |
| | | ნაწოლის შემამსუბუქებელი ბალიში | | 150 | | | | | 13 | 0% | 0 | |
| | | დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით | | | | 1,800 | | | 50 | 0% | 0 | |
| | | ორტეზები | | 182 | | | | | 15 | 93% | 14 | |
| | | ორთოპედული ფეხსაცმელი | | 400 | | | | | 33 | 0% | 0 | |
| | | ორთოპედული მატრასი | | | | | | 700 | 3 | 0% | 0 | |
| | | აბაზანის/შხაპის სკამი | | | | 500 | | | 14 | 0% | 0 | |
| | | ციფრული მონწყობილობა-ალტერნატიული კომუნიკაცია | | | | | | 825 | | 17 | 0% | 0 |
| | | ალტერნატიული კომუნიკაციის აპლიკაცია (PECS) | | | | | | | 50 | 0 | 0% | 0 |
| | | გადასაცვანი დაფა | | | | | | 150 | | 3 | 0% | 0 |
| | | ბალიში კისრის, თავის, ტანის კონტროლისთვის | | 350 | | | | | | 29 | 0% | 0 |
| | | ადაპტირებული დანა/ჩანგალი (კოვზი და სხვ.) | | | 100 | | | | | 4 | 0% | 0 |
| | | ადაპტირებული ჭიქა / ბოთლი | | 80 | | | | | | 7 | 0% | 0 |
| | | წინსაფარი | | 20 | | | | | | 3 | 0% | 0 |
| | | მანქანის სავარძელი | | | | | | 625 | | 13 | 0% | 0 |
| | | სენსორ-მოდული მილი, Wilbarger სენსორული ჯაგრისი | 75 | | 30 | | | | | 75 | 0% | 0 |
| | | განსავითარებელი სათამაშოები | | 500 | | | | | | 42 | 0% | 0 |
| | | ადაპტირებული მაგიდა და სკამი | | | | | | | 550 | 3 | 0% | 0 |
| | | ჰამაკი ან საქანელა ან ბატუტი | | | | | | 350 | | 7 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 501 | | 72 |

| | | | | | | | | | | | |
|------------------------------|---|--|--------------------------|-------|-----|------|--|-------------------|------------|-------------------|-----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | S | პოზის კონტროლიანი ეტლის შეკეთება | | 325 | | | | 27 | 0% | 0 | |
| | | პოზის კონტროლიანი დასადგომი საშუალების შეკეთება | | 300 | | | | 25 | 0% | 0 | |
| | | ადაპტირებული მაგიდისა და სკამის შეკეთება | | 150 | | | | 13 | 0% | 0 | |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 65 | | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 566 | | 72 | |
| პერსონალური ასისტენტი | S | ექთანი | 800 | | | | | 800 | 0% | 0 | |
| | | დღის ცენტრი და სახლად ზრუნვა | 630 | | | | | 630 | 100% | 630 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 1,430 | | 630 | |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | ფიზიკური თერაპია | 370 | | | | | 370 | 46% | 170 | |
| | | ოკუპაციური თერაპია / სენსორული თერაპია | 108 | | | | | 108 | 63% | 68 | |
| | | მეტყველებისა და ენის თერაპია | 188 | | | | | 188 | 36% | 68 | |
| | | ფსიქოლოგიის მომსახურება | 84 | | | | | 84 | 40% | 34 | |
| | | სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურება | | 2,000 | | | | | 167 | 40% | 67 |
| | | ტრანსპორტირება (ორი გზა) | | 650 | | | | | 54 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 971 | | 406 | |
| ჯანდაცვა | G | ჰიგიენის პროდუქტები (საფენები, სველი ხელსახოცები) | 150 | | | | | 150 | 29% | 44 | |
| | | ინჰალატორი | | | | 120 | | 3 | 0% | 0 | |
| | | სატურაციის აპარატი | | | 100 | | | | 4 | 0% | 0 |
| | | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 157 | | 44 |
| | S | ამბულატორიული მომსახურებები | | 200 | | | | | 17 | 80% | 14 |
| | | სტაციონარული მომსახურებები | | 500 | | | | | 42 | 80% | 34 |
| | | ინტენსიური მოვლის პალატა | | 700 | | | | | 58 | 80% | 46 |
| | | მცირე სამედიცინო ჩარევები (მაგ.: ბოტულინუმ ტოქსინის ინექცია) | | 700 | | | | | 58 | 0% | 0 |
| | | ელექტრო-ენცეფალოგრამა | | 150 | | | | | 25 | 80% | 20 |
| | | ანესთეზია სტომატოლოგიური მომსახურებებისთვის | | 1,000 | | | | | 83 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 283 | | 114 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 440 | | 157 | |
| მობილობა / მისანვდომობა | S | ტრანსპორტირება | 850 | | | | | 850 | 0% | 0 | |
| | | საცხოვრებლის გადაკეთების ხარჯები | | | | 2000 | | 9 | 0% | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 859 | | 0 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 4,266 ლარი | | 1,266 ლარი | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.5 ფსიქო-სოცირი საჭიროების მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

დავითი, 16 წლის ბიჭი

დავითს აქვს ფსიქო-სოცირი საჭიროება. როდესაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება, მას სჭირდება კლინიკაში ჰოსპიტალიზაცია. სხვა დროს მას სჭირდება უფროსი პირის (ძირითადად, მისი ოჯახის რომელიმე წევრის) ან დამხმარეს მუდმივი მეთვალყურეობა და ფსიქიატრის კონსულტაციები.

რამდენიმე წლის წინ დავითს მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება დავითისა და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

მისი მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად დავითის ოჯახი ცდილობს, შეუქმნას სტრუქტურირებული ყოველდღიური რუტინა და ის ჩართულია სხვადასხვა აქტივობებში, რასაც ძირითადად მასზე დადებითი გავლენა აქვს. სკოლის შემდეგ დავითი დადის ბავშვთა დღის ცენტრში.

დავითის მდგომარეობის სტაბილიზაციისა და თანატოლების მსგავსად ყოველდღიურ საქმიანობებში მისი ჩართულობის უზრუნველსაყოფად დავითს შემდეგი მხარდაჭერა სჭირდება:

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურება

იმისათვის, რომ დავითი დიდი ხნით არ დარჩეს ხოლმე სახლში მარტო, ოჯახმა დაიქირავა პერსონალური ასისტენტი, რომელიც მასთან ერთად რჩება და ასევე მიჰყვება მას დღის ცენტრში, სადაც დავითი ყოველ დღე დადის სკოლის შემდეგ. პერსონალური ასისტენტი დავითთან ერთად მუშაობს დღეში 4 საათი სამუშაო დღეებში. ამ მომსახურების ღირებულებას მთლიანად ოჯახი იხდის. დღის ცენტრის ღირებულება, სადაც დავითი სხვადასხვა აქტივობაშია ჩართული, სრულად იფარება სახელმწიფოს მიერ.

რეაბილიტაციის მომსახურებები

დავითის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად მას წელიწადში ორჯერ ან სამჯერ სჭირდება ფსიქოთერაპიის კურსი, რის ღირებულებასაც ასევე სახელმწიფო ფარავს. ზოგ შემთხვევაში დავითს შეიძლება რამდენიმე დღით ჰოსპიტალიზაცია სჭირდებოდეს. ჰოსპიტალიზაციის თანხა იფარება ჯანდაცვის სახელმწიფო საყოველთაო პროგრამიდან.

ჯანდაცვა

დავითი ყოველდღიურად იღებს ექიმის დანიშნულ მედიკამენტებს, რომელთა საფასურსაც სახელმწიფო იხდის. მას ასევე სჭირდება სტომატოლოგის მომსახურება და ვინაიდან ეს პროცედურები სედაციით უნდა ჩატარდეს, ამისთვის საჭირო თანხა მის ოჯახს დამატებით წლიურ ხარჯად აწვება.

ცხრილი N9.5 წარმოგვიდგენს დავითზე ზრუნვისთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია,

როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.5 – დავითის ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტსა და ლარში | |
|------------------------------|----------------------|----------------------------------|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|-------------------|
| პერსონალური ასისტენტი | S | პერსონალური ასისტენტი | 800 | | | | | | 800 | 0% | 0 |
| | | დღის ცენტრი (დღეში 6 საათი) | 475 | | | | | | 475 | 100% | 47 |
| | სულ კატეგორია | | | | | | | | 1,275 | | 48 |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | კოგნიტიური ქცევის თერაპია | | 6,000 | | | | | 500 | 100% | 500 |
| | | სტაციონარული ფსიქიატრიული ზრუნვა | | 6,000 | | | | | 500 | 100% | 500 |
| | სულ კატეგორია | | | | | | | | 1,000 | | 1,000 |
| ჯანდაცვა | G | მედიკამენტები | 15 | | | | | | 15 | 100% | 15 |
| | S | ანესთეზია სტომატოლოგიისთვის | | 1,000 | | | | | 83 | 0% | 0 |
| | სულ კატეგორია | | | | | | | | 98 | | 15 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 2,373 ლარი | | 1,063 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.6. ბავშვი მხედველობის დარღვევით, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

დიტოს შემთხვევა, 15 წლის ბიჭი

დიტო არის 15 წლის ბიჭი და ის სრულიად უსინათლოა.

მხედველობის პრობლემის გამო დიტოს სჭირდება მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ფუნქციონირების იმავე დონის მისაღწევად, რაც მის თანატოლებს აქვთ. დიტოს სჭირდება დამხმარე მოწყობილობების ინტენსიური გამოყენება, პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები, ჯანდაცვასთან დაკავშირებული გარკვეული ჩარევები და მხარდაჭერა მობილობისთვის.

დიტოს ოჯახი ცდილობს, მაქსიმალურად დაუჭიროს მას მხარი, რომ ის თანატოლების მსგავსად იყოს ჩართული საგანმანათლებლო და დასვენების აქტივობებში. დიტო დადის მხედველობის დარღვევების მქონე ბავშვების რესურს სკოლაში. შესაბამისი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად მისი ოჯახი სოფლიდან გადმოსახლდა თბილისში, სადაც დიტოს სპეციალური სკოლა და მომსახურებების უმეტესობა არის მისაწვდომი.

ბავშვობის ადრეულ ასაკში დიტოს მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და შესაბამისად, ის იღებს შშმ ბავშვის შემწეობას თვეში 275 ლარის (დაახლოებით 100 აშშ დოლარი) ოდენობით. ეს თანხა გამოიყენება დიტოსა და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულია ყველა საჭირო მხარდაჭერისა და შესაბამისი ხარჯების დეტალური ჩამონათვალი.

დამხმარე ტექნოლოგიები

დიტოს სჭირდება დამხმარე ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენება ფუნქციონირების უმრავლეს სფეროში.

დამოუკიდებლად გადაადგილებისა და ორიენტაციისთვის დიტო იყენებს თეთრ ხელჯობს, რომლის ღირებულებასაც მთლიანად სახელმწიფო იხდის.

განათლებისა და სკოლაში სწავლისთვის დიტოს სჭირდება კომპიუტერი ეკარნის წამკითხველი პროგრამით, ბრაილური, ბრაილის ნოუთ-თეიქერი (Notetaker), დეიზი პლეიერი (Daisy player), დიქტოფონი და ყურსასმენები. ამ დამხმარე მოწყობილობების როგორც შესაძენი, ასევე მათი შეკეთებისთვის საჭირო მთლიან თანხას ოჯახი იხდის.

თავის მოვლისთვის დიტოს სჭირდება სითხის დონის ინდიკატორი, ხმიანი თერმომეტრი, წინდების დამაწყვილებელი და ტაქტილური სანტიმეტრი. ამ ხარჯებსაც მთლიანად დიტოს მშობლები იხდიან.

იმისთვის რომ დიტომ შეძლოს მეგობრებთან ერთად თამაში, მისი მშობლები ყიდულობენ სამაგიდე თამაშებს ბრაილის შრიფტით და ტაქტილური ნიშნებით (არ იშოვება საქართველოში).

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

დიტოს დამოუკიდებელი გადაადგილების უნარი გაიზარდა მას შემდეგ, რაც ის 13 წლის შესრულდა. ასისტენტის მხარდაჭერით დიტო ესწრება თანატოლებთან სხვადასხვა შეკრებას კვირაში საშუალოდ ოთხი საათი. გამყოლის თანხას მთლიანად ოჯახი იხდის.

მობილობა

ქალაქში გადაადგილების დროს დიტო ხშირად იყენებს ტაქსის მომსახურებას, რის საფასურსაც ოჯახი იხდის.

ცხრილი N9.6 წარმოგვიდგენს დიტოსთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.6 – ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | მთავრობის პოტენციური წილი პროცენტი და ლარი |
|------------------------|---------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | თეთრი ხელჯობი | | 200 | | | | | 17 | 100% 17 |
| | | ტელეფონი ეკრანის წამკითხველი პროგრამით | | | | 1,750 | | | 49 | 0% 0 |
| | | კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით | | | | 2,600 | | | 72 | 0% 0 |
| | | ბრაილერი | | | | | 6,000 | | 125 | 0% 0 |
| | | ბრაილერის შენიშვნების ჩამწერი | | | | | | 9,000 | 42 | 0% 0 |
| | | დეიზი პლეიერი (Daisy player) | | | | 2,800 | | | 78 | 0% 0 |
| | | დიქტოფონი | | | 150 | | | | 6 | 0% 0 |
| | | ყურსასმენები | | 60 | | | | | 5 | 0% 0 |
| | | ტაქტილური სახატავი ნაკრები / სანტიმეტრი | | 60 | | | | | 5 | 0% 0 |
| | | სამაგიდე სათამაშოები ბრაილერით / ტაქტილური წარწერებით | | 400 | | | | | 33 | 0% 0 |
| | | სითხის დონის ინდიკატორი | | | | 90 | | | 3 | 0% 0 |
| | | ხმოვანი თერმომეტრი | | | | | | 130 | 3 | 0% 0 |
| | | წინდების დამაწყვილებელი | | | 15 | | | | 1 | 0% 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 488 |
| | S | თეთრი ხელჯობის შეკეთება | | 55 | | | | | 5 | 0% 0 |
| | | ტელეფონის შეკეთება | | 85 | | | | | 7 | 0% 0 |
| | | ელექტრონული გამადიდებლის შეკეთება | | 275 | | | | | 23 | 0% 0 |
| | | კომპიუტერის შეკეთება | | 300 | | | | | 25 | 0% 0 |
| | | ბრაილერის შეკეთება | | 275 | | | | | 23 | 0% 0 |
| | | ბრაილერის შენიშვნების ჩამწერის შეკეთება | | 550 | | | | | 46 | 0% 0 |
| | | დეიზი პლეიერის (Daisy player) შეკეთება | | 300 | | | | | 25 | 0% 0 |
| | | დიქტოფონის შეკეთება | | 55 | | | | | 5 | 0% 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 158 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 646 | 17 |
| პერსონალური ასისტენტი | S | გამყოლი | 400 | | | | | 400 | 0% 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 400 | 0 |
| მობილობა/ მისაწვდომობა | S | ტრანსპორტი (ტაქსი) | 175 | | | | | 175 | 0% 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 175 | 0 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 1,221 ლარი | 17 GEL |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.7. სმენის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

ოთოს შემთხვევა, 17 წლის ბიჭი

ოთო არის 17 წლის მოზარდი სმენის სირთულეებით. ის სრულიად ყრუ დაიბადა. ამჟამად ის ასრულებს საბაზისო განათლებას და გეგმავს სწავლის გაგრძელებას პროფესიულ სასწავლებელში.

ოთოს სჭირდება მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ფუნქციონირების იმავე დონის მისაღწევად, რაც მის თანატოლებს აქვთ. ბავშვობაში მას გაუკეთდა კოხლეარული იმპლანტაცია ერთ ყურზე; მეორე ყურში ის სმენის აპარატს ხმარობს. აღნიშნული დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების მიუხედავად, ოთო ძირითადად ჟესტურ ენას იყენებს კომუნიკაციისთვის და რეგულარულად სჭირდება ჟესტური ენის ენის თარჯიმნის მხარდაჭერა.

ოთოს ოჯახი, რომელიც საშუალო შემოსავლიან ოჯახად ითვლება, ცდილობს, ყველა შესაძლო პირობა შეუქმნას თანატოლების მსგავსად ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის. ამის მისაღწევად ოჯახს მეტი ფინანსური ხარჯის განწევა უწევს. საბედნიეროდ, ოთო ცხოვრობს ქალაქში, სადაც მისთვის საჭირო მომსახურებები ხელმისაწვდომია.

აღრეულ ბავშვობაში ოთოს მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და, შესაბამისად, ის იღებს შშმ ბავშვის თვიურ შემწეობას თვეში 275 ლარის (100 აშშ დოლარი) ოდენობით. ეს თანხა გამოიყენება ოთოს და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულია დეტალები ოთოსთვის საჭირო ყველა მხარდაჭერისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ, რასაც სახელმწიფო ან მისი ოჯახი ფარავს.

დამხმარე ტექნოლოგიები

კომუნიკაციისა და ასაკობრივ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მხარდაჭერისთვის ოთო იყენებს სასმენ აპარატს ერთ ყურში და აქვს კოხლეარული იმპლანტი მეორეში. დამხმარე ტექნოლოგიების სათანადო ფუნქციონირებისთვის ოთოს ოჯახს სჭირდება ელემენტების, აკუმულატორისა და პროცესორის შეძენა. ოთოს ასევე სჭირდება სპეციალისტთა მომსახურება ამ მოწყობილობების სისტემითური რეგულირების მიზნით.

ოთო კომუნიკაციისთვის ასევე იყენებს ვიდეო-კომუნიკაციის მოწყობილობას, შეუფერხებელი კომუნიკაციისთვის ოთოს სჭირდება, რომ ვიდეო-კომუნიკაციის მოწყობილობა მუდმივად იყოს ჩართული ინტერნეტში.

ამჟამად ოთო უფრო ხშირად რჩება სახლში მარტო. უსაფრთხოებისთვის მას სჭირდება სიგნალიზაცია ნათებისა და ვიბრაციის გამოყენებით კარზე ზარის, გაზის და კვამლის შესატყობინებლად.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

სკოლის შემდეგ, კვირაში სამჯერ ორ-ორი საათით, ოთო მონაწილეობს კლასგარეშე

აქტივობებში, სადაც არ ჰყავთ შესტიკულიაციის ენის თარჯიმანი. შესაბამისად, ოთოს ოჯახს თავად უწევს შესტიკული ენის თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა კვირაში ექვსი საათი, ანუ - თვეში 24 საათით. თარჯიმნის თანხას ოჯახი თავად ფარავს.

ჯანდაცვა

ოთოს რეგულარულად სჭირდება სმენის სპეციალისტთან ვიზიტი აუდიო-დიაგნოსტიკისთვის და მისი სმენის აპარატისა და კოხლეარული პროცესორის დასარეგულირებლად. ამ მომსახურებების თანხებს ოჯახი ფარავს.

ცხრილი N9.7 წარმოგვიდგენს ოთოსთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.7 – ოთოს ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტი | | |
|---------------------------------|-----------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|--------------------------------------|--------------|----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | სმენის ციფრული აპარატი | | | | | 5,750 | | 120 | 17% | 20 | |
| | | ელემენტები სმენის აპარატისთვის | 24 | | | | | | 24 | 0% | 0 | |
| | | ვიდეო კომუნიკაციის მონაცემები („ჭკვიანი“ ტელეფონი/ პლანშეტური კომპიუტერი) | | | | 1,350 | | | | 38 | 0% | 0 |
| | | სიგნალიზაცია ნათებით / ვიზრაციით (ზარის, გაზის, კვამლის, CO დეტექტორები) | | | | | | | 550 | 3 | 0% | 0 |
| | | კოხლეარული იმპლანტის პროცესორი | | | | | | 32,000 | | 667 | 56% | 374 |
| | | კოხლეარული იმპლანტის აკუმულატორი | | | | 1,560 | | | | 65 | 100% | 65 |
| | | კოხლეარული იმპლანტის ელემენტები | 72 | | | | | | | 72 | 0% | 0 |
| | | კოხლეარული პროცესორის ჩასადები | | | | | | 310 | | 6 | 0% | 0 |
| | | ინტერნეტი | 50 | | | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | | 1,045 | |
| | S | სმენის აპარატის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 | |
| | | ვიდეო კომუნიკაციის მონაცემების („ჭკვიანი“ ტელეფონი/ პლანშეტური კომპიუტერი) შეკეთება | | | 115 | | | | 10 | 0% | 0 | |
| | | კოხლეარული იმპლანტის პროცესორის შეკეთება | | | 600 | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | | 77 | 0 |
| სულ კატეგორია | | | | | | | | | 1,122 | 0 | 433 | |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | შესტიკულიაციის ენის თარჯიმანი | 1,440 | | | | | | 1,440 | 0% | 0 | |
| სულ კატეგორია | | | | | | | | | 1,440 | | 0 | |

| | | | | | | | | | | |
|------------------------|---|--|--|-----|--|--|--|-------------------|-----|-----------------|
| ჯანდაცვა | S | აუდიო - დიაგნოსტიკა | | 145 | | | | 6 | 80% | 5 |
| | | სმენის სპეციალისტის კონსულტაცია სმენის აპარატის დასარეგულირებლად | | 60 | | | | 5 | 0% | 0 |
| | | კოხლეარული იმპლანტის პროცესორის დარეგულირება | | 140 | | | | 12 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 23 | | 5 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 2,585 ლარი | | 438 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.8. ყრუ-უსინათლო ბავშვი, მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროებით

მარის შემთხვევა, 15 წლის გოგო

მარი 15 წლის გოგოა. ის ყრუ დაიბადა. თანმხლები გენეტიკური დაავადების გამო მან დაბადებიდან ცოტა ხანში მხედველობა დაკარგა.

მარის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი საჭიროება აქვს, ვინაიდან, ყოველდღიური ფუნქციონირებისთვის მას უფროსი პირის საგრძნობი დახმარება სჭირდება. მას ასევე სჭირდება დამხმარე მოწყობილობები, ინტენსიური რეაბილიტაცია ადაპტაციური უნარების განსავითარებლად; და სამედიცინო მეთვალყურეობა ჯანმრთელობის მდგომარეობის სამართავად.

მარისთვის განათლების საშუალების მისაცემად მისი მშობლები გადმოსახლდნენ გურიიდან დედაქალაქში - თბილისში, სადაც არსებობს რესურს სკოლა სენსორული დარღვევების მქონე ბავშვებისთვის.

მარი ჩართულია არსებულ სახელმწიფო მომსახურებებში, თუმცა ეს მომსახურებები სრულად ვერ აკმაყოფილებს მის საჭიროებებს. სახელმწიფო ფარავს მისთვის საჭირო საგნებისა და მომსახურებების ღირებულების მხოლოდ ნაწილს. დარჩენილს თანხებს ან ოჯახმა უნდა დაფაროს, ან მათვე უნდა გამოავლინონ მხარდაჭერის არა-სამთავრობო წყაროები - მაგალითად საქველმოქმედო ორგანიზაციები, ოჯახის მეგობრები ან მარის საჭიროებებისთვის თანხების შეწირვის მსურველი პირები - და მათ მიმართონ დახმარებისთვის. მარი სახელმწიფოსგან იღებს შშმ ბავშვის შემწეობას, თვეში 275 ლარს (დაახლოებით 100 აშშ დოლარს). ეს თანხა გამოიყენება მარიზე ზრუნვის ხარჯების ნაწილის დასაფარად.

ქვემოთ ჩამოთვლილია მარისთვის ყოველდღიურად და ყოველთვიურად საჭირო საგნები და მომსახურებები.

დამხმარე ტექნოლოგიები

მარის სჭირდება მთელი რიგი დამხმარე ტექნოლოგიები. ის გადაადგილებისთვის ხმარობს თეთრ ხელჯოხს, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგრამ იმისთვის, რომ მარის უფრო მაღალი ხარისხის თეთრი ხელჯოხი ჰქონოდა, ოჯახმა ის საკუთარი სახსრებით შეიძინა.

საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობისთვის მარის სჭირდება: კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით, ინტერნეტი, ბრაილერი, ბრაილის ნოუთ-თეიქერი (Notetaker); ბრაილის ფურცლები, ბრაილის კალამი და ტაქტილური სანტიმეტრი. აღნიშნულ საშუალებებს უზრუნველყოფს მარის სკოლა სახელმწიფოს ხარჯზე. თუმცა, დამოუკიდებლად სწავლისა და განათლებისთვის მარის იგივე საშუალებები სახლშიც სჭირდება, რაც მას ვერ ექნებოდა, მის მშობლებს რომ არ შეეძინათ საკუთარი სახსრებით. დასვენებისა და გართობისთვის მარის შესაბამისი რესურსები სჭირდება, რაშიც შედის სამაგიდე თამაშები ბრაილის წარწერებით და ტაქტილური ნიშნებით.

მარის უსაფრთხოებისთვის ოჯახმა მათ საცხოვრებელში დააყენა სხვადასხვა ტიპის ვიბრაციული სიგნალიზაცია შემოსასვლელ კარზე ბარის, გაზის და კვამლის მინიშნებისთვის. მარის დამოუკიდებლობის ხელშესაწყობად მას ასევე სჭირდება სითხის საზომის ინდიკატორი და წინდების დამანყვილებელი.

ყველა ეს ჩამოთვლილი დამხმარე ტექნოლოგია ოჯახის სახსრებით არის შეძენილი და სახელმწიფო მათი ხარჯების დაფარვაში არ მონაწილეობს.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

მარის სჭირდება რეგულარული დახმარება ყრუ-უსინათლოებთან კომუნიკაციის მცოდნე პერსონალური ასისტენტისგან. საჭირო დახმარებას სკოლამდე და სკოლის შემდეგ უწევს მისი კომუნიკაციის სპეციალისტი, რომლის მომსახურებაც დღეში რვა საათს გრძელდება. სკოლის შემდეგ მარი კვირაში რამდენიმეჯერ მიდის დღის ცენტრში სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისთვის, მათ შორისაა ხელოვნება და ხელსაქმე. ასისტენტი მას დღის ცენტრშიც ეხმარება.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

მარი რეგულარულად დადის ცურვაზე, სადაც მას ეხმარებიან პერსონალური ასისტენტი და მწვრთნელი. ამ მომსახურებების საფასურის გადახდა ოჯახს უწევს.

წელიწადში რამდენიმეჯერ მარი დადის აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე, სადაც მას უტარდება ფიზიკური და ოკუპაციური თერაპია და ფსიქოლოგის კონსულტაცია. სარეაბილიტაციო მომსახურების თანხებს სრულად ფარავს სახელმწიფო.

მარის ოჯახი დადის სახელმწიფოს პროგრამით უზრუნველყოფილ დასასვენებელ კურორტზე. ტრანსპორტირების ხარჯები ოჯახის დასაფარია.

მობილობა/მისაწვდომობა

ზოგჯერ, პერსონალურ დამხმარე პირთან ერთად სადმე წასვლის დროს, მარი საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებს. მაგრამ, უფრო ხშირად მას სჭირდება ტაქსი და

ამის ღირებულებას ოჯახი იხდის.

ცხრილი N9.8 წარმოგვიდგენს მარისთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.8 – მარის ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი, პროცენტი და ლარი | | |
|--|---------------|--|--------|-------------------------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|---|----------|----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | სიგნალიზაცია ნათებით / ვიბრაციით (ზარის, გაზის, კვამლის, CO დეტექტორები) | | | | | | 550 | 3 | 0% | 0 | |
| | | თეთრი ხელჯოხი | | 200 | | | | | 17 | 15% | 3 | |
| | | კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით (პროგრამა უფასოა) | | | | 2,600 | | | | 72 | 0% | 0 |
| | | ბრაილერი | | | | | 6,000 | | | 125 | 0% | 0 |
| | | ბრაილის ნოუტ-თეიქერი (Notetaker) | | | | | | 9,000 | | 42 | 0% | 0 |
| | | ბრაილის ფურცლები | 50 | | | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | ბრაილის დაფის კალამი | | | | | | | 100 | 0 | 0% | 0 |
| | | ინტერნეტი | 50 | | | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | ტაქტილური სახატავი კომპლექტი/სანტიმეტრი | | | 60 | | | | | 5 | 0% | 0 |
| | | სამაგიდე თამაშები ბრაილის წარწერებითა და ტაქტილური ნიშნულებით | | | 400 | | | | | 33 | 0% | 0 |
| | | სითხის დონის ინდიკატორი | | | | | 90 | | | 3 | 0% | 0 |
| | | წინდის დამაწვინებელი | | | | 15 | | | | 1 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 400 | | 3 |
| | | | S | თეთრი ხელჯოხის შეკეთება | | 55 | | | | | 5 | 0% |
| კომპიუტერის შეკეთება | | | | 300 | | | | | 25 | 0% | 0 | |
| ბრაილერის შეკეთება | | | | 275 | | | | | 23 | 0% | 0 | |
| ბრაილის ნოუტ-თეიქერის (Notetaker) შეკეთება | | | | 550 | | | | | 46 | 0% | 0 | |
| სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | | 98 | | 0 | |
| სულ კატეგორია | | | | | | | | | 498 | | 3 | |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | გამყოლი / პერსონალური დამხმარე | 1,440 | | | | | | 1,440 | 0% | 0 | |
| | | დღის ცენტრი | 630 | | | | | | 630 | 100% | 630 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 2070 | | 630 | | |

| | | | | | | | | | | |
|----------------------------|---|--|-----|-------|--|--|-------------------|-----|-----------------|-----|
| სარეაბილიტაციო მომსახურება | S | ფიზიკური თერაპია | | 680 | | | | 57 | 100% | 57 |
| | | ოკუპაციური თერაპია | | 1,700 | | | | 142 | 100% | 142 |
| | | მეტყველებისა და ენის თერაპია | | 680 | | | | 57 | 100% | 57 |
| | | ფსიქოლოგის მომსახურება | | 340 | | | | 28 | 100% | 28 |
| | | ცურვა | 570 | | | | | 570 | 0% | 0 |
| | | სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურება | | 2,000 | | | | 167 | 40% | 67 |
| | | ტრანსპორტირება (მგზავრობა სამედიცინო კურორტამდე და უკან) | | 1,000 | | | | 83 | 0% | 0 |
| სულ კატეგორია | | | | | | | 1,103 | | 350 | |
| მობილობა/ მისანვდომობა | | ტრანსპორტირება (ტაქსი) | 500 | | | | 500 | 0% | 0 | |
| სულ კატეგორია | | | | | | | 500 | | 0 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | 4,172 ლარი | | 983 ლარი | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.9. ფიზიკური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროება

ლიზას შემთხვევა, 6 წლის გოგო

ლიზა არის 6 წლის გოგო, რომელსაც, მშობიარობისდროინდელი ტრავმის გამო აქვს მარჯვენამხრივი ჰემიპარეზი და ეტილფესიური პაროქსიზმები. ლიზას საშუალო სიმძიმის ფიზიკური დარღვევები აქვს, რაც მას ხელს უშლის გადაადგილებასა და ასაკისთვის შესაფერის ზოგიერთი აქტივობის შესრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ლიზა მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვად ითვლება, მას მინიჭებული აქვს შშმ ბავშვის სტატუსი და ეძლევა შემწეობა თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება მასზე ზრუნვისთვის საჭირო ზოგიერთი საგნებისა და მომსახურების ღირებულების დასაფარად. ლიზას სხვა საჭიროებებს ფარავს მისი ოჯახი, ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება.

იმისათვის, რომ ლიზამ თანატოლების მსგავსად მიიღოს მონაწილეობა სასწავლო და ყოველდღიურ აქტივობებში, მას სჭირდება გარკვეული დამხმარე მოწყობილობებით მხარდაჭერა (ძირითადად მობილობისა და თავის მოვლისთვის), სარეაბილიტაციო მომსახურებები და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი.

დამხმარე ტექნოლოგიები

ლიზა გადაადგილდება სპეციალური სასიარულო ჩარჩოს გამოყენებით. მას ასევე სჭირდება ორტეზები (სპლინტები) და ორთოპედული ფეხსაცმელი. ძილისთვის ლიზას სჭირდება ორთოპედული მატრასი.

ლიზა იყენებს ტუალეტის ადაპტირებულ საჯდომს და სააბაზანო ოთახში მისი ოჯახის მიერ დამონტაჟებულ მოაჯირებს. საკვების დამოუკიდებლად მიღების წასახალისებლად ლიზას სჭირდება ადაპტირებული დანა-ჩანგალი და ადაპტირებული ჭიქა. დამხმარე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ყველა ხარჯებს, ორტეზების (სპლინტების) ღირებულების გარდა, სრულად ფარავს ლიზას ოჯახი.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

ლიზა ჩართულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურებებში, რის ღირებულებასაც მთლიანად იხდის სახელმწიფო. ასევე, წელიწადში ერთხელ, ის ორი კვირით მიდის კურორტზე, რის ხარჯებსაც ასევე სრულად ფარავს სახელმწიფო. ოჯახი იხდის მხოლოდ კურორტზე ჩასასვლელ და დასაბრუნებელ თანხას. ჯანდაცვა

ეპილეფსიური პაროქსიზმების გამო ლიზა რეგულარულად იღებს მედიკამენტებს, რომელთა ღირებულების 80 პროცენტს იხდის სახელმწიფო და 20 პროცენტს - ოჯახი.

მობილობა/მისაწვდომობა

ვინაიდან ლიზასთვის ხშირად რთულია საზოგადოებრივ ტრანსპორტში მისი გადასაადგილებელი ჩარჩოთი მგზავრობა, ოჯახი პერიოდულად იყენებს ტაქსის მომსახურებას, რის ღირებულებასაც მთლიანად ოჯახი ფარავს.

ცხრილი N9.9 წარმოგვიდგენს ლიზასთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.9 – ლიზას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი, პროცენტი და ლარი |
|------------------------------|-----------------|--|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|---|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | გადასაადგილებელი ჩარჩო | | | | 600 | | | 17 | 0% 0 |
| | | ორტეზები | | 182 | | | | | 15 | 100% 15 |
| | | ორთოპედული ფეხსაცმელი | | 400 | | | | | 33 | 0% 0 |
| | | ორთოპედული მატრასი | | | | | | 700 | 3 | 0% 0 |
| | | ტუალეტის ადაპტირებული საჯდომი | | | | 200 | | | 6 | 0% 0 |
| | | სააბაზანო ოთახის მოაჯირები | | | | | | 833 | 4 | 0% 0 |
| | | ადაპტირებული დანა-ჩანგალი (კოვზი, და ა.შ.) | | 150 | | | | | 13 | 0% 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 90 | 15 | |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | ფიზიკური თერაპია | 170 | | | | | | 170 | 100% 170 |
| | | ოკუპაციური თერაპია / სენსორული თერაპია | 68 | | | | | | 68 | 100% 68 |
| | | ენისა და მეტყველების თერაპია | 68 | | | | | | 68 | 100% 68 |
| | | ფსიქოლოგის მომსახურება | 34 | | | | | | 34 | 100% 34 |
| | | სამედიცინო კურორტზე დასვენების მომსახურება (ტრანსპორტირების ჩათვლით) | | 800 | | | | | 67 | 100% 67 |
| | | | 650 | | | | | 54 | 0% 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 461 | 407 | |

| | | | | | | | | | | |
|-------------------------|---|----------------------|-----|--|--|--|--|-----------------|----------|-----------------|
| ჯანმრთელობა | G | მედიკამენტები | 75 | | | | | 75 | 80% | 3 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 75 | | 3 |
| მობილობა / მისაწვდომობა | S | ტრანსპორტირება | 100 | | | | | 100 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 100 | | 0 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | 726 ლარი | 0 | 425 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.10. ინტელექტუალური სფეროს დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით

მიხოს შემთხვევა, 14 წლის ბიჭი

მიხო არის 14 წლის ბიჭი. ბავშვობაში გადატანილი ინფექციური მენინგიტის გამო მიხოს ინტელექტუალური სფეროს დაქვეითება აქვს, რის საფუძველზეც მას მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი. ის ითვლება მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე ბავშვად, ვინაიდან მას სჭირდება უფროსების მხრიდან მცირე დახმარება სასკოლო და მისი ასაკისთვის შესაფერის აქტივობებში მონაწილეობისთვის. ის ასევე აქტიურად იყენებს დამხმარე საშუალებებს, რაც უადვილებს მას გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირებას. მიხო ქალაქში ცხოვრობს და ჩართულია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მომსახურებებში.

ქვემოთ ჩამოთვლილია მხარდაჭერის სხვადასხვა სახე, რაც მიხოს სჭირდება ყოველდღიურ ცხოვრებაში თანატოლების მსგავსად მონაწილეობისთვის.

დამხმარე ტექნოლოგიები

დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის მიხოს სჭირდება სმარტფონი, იმისათვის, რომ შეძლოს მშობლებთან კომუნიკაცია, როდესაც მარტო არის სახლიდან გასული. ოჯახი იხდის ინტერნეტის და ტელეფონის, ასევე - საჭიროების შემთხვევაში მისი შეკეთების თანხებს. ოჯახი ასევე ზრუნავს, რომ მიხო ყოველთვის იყოს ჩართული რამე სახის პროდუქტიულ საქმიანობაში. ისინი რეგულარულად აახლებენ მიხოს სათამაშოებსა და საგანმანათლებლო მასალებს.

პერსონალური ასისტენტის და ზრუნვის მომსახურება

სკოლის შემდეგ, ყოველ დღე, მიხო მიდის დღის ცენტრში, სადაც ის ჩართულია სხვადასხვა განსავითარებელ აქტივობაში. ვინაიდან მშობლებს ურჩევნიათ, არ დატოვონ მიხო სახლში მარტო, დღის ცენტრში მისი ყოფნის გზით მის მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, ჰქონდეთ სამსახური.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

წელიწადში რამდენიმეჯერ მიხო ესწრება აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებს, რაც ხელს უწყობს მისი მოტორიკის გაუმჯობესებას. მიხო იღებს ოკუპაციური თერაპისტისა და ფსიქოლოგის კონსულტაციას. ზემოთხსენებული მომსახურებები სრულიად არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ.

ყოველწლიურად, ოჯახი ასევე ორი კვირით მიდის კურორტზე. იქ ყოფნის ხარჯების 40 პროცენტს ფარავს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენს - ოჯახი.

ჯანმრთელობა

სხვადასხვა სომატური დაავადების გამო მიხოს სჭირდება მედიკამენტები, რომლის ღირებულების 80 პროცენტსაც საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ფარავს სახელმწიფო. მიხოს ასევე სჭირდება სამედიცინო მეთვალყურეობს - ის ყოველ წლიურად იტარებს გარკვეულ გამოკვლევებს და იღებს ექიმის კონსულტაციას. ამ მომსახურებასის ღირებულებაა სახელმწიფო იხდის.

ცხრილი N9.10 წარმოგვიდგენს მიხოსთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.10 – მიხოს ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი, პროცენტი და ლარი |
|---------------------------------|-----------------|--|--------|--------------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|---|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | „ჭკვიანი“ ტელეფონი | | | | 1,300 | | | 36 | 0% 0 |
| | | ტელეფონის და ინტერნეტის ღირებულება | 50 | | | | | | 50 | 0% 0 |
| | | განსავითარებელი მასალები | | 1,250 | | | | | 104 | 0% 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 190 | 0 |
| | S | „ჭკვიანი“ ტელეფონის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 17 | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 207 | 0 0 | |
| პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა | S | დღის ცენტრი | 370 | | | | | | 370 | 100% 370 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 370 | 370 |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | ფიზიკური თერაპია | | 1,480 | | | | | 123 | 46% 57 |
| | | ოკუპაციური თერაპია | | 432 | | | | | 36 | 63% 23 |
| | | მეტყველებისა და ენის თერაპია | | 752 | | | | | 63 | 36% 23 |
| | | ფსიქოლოგის მომსახურება | | 336 | | | | | 28 | 40% 11 |
| | | კურორტზე დასვენების მომსახურება (ტრანსპორტირების ჩათვლით) | | 2,000 | | | | | 167 | 40% 67 |
| | | სულ კატეგორია | | 650 | | | | 54 | 0% 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 471 | 2 180 | |
| ჯანმრთელობა | G | მედიკამენტები | | 3,000 | | | | | 250 | 80% 200 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 250 | 200 |
| | S | სპეციალური სამედიცინო ზედამხედველობა (გაიდლაინებისა და პროტოკოლის შესაბამისად) | | 1,750 | | | | | 146 | 80% 6 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 146 | 6 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | 396 | 206 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 1,444 ლარი | 756 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.11. ქვევის დარღვევის მეორე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით

ლაშას შემთხვევა, 8 წლის

ლაშა 8 წლის ბიჭია. მას აუტისტური სპექტრის დიაგნოზი აქვს. მდგომარეობის შეფასების საფუძველზე ლაშას მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შშმ ბავშვის შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ლაშა ითვლება მხარდაჭერის მცირე საჭიროების მეორე ბავშვად. ის ცდილობს, თანატოლების მსგავსად მიიღოს მონაწილეობა ასაკის შესაბამის აქტივობებში, მაგრამ მას თანატოლებთან შეარებით მეტი მეთვალყურეობა და მხარდაჭერა სჭირდება უფროსი პირის მხრიდან. განვითარების სტიმულირებისთვის, სკოლის შემდეგ ლაშა სხვადასხვა სახის თერაპიაზე დადის; მას ასევე სჭირდება სხვადასხვა დამხმარე ტექნოლოგია.

ოჯახი ცდილობს, ლაშა მაქსიმალურად ჰყავდეს ჩართული სახელმწიფოში არსებულ მომსახურებებში. ამ მომსახურებების საფასურს იხდის ოჯახი, მიენიშნება სახელმწიფოს მიერ, ან იფარება შშმ პირის შემწეობიდან.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის მხარდაჭერა, რაც ლაშას რეგულარულად სჭირდება.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

ქცევითი პრობლემების გამო ლაშას უფროსი პირის მხრიდან მეტი მეთვალყურეობა სჭირდება, ვიდრე მის თანატოლებს. ლაშა მშობლებს მისთვის მომვლელის დაქირავება მოუწიათ, ვინაიდან ისინი მუშაობენ და არ შეუძლიათ ბებია-ბაბუასთან ლაშას ხანგრძლივად მართვად დატოვება.

კვირაში სამჯერ ლაშასთან მოდის სპეციალური მასწავლებელი და ეხმარება მას აკადემიური უნარების განვითარებაში იმისთვის, რომ ლაშას წინსვლა ჰქონდეს მისთვის განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის მიხედვით. ოჯახი სრულად ფარავს მომვლელისა და სპეციალური მასწავლებლის ხარჯებს.

დამხმარე ტექნოლოგიები

განვითარების სტიმულაციისა და ქცევის მართვისთვის ლაშას სხვადასხვა სახის დამხმარე საშუალება სჭირდება. ის იყენებს ყურსასმენებს ფონური ხმაურის ჩასაბმობად. კომუნიკაციისა და სასწავლო საქმიანობებისთვის ლაშას სჭირდება პლანშეტური კომპიუტერი ინტერნეტით (ლაშა სასწავლო აქტივობებში მხოლოდ პლანშეტური კომპიუტერის საშუალებით არის ჩართული).

ლაშა ასევე ინტენსიურად იყენებს სენსორული სტიმულაციისთვის სხვადასხვა ნივთს, როგორცაა, მაგალითად ვილბერგერის (Wilbarger) ჭაგრისი, სენსორულ-მოტორული მილი და საქანელა. ლაშას ინტერესების გასაფართოებლად ოჯახი ყოველთვის აახლებს მის სათამაშოებსა და ყიდულობს განსავითარებელ მასალებს.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

განვითარების სტიმულირებისა და ქცევის მართვისთვის ლაშა ჩართულია აუტიზმის

პროგრამაში, სადაც იღებს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის (ABA), სენსორული ინტეგრაციის, მეტყველებისა და ენის თერაპიის კურსებს. ამ მომსახურებების ღირებულების 30 პროცენტს ფარავს სახელმწიფო, ხოლო დანარჩენ თანხას - ოჯახი. მისი ოჯახი თვლის, რომ ლაშას იმაზე მეტი სესია სჭირდება, ვიდრე სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ჯანმრთელობა

წელიწადში ერთხელ ლაშას სჭირდება სპეციალისტების კონსულტაცია, მათ შორის - ფსიქიატრის და ნევროლოგის. ამ კონსულტაციების ღირებულებას ოჯახი ფარავს.

მობილობა/მისაწვდომობა

ლაშას ხშირად სჭირდება ტაქსით გადაადგილება, რის საფასურსაც ოჯახი იხდის. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გარეშე მისი ქცევის გართულებას იწვევს.

ცხრილი N9.11 წარმოგვიდგენს ლაშასთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.11 – ლაშას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი, პროცენტი | |
|------------------------------|--------------------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|---------------------------------------|------------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | პლანშეტური კომპიუტერი | | | | 1,300 | | | 36 | 0% | 0 |
| | | ყურსასმენები | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 |
| | | განსავითარებელი სათამაშოები და მასალები | | 600 | | | | | 50 | 0% | 0 |
| | | საგნები სენსორული სტიმულაციისთვის | | 175 | | | | | 15 | 0% | 0 |
| | | საქანელა | | | | | 200 | | 4 | 0% | 0 |
| | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 122 | | 0 |
| | S | პლანშეტური კომპიუტერის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 17 | | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 138 | | 0 |
| პერსონალური ასისტენტი | S | მომვლელი | 800 | | | | | | 800 | 0% | 0 |
| | | კერძო სპეციალური მასწავლებელი | 350 | | | | | | 350 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 1,150 | | 0 |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | აუტიზმის პროგრამა | 700 | | | | | | 700 | 27% | 187 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 700 | | 187 |
| ჯანმრთელობა | | ფსიქიატრის / ნევროლოგის კონსულტაცია | | 125 | | | | | 10 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 10 | 0 | 0 |
| მობილობა/ მისაწვდომობა | | ტრანსპორტირების ხარჯები (სანავის ხარჯი) | 400 | | | | | | 400 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 400 | 0 | 0 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 2,399 | | 187 |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.12. კომპლექსური დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროების მქონე

ლიას შემთხვევა, 5 წლის გოგო

ლია არის 5 წლის გოგო და მას აქვს მრავლობითი და კომპლექსური დარღვევები, რაც გამოიხატება ინტელექტუალური სფეროს და მოტორიკის დარღვევებში. იმისათვის, რომ შეძლოს ყოველდღიურ ფუნქციურ აქტივობებში მონაწილეობა თანატოლების მსგავსად, ლიას სჭირდება დამხმარე ტექნოლოგიები, პერსონალური ასისტენტის მომსახურება, სარეაბილიტაციო მომსახურებები და საცხოვრებლის ადაპტირება.

ფუნქციური შეფასების შემდეგ ლიას მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შშმ ბავშვის თვიური შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება ლიას და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

ლიას ოჯახის ცდილობს, რომ მან მაქსიმალურად მიიღოს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ყველა სახის მხარდაჭერა. ლია სოფლად ცხოვრობს. ამიტომ მის ოჯახს დამატებითი ხარჯების განწევა უხდება საჭირო მომსახურებებამდე მისაღწევად. ამას გარდა, ლიას მშობლები ყოველთვიურად ხარჯავენ გარკვეულ თანხას იმ საგნებსა და მომსახურებებზე, რასაც არ აწვდის სახელმწიფო.

ქვემოთ მოცემულია საგნები და მომსახურებები, რაც ლიას ყოველდღიურ ცხოვრებაში ფუნქციონირებისთვის სჭირდება. ეს საგნები და მომსახურებები იდენტიფიცირებული იყო ფუნქციონირების სფეროების ანალიზის საფუძველზე.

დამხმარე ტექნოლოგიები

ლიას სჭირდება მთელი რიგი დამხმარე ტექნოლოგიები, რასაც ის ყოველ დღე იყენებს როგორც თავის მოვლისთვის (როგორცაა საკვების მიღება და ბანაობა), ასევე ფუნქციური მობილობისა და გართობისთვის.

თავის მოვლისთვის მას სჭირდება: აბაზანის და შხაპის სკამი, ტუალეტის ადაპტირებული საჯდომი, ადაპტირებული დანა-ჩანგალი, რაშიც შედის კოვზი და სხვ.; და ადაპტირებული ქიქა. ამ ნივთების საფასურს მთლიანად ოჯახი იხდის.

ფუნქციური მობილობისთვის ლიას სჭირდება დამხმარე მონოციკლები პოზის კონტროლის ფუნქციით. მათში შედის ეტლი და დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით, ადაპტირებული მაგიდა და ადაპტირებული სკამი. ფეხის დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად და უკეთესი საყრდენისთვის ლია ხმარობს ორთეზებს (სპლინტებს) და ორთოპედულ ფეხსაცმელს. აქ ჩამოთვლილი დამხმარე საშუალებებიდან, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ეტლისა და ორთეზების ღირებულება. სხვა დამხმარე საშუალებების ხარჯებს მთლიანად მისი ოჯახი იხდის. ოჯახს ასევე უწევს ეტლის შეკეთებისთვის საჭირო თანხის გადახდა.

ლიას განვითარების სტიმულაციისთვის მისი მშობლები რეგულარულად ყიდულობენ განსავითარებელ სათამაშოებს.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

ლია ჩართულია ფუნქციური განვითარების მხარდამჭერ სხვადასხვა მომსახურებაში. მათ შორისაა ადრეული ინტერვენციის პროგრამა, რომელსაც სრულიად აფინანსებს სახელმწიფო; აბილიტაციის რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მას უტარდება ფიზიკური, ოკუპაციური მეტყველებისა და ენის თერაპიის კურსები და ფსიქოლოგის კონსულტაცია. სარეაბილიტაციო მომსახურებების ღირებულების თითქმის 50 პროცენტს აფინანსებს მისი ოჯახი, ვინაიდან ოჯახი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სესიების მიღმა, მას დამატებით სესიებს უტარებს.

ჯანმრთელობა

ლიას ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხზე ოჯახი წელიწადში რამდენიმეჯერ გადის ექიმთან კონსულტაციას. ღირებულების 80 პროცენტს ფარავს სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან.

ასევე, ლიას სჭრიდება ლიმიტირებული სამედიცინო ჩარევა - ბოტულინის ინექცია— რომლის 80 პროცენტსაც სახელმწიფო ანაზღაურებს.

მობილობა/მისაწვდომობა

სახლის ფარგლებში ეტლით მანევრირებისთვის ოჯახს დასჭირდა საცხოვრებლის მცირე გადაკეთებისთვის თანხის გადახდა, რაც 1500 ლარი დაჯდა. ეს ერთჯერადი ხარჯია.

ამას გარდა, რეაბილიტაციის სესიებზე დასასწრებად ლიას ტრანსპორტირებისთვის ოჯახს სჭირდება ეტლისთვის ადაპტირებული ტაქსის რეგულარული გამოყენება. ასეთი ტაქსის მომსახურება ოჯახს თვეში საშუალოდ 300 ლარი უჯდება.

ცხრილი N9.12 წარმოგვიდგენს ლიასთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.12 – ლიას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი | | |
|------------------------------|----------------------------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|-----------------------------|-----------------|-----------|
| | | | | | | | | | | პროცენტი | ლარი | |
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | ეტლი | | | | | | | 47 | 100% | 47 | |
| | | დასადგომი საშუალება პოზის კონტროლით | | | | | | | 50 | 0% | 0 | |
| | | ორტებები (სპლინტი) | | 182 | | | | | 15 | 58% | 9 | |
| | | ორთოპედული ფეხსაცმელი | | 400 | | | | | 33 | 0% | 0 | |
| | | აბაზანის / შხაპის სკამი | | | | | 500 | | 14 | 0% | 0 | |
| | | ტუალეტის ადაპტირებული საჯდომი | | | | | 200 | | 6 | 0% | 0 | |
| | | ადაპტირებული დანა-ჩანგალი (კოვზი, და სხვ.) | | | 150 | | | | 6 | 0% | 0 | |
| | | ადაპტირებული ჭიქა / ბოთლი | | 80 | | | | | 7 | 0% | 0 | |
| | | განსავითარებელი სათამაშოები | | 500 | | | | | 42 | 0% | 0 | |
| | | ადაპტირებული მაგიდა და სკამი | | | | | | | 300 | 1 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 221 | | 56 |
| S | პოზის კონტროლიანი ეტლის შეკეთება | | 150 | | | | | 13 | 0% | 0 | | |
| | | | | | | | | 13 | | 0 | | |
| | | | | | | | | 234 | | 56 | | |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | | ფიზიკური თერაპია | 370 | | | | | | 370 | 46% | 170 | |
| | | ოკუპაციური თერაპია / სენსორული თერაპია | 108 | | | | | | 108 | 63% | 68 | |
| | | მეტყველების და ენის თერაპია | 188 | | | | | | 188 | 36% | 68 | |
| | | ფსიქოლოგის მომსახურება | 84 | | | | | | 84 | 40% | 34 | |
| | | ადრეული ინტერვენციის მომსახურება | 220 | | | | | | 220 | 100% | 220 | |
| | | | | | | | | 970 | | 560 | | |
| ჯანმრთელობა | S | ამბულატორიული მომსახურებები | | 200 | | | | | 17 | 80% | 13 | |
| | | მცირე სამედიცინო ჩარევა (მაგ. ბოტულინუმ ტოქსინის ინექცია) | | 850 | | | | | 71 | 80% | 57 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 88 | | 70 | |
| მოძილობა/ მისანვდომობა | S | Transportation costs | 300 | | | | | | 300 | 0% | 0 | |
| | | Expenses related to housing change | | | | | | 1,500 | 7 | 0% | 0 | |
| | | Total Category | | | | | | | 307 | 0.0 | 0.0 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 1,598 ლარი | | 686 ლარი | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.13. ბავშვი ფსიქო-სოცირი საჭიროებებით, მხარდაჭერის მცირე საჭიროება

ლალის შემთხვევა, 16 წლის გოგო

ლალი არის 16 წლის გოგო მცირედ გამოხატული ფსიქო-სოცირი (ფსიქოზური მდგომარეობა) საჭიროებებით. ლალი ამჟამად ამთავრებს საბაზისო სკოლას.

მას სჭირდება სტრუქტურირებული ყოველდღიური რუტინა, გარკვეული მედიკამენტები, სარეაბილიტაციო მომსახურება და პროფესიონალების (როგორცაა ფსიქოლოგები და ფსიქიატრები) რეგულარული კონსულტაცია. მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე, ლალის მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და დაენიშნა შშმ ბავშვის შემწეობა - თვეში 275 ლარი (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება ლალის და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულია დეტალები ლალისთვის საჭირო ყველა მხარდაჭერისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ. ხარჯების ანალიზი ჩატარდა ფუნქციური სფეროების მიხედვით.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

ოჯახის წევრები ცდილობენ, ლალი სახლში მარტო არ დატოვონ. მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახი და სპეციალისტები ვერ ხედავენ პერსონალური ასისტენტის აუცილებლობას, ლალის დედამ სამსახურს თავი დაანება, რამაც გამოიწვია ოჯახის შემოსავლის გარკვეული შემცირება.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

მენტალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მისი ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ლალი ფსიქოთერაპიისა და ხელოვნების თერაპიის კურსებზე დადის. ამ მომსახურებების საფასურს სახელმწიფო იხდის.

ასევე, ლალის სჭირდება კერძო პედაგოგის მომსახურება აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, ვინაიდან მას უჭირს პროგრამასთან გამკლავება, რაც, შესაძლოა, მედიკამენტების გვერდითი მოვლენა იყოს. ოჯახს უნევს კერძო პედაგოგის თვიური თანხის დაფარვა.

ჯანმრთელობა

ლალი ყოველდღიურად იღებს ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს, რის საფასურსაც სახელმწიფო იხდის.

ცხრილი N9.13 წარმოგვიდგენს ლალისთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.13 – ლალის ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი | პროცენტი და ლარი |
|------------------------------|-----------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|-----------------------------|------------------|
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | კოგნიტიური ქცევითი თერაპია / ხელოვნების თერაპია | | 2400 | | | | | 200 | 100% | 200 |
| | | პედაგოგი | 420 | | | | | | 420 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 620 | | 200 |
| ჯანდაცვა | G | მედიკამენტები | 15 | | | | | | 15 | 100% | 15 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 15 | | 15 |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 635 ლარი | | 215 ლარი |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.14. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით

დალის შემთხვევა, 10 წლის გოგო

დალი არის 10 წლის გოგო და მას მხედველობის დარღვევა აქვს. ის მეოთხე კლასის მოსწავლეა.

დალი სოფელში ცხოვრობს. მისი ოჯახი ცდილობს, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად აღმოუჩინოს მას მხარდაჭერა, რომ გაუადვილოს ყოველდღიურ აქტივობებში მონაწილეობა თანატოლების მსგავსად. ისინი კარგად არიან ინფორმირებული ყველა შესაძლო მხარდაჭერის შესახებ.

ბავშვობაში მნიშვნელოვანი სამედიცინო ჩარევის შედეგად დალის აქვს ნარჩენი მხედველობა და დამატებით იყენებს დამხმარე ტექნოლოგიებს. ამას გარდა, დალის სჭირდება მხედველობის რეგულარული შემოწმება და სამედიცინო პროცედურები.

დალის შშმ ბავშვის სტატუსი აქვს და, შესაბამისად, იღებს შშმ ბავშვის შემწეობას - თვეში 275 ლარს (დაახლოებით 100 აშშ დოლარი). ეს თანხა გამოიყენება მისი თვიური ხარჯების ნაწილის დასაფარად. დამატებითი მხარდაჭერის მისაღებად დალის მშობლები ასევე მიმართავენ სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს (ერთჯერადი) თანხით დასახმარებლად.

ქვემოთ მოცემულია დეტალები დალისთვის საჭირო ყველა მხარდაჭერისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ.

დამხმარე ტექნოლოგიები

დალი გამადიდებელ სათვალეს ხმარობს. სათვალის ღირებულება სრულად დაფარა საქველმოქმედო ორგანიზაციამ, რომელმაც დალის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. ამ სათვალეს რამდენიმე წელიწადში ერთხელ სჭირდება გამოცვლა.

საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობისთვის დალის სჭირდება: კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით, ელექტრონული გამადიდებელი, ოპტიკური გამადიდებელი, დიქტაფონი, ყურსასმენები, მაგიდის LED სანათი. ამ დამხმარე ტექნოლოგიების შეძენა და განახლება ორიდან ოთხ წელიწადში ერთელ არის საჭირო. ასევე აუცილებელია ამ ნივთების შეკეთება. აღნიშნულ დამხმარე მოწყობილობებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს იხდის ოჯახი.

ჯანმრთელობა

როგორც აღინიშნა, დალის სჭირდება რეგულარული გამოკვლევა მხედველობის შესამოწმებლად და სამედიცინო პროცედურების გამეორება. მიმდინარე წელს მას სჭირდება ოპერაცია და შესაბამისი სამედიცინო პროცედურები. ოპერაციისა და პროცედურების ხარჯის 80 პროცენტი იფარება სახელმწიფოს მიერ საყოველთაო დაზღვევის პროგრამიდან, ხოლო დანარჩენი თანხა ოჯახმა უნდა გადაიხადოს.

ცხრილი N9.14 წარმოგვიდგენს დალისთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.14 – დალის ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი | პროცენტი და ლარი | |
|------------------------|-----------------|--|----------------------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|-----------------------------|------------------|----------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | სათვალე | | 900 | | | | | 75 | 0% | 0 | |
| | | კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით | | | | 2,600 | | | 72 | 0% | 0 | |
| | | ელექტრონული გამადიდებელი | | | | | 6,600 | | 138 | 0% | 0 | |
| | | ოპტიკური გამადიდებელი | | | | 175 | | | 5 | 0% | 0 | |
| | | დიქტაფონი | | | 150 | | | | 6 | 0% | 0 | |
| | | ყურსასმენები | | 60 | | | | | 5 | 0% | 0 | |
| | | მაგიდის LED სანათი | | | | | | 265 | 6 | 0% | 0 | |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 307 | | 0 |
| | S | ტელეფონის შეკეთება | | | 85 | | | | | 7 | 0% | 0 |
| | | ელექტრონული გამადიდებლის შეკეთება | | | 275 | | | | | 23 | 0% | 0 |
| | | კომპიუტერის შეკეთება | | | 300 | | | | | 25 | 0% | 0 |
| | | დიქტაფონის შეკეთება | | | 55 | | | | | 5 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 60 | | 0 |
| | | | სულ კატეგორია | | | | | | | 367 | | 0 |
| ჯანდაცვა | S | თვალის ოპერაცია | | | | | 11,000 | | 229 | 80% | 183 | |
| | | ოფთალმოლოგი / ოფთომეტრისტი | | 240 | | | | | 20 | 80% | 16 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 249 | | 199 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 616 ლარი | | 199 GEL | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.15. სმენის დარღვევის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროებით

მაიას შემთხვევა, წლინახევრის გოგო

მაია არის წლინახევრის გოგო სმენის მესამე ხარისხის დარღვევით.

მისი მდგომარეობის გამო მაიას სჭირდება მხარდაჭერა ფუნქციონირების თანატოლების მსგავსი დონის მისაღწევად. მაიას საჭიროებები უკავშირდება შემდეგს: სამედიცინო ჩარევის საჭიროება, დამხმარე ტექნოლოგიების ყოველდღიური და ინტენსიური გამოყენება, მისთვის საჭირო ნივთების შეკეთება და მოვლა, სარეაბილიტაციო მომსახურებების მიღება.

მაიას მშობლები ცდილობენ, ის ჩართული იყოს ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი დაძმის და თანატოლების მსგავსად. მშობლები კარგად არიან ინფორმირებული შესაძლო მხარდაჭერ მომსახურებებზე, რასაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები უზრუნველყოფენ. მაიას ოჯახი საშუალო შემოსავლიან შინამეურნეობად ითვლება და მათ აქვთ მაიასთვის საჭირო დამატებითი ხარჯების დაფარვის საშუალება.

მაიას შშმ ბავშვის სტატუსი აქვს და, შესაბამისად, იღებს შშმ ბავშვის შემწეობას - თვეში 275 ლარს (დაახლოებით 100 აშშ დოლარს). ეს თანხა გამოიყენება მაიას და მისი ოჯახის გარკვეული ხარჯების დასაფარად.

ქვემოთ მოცემულია დეტალები მაიასთვის საჭირო ყველა მხარდაჭერისა და შესაბამისი ხარჯების შესახებ, რასაც სახელმწიფო ან მისი ოჯახი ფარავს.

დამხმარე ტექნოლოგიები

იმისთვის, რომ მაიას არ ჰქონდეს კომუნიკაციის სირთულეები, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუშლიდა მის განვითარებასა და ფუნქციონირების სხვა მხარეებს, მაიას სჭირდება დამხმარე ტექნოლოგიები, როგორცაა: კოხლეარული იმპლანტი, იმპლანტის პროცესორი და მისი შალითა, იმპლანტის აკუმულატორის ელემენტები. ამავე დროს, მაიას ოჯახს სჭირდება ამ ნივთების მწყობრ მდგომარეობაში შენარჩუნება და პერიოდული დარეგულირება.

ჯანმრთელობა

მაიას სჭირდება აუდიო დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული სპეციფიკური სამედიცინო ჩარევები, გენეტიკური ტესტირება, ოფთალმოლოგის კონსულტაცია და სამედიცინო შემოწმებები. მისი სამედიცინო მომსახურების ხარჯებს მთლიანად ფარავს სახელმწიფო.

სარეაბილიტაციო მომსახურებები

ამ ეტაპზე მაია ჩართულია ადრეული ინტერვენციის მომსახურებებში, რასაც სრულიად ფარავს სახელმწიფო. ამის გარდა, მაიას სჭირდება ყოველთვიური თერაპია სმენის და მეტყველების განვითარებისთვის, რასაც ასევე ფარავს სახელმწიფო. მაგრამ მისი ოჯახი თვლის, რომ სახელმწიფოს მიერ მოწოდებული სესიების რაოდენობა მაიასთვის საკმარისი არ არის და ისინი იხდიან დამატებითი სესიების ღირებულებას კერძო ტარიფით.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვა

მაიასთვის საჭირო პერსონალური დახმარების გასანევად, დეკრეტული შვებულების შემდეგ მაიას დედა აღარ დაბრუნებულა სამსახურში. მაიას უფრო ინტენსიური მოვლა სჭირდება და მას ბებია-ბაბუასთან ვერ დატოვებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ოჯახს არ აქვს პერსონალურ დამხმარე პირთან დაკავშირებული რამე დამატებითი ხარჯი, ოჯახის შემოსავალი შემცირდა თვეში 2,500 ლარით, ვინაიდან მაიას დედა ვეღარ აგრძელებს მუშაობას.

ცხრილი N9.15 წარმოგვიდგენს მაიასთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.15 – მაიას ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ ო მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | სახელმწიფოს პოტენციური წილი | პროცენტი და ლარი | |
|------------------------------|-----------------|---|--------|--------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|-----------------------------|------------------|------------|
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | კოხლარული იმპანტი | | | | | | 27550 | 128 | 100% | 128 | |
| | | კოხლარული იმპლანტის პროცესორი | | | | | 32000 | | 667 | 56% | 374 | |
| | | კოხლარული იმპლანტის აკუმულატორი | | | 1560 | | | | 65 | 100% | 65 | |
| | | კოხლარული იმპლანტის ელემენტები | 72 | | | | | | 72 | 0% | 0 | |
| | | ბუდე კოხლარული იმპლანტის პროცესორისთვის | | | | | | 310 | | 6 | 0% | 0 |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | | 938 | | 567 |
| | S | კოხლარული იმპლანტის პროცესორის შეკეთება | | 600 | | | | | 50 | 0% | 0 | |
| | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | | 50 | | 0 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 988 | | 567 | |
| სარეაბილიტაციო მომსახურებები | S | სმენისა და მეტყველებისა და ენის თერაპია | 380 | | | | | | 380 | 42% | 160 | |
| | | ადრეული ინტერვენციის პროგრამა | 300 | | | | | | 300 | 100% | 300 | |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 680 | | 460 | |
| ჯანმრთელობა | S | აუდიო დიაგნოსტიკა | | | 145 | | | | 6 | 80% | 5 | |
| | | გენეტიკური ტესტირება | | | | | | 1000 | 5 | 80% | 4 | |
| | | ოფთალმოლოგის კონსულტაცია | | | | | | 100 | 0 | 80% | 0 | |
| | | სამედიცინო შეფასება კოხლარულ იმპლანტაციამდე | | | | | | 1500 | 7 | 80% | 6 | |
| | | კოხლარული იმპლანტაცია (ქირურგიული ჩარევა) | | | | | | 4000 | 19 | 100% | 19 | |
| | | აუდიოლოგის კონსულტაცია სმენის აპარატის დარღვეულობისთვის | | | 60 | | | | | 5 | 0% | 0 |
| | | კოხლარული პროცესორის პირველი დარღვეულობა | | | | | | 1570 | 7 | 100% | 7 | |
| | | კოხლარული პროცესორის დარღვეულობა | | | 140 | | | | | 12 | 0% | 0 |
| | | სულ კატეგორია | | | | | | | 61 | | 40 | |
| აბსოლუტური ჯამი | | | | | | | | | 1729 ლარი | | 1067 ლარი | |

შენიშვნა: საგ/მომს – საგნები და მომსახურებები; G – საგნები; S – მომსახურებები.

9.16. უსინათლო და ნარჩენი სმენის მქონე ბავშვი, მხარდაჭერის მცირე საჭიროება

გიოს შემთხვევა, 12 წლის ბიჭი

გიო 12 წლის ბიჭია. მას აქვს ვოლფრამის (Wolfram) სინდრომი, რაც იწვევს მხედველობის სრულ დაკარგვას და სმენის დაქვეითებას. გიო დადის სენსორული საჭიროებების მქონე ბავშვების სკოლაში. მას ასევე მიენიჭა შშმ ბავშვის სტატუსი და იღებს შშმ ბავშვის შემწეობას - თვეში 275 ლარს (დაახლოებით 100 აშშ დოლარს).

თანატოლების მსგავსად ფუნქციონირებისთვის გიოს სჭირდება მხარდაჭერა, რაშიც შედის: დამხმარე მოწყობილობების ინტენსიური გამოყენება, პერსონალური ასისტენტი, გარკვეული სამედიცინო ჩარევები, სარეაბილიტაციო მომსახურებები და დახმარება მობილობისთვის.

ქვემოთ დეტალურად არის აღწერილი, თუ რა საგნები და მომსახურებები სჭირდება გიოს, რომ თანატოლების მსგავსად იღებდეს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დამხმარე ტექნოლოგიები

გიო იყენებს სმენის აპარატს, რასაც, სათანადო ფუნქციონირებისთვის სჭირდება ელემენტები. სმენის აპარატის ღირებულებას იხდის სახელმწიფო, მაგრამ მის ოჯახს უწევს ყოველ კვირა ელემენტების შეცვლის თანხის გადახდა.

კომუნიკაციისთვის გიოს სჭირდება სმარტფონი, ინტერნეტით და ყურსასმენები. ამის ხარჯებს ოჯახი იხდის.

სწავლისთვის გიოს სჭირდება: კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით, ინტერნეტი, ბრაილერი; ბრაილერის ნოუთ-თეიქერი (Notetaker), ბრაილერის ფურცლები, ბრაილერის კალამი, დეიზი პლეიერი (Daisy player), და ტაქტილური სანტიმეტრი. აღნიშნულ საშუალებებს სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფს გიოს სკოლა. თუმცა, დამოუკიდებლად მეცადიონობისთვის მას იგივე მოწყობილობები სახლშიც სჭირდება, რაც ვერ ექნებოდა, მშობლებს საკუთარი სახსრებით რომ არ შეეძინათ. ოჯახი ასევე იხდის ამ მოწყობილობების შეკეთების ხარჯებს.

გართობისთვის გიოს სჭირდება შესაბამისი საშუალებები, როგორცაა სამაგიდე თამაშები ბრაილის წარწერებით და ტაქტილური ნიშნებით. ამ ტიპის მასალებსაც ოჯახი თავად ყიდულობს.

პერსონალური ასისტენტი და ზრუნვის მომსახურებები

კვირაში საშუალოდ რვა საათით გიოს სჭირდება პერსონალური ასისტენტი, რომელიც ეხმარება მას სკოლის შემდეგ გარეთ გასვლაში (მაგ.: კვირაში ორჯერ კლასგარეშე გაკვეთილებზე მისასვლელად). პერსონალური ასისტენტის ხარჯებს იხდის ოჯახი.

ჯანმრთელობა

ამ ეტაპზე გიოს სჭირდება სმენის სპეციალისტის მიერ შეფასება და მისი სასმენი აპარატის

დარეგულირება. სპეციალისტის შეფასების თანხის 80 პროცენტს ფარავს სახელმწიფო; სმენის აპარატის მორგებისა და დარეგულირების თანხას იხდის ოჯახი.

ცხრილი N9.16 წარმოგვიდგენს გიოსთვის საჭირო ხარჯებს. დაკონკრეტებულია, როდის და რამდენად ხშირად დგება კონკრეტული ხარჯის საჭიროება, მთლიანი თვიური ხარჯი და სახელმწიფოს მონაწილეობა ამ ხარჯებში.

ცხრილი N9.16 – გიოს ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ლარი

| კატეგორიები | ს ა გ / მ მ ს | ქვე-კატეგორიებად ჩაშლა | თვიური | წლიური | 2 წელიწადში ერთხელ | 3 წელიწადში ერთხელ | 4 წელიწადში ერთხელ | ერთ-ჯერადად | ხარჯი (თვიური ეკვივალენტი) | | სახელმწიფოს პოტენციური წილი პროცენტი და ლარი | | |
|--|---------------|--|--------|--------------------------|--------------------|--------------------|--------------------|-------------|----------------------------|------------|--|-----------|---|
| | | | | | | | | | 17% | 20 | | | |
| დამხმარე ტექნოლოგიები | G | სმენის ციფრული აპარატი და ელემენტები აპარატისთვის | 24 | | | | 5,750 | | 120 | 17% | 20 | | |
| | | თეთრი ხელჯოხი | | 200 | | | | | 17 | 15% | 3 | | |
| | | ტელეფონი ეკრანის წამკითხველი პროგრამით | | | | 1,750 | | | 49 | 0% | 0 | | |
| | | კომპიუტერი ეკრანის წამკითხველი პროგრამით | | | | 2,600 | | | 72 | 0% | 0 | | |
| | | ბრაილერი | | | | | 6,000 | | 125 | 0% | 0 | | |
| | | ბრაილის ნოუთ-თეიქერი (Braille Notetaker) | | | | | | 9,000 | 42 | 0% | 0 | | |
| | | ბრაილის ფურცლები | 50 | | | | | | 50 | 0% | 0 | | |
| | | ბრაილის დაფა-კალამი | | | | | | 100 | 0 | 0% | 0 | | |
| | | დეიზი პლეიერი (Daisy Player) | | | | 2,800 | | | 78 | 0% | 0 | | |
| | | ყურსასმენები | | 60 | | | | | 5 | 0% | 0 | | |
| | | ინტერნეტი | 50 | | | | | | 50 | 0% | 0 | | |
| | | ტაქტილური სახატავი კომპლექტი / სანტიმეტრი | | 60 | | | | | 5 | 0% | 0 | | |
| | | სამაგიდე თამაშები ბრაილის წარწერებით და ტაქტილური ნიშნებით | | 400 | | | | | 33 | 0% | 0 | | |
| | | სითხის დონის ინდიკატორი | | | | | 90 | | 3 | 0% | 0 | | |
| | | წინდების დამანჯვილებელი | | | | 15 | | | 1 | 0% | 0 | | |
| | | | | სულ ქვე-კატეგორია | | | | | | 672 | | 22 | |
| | | | S | სმენის აპარატის შეკეთება | | 200 | | | | | 17 | 0% | 0 |
| | | | | თეთრი ხელჯოხის შეკეთება | | 55 | | | | | 5 | 0% | 0 |
| დეიზი პლეიერის (Daisy player) შეკეთება | | | | 300 | | | | | 25 | 0% | 0 | | |
| ტელეფონის შეკეთება | | | | 85 | | | | | 7 | 0% | 0 | | |
| კომპიუტერის შეკეთება | | | | 300 | | | | | 25 | 0% | 0 | | |
| ბრაილერის შეკეთება | | | | 275 | | | | | 23 | 0% | 0 | | |
| ბრაილის ნოუთ-თეიქერ (Notetaker) შეკეთება | | | | 550 | | | | | 46 | 0% | 0 | | |
